

708/2
1994

26
საქართველოს
სამედიცინო
საზღვრო
სამსახური



ქვეყნის მემკვიდრეები 1
1994



ქართული
ზეზლირთქა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ძეზლთა დაცვის სოზოგადოებო

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION
OF HISTORICAL AND CULTURAL
MONUMENTS

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ
ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

ქლირბეიბი დოზოდოზულიო თგილისის ფოკადი გოზდვის ფოგრიკო-
ფი. რედაქცია ულრემს მადლოგას მოახსენებო ფოგრიკის თონოფროგ-
ლებო დო დირექტორს ქ-ნ ეთერ ხოვლხოვილს.



მთავარი რედაქტორი

შერაზ

გომიშიძე

სარედაქციო კოლეგია

ანდროა

აუაშიძე

ვახტანგ

ვერიძე

ივანე

ბოლქვაძე — პახუხიშვიტბელი შიფანი

პარპაძე

ჭაბარაძე

შარიაშ

ლორთქიფანიძე

ოთარ

ლორთქიფანიძე

ლიპაძე

მაბარაძე

ლერი

მამარიაშვილი

ეკა

პრივალოვა

ჯუღიძე

არხაძე — ნომარს რედაქტორი.

ივანე

ციციშვილი

ზინა

მანუშვილი

ქველეს ქობის ქობისარი

25545

1 (91)
1994

მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიული მემკვიდრეების ფოტოგრაფიის
— აკადემიკოს ვიქტორ ნიჭიას დაგადების 100 წლისთავს.

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

თინა ოჩიაური — გიორგი ჩიტაიას ხსოვნას	5
ჯულიეტა რუხაძე — ეროვნული კულტურის დიდი მოამაგე	7
ნინო ბრანილაშვილი — „ახეთი მახსოვს საქართველო“	10
ჯულიეტა რუხაძე — რას უნდა გულისხმობდეს დარბაზულ-ერდოიანი სახლი იმერეთში	15
ანდრე ძაღვანი — „ქარუს ციხე“ ხევსურეთში	19
ლალი მინთეაშვილი — იკვის წმ. გიორგის ეკლესიის თავდაპირველი ხუროთმოძღვრული ფორმების შესწავლისათვის	22
გიორგი გოცირიძე — ჭერი	25
ლევან გაბუნია — ოჭალეში	28
ლია ვაშინია — მანავის მწვანე	31
ქეთევან სიხარულიძე — ლეგენდა და რეალობა	33
ნანა ხაზარაძე — შეფე და ღვთაება	35
მადონა ხაზარაძე — ცხენი და მხედარი	39
ნელი ბრეგაძე — საქორწილო სამოსის ისტორიისათვის	42
რეზო თოდუა — ტივი — ტრადიციული სამღვინარო ტრანსპორტის სახეობა საქართველოში	46
ნინო სილაგაძე — ძველი თბილისის ტრანსპორტის ისტორიიდან	51
ზია ზანიშვილი — თბილისის I საშუალო სკოლის შენობის მოკლე ისტორია ახლად გამოვლენილ საარქივო მასალების მიხედვით	54
მერაბ გოჭოიძე — საქართველოს ციხე-კომპლექსები სარესტავრაციო პრაქტიკაში	58
მერი მამარლაშვილი — ხელის გამოსახულებიანი სტელა გომარეთიდან	63
მინდილ ვარაზიშვილი — შენიშვნები არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ ზემო სვანეთში (საქართველოში)	65
კულტურის ძეგლთა მონაგებანი	
ანდრია ავაქიძე	68
ვახტანგ ბერიძე	71
პარმენ ჯაპარაძე	73
კვალი ნათელი	
რუსუდან გვირგვინთელი	75
ვახტანგ ჯაფარიძე	77

ეროვნული ბიბლიოთეკა
 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109
 ტელ. 525 20 00



ქართული ეთნოგრაფიული მკვლევარების ფუძემდებლის – გიორგი ჩიტაიას ინტერესების სფერო მეტად ფართო იყო. იგი ერთნაირი მონდომებით სწავლობდა მატერიალური კულტურისა და მუხრანობის საკითხებს, სოციალური და რელიგიური ყოფის ცალკეულ ელემენტებს, ეთნოგენეზს, ხალხურ ორნამენტს. ერთ-ერთი დარგი, რომელსაც იგი განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა, ხალხური ბუროთმომდერება იყო. სამეცნიერო ასპარეზზე გამოხვალის პირველსავე წლებში, როდესაც მან განსაზღვრა რა და როგორ ეკვლია, რა გზით უნდა წარმართულიყო ეთნოგრაფიული მუშაობა, პირველი ნაშრომი მესხური ტიპის დარბაზულ ნაგებობას მიუძღვნა. არქიტექტორ ნ. შავიშვილთან ერთად გ. ჩიტაიამ ქვაბლიანის ხეობაში იმოგზაურა, სადაც შეისწავლა კვლების დარბაზული სახლი და ამით ფაქტიურად დასაბამი მისცა ამ ტიპის ნაგებობათა შესახებ შემდგომში ფართოდ გაშლილ კვლევა-ძიებას.

მან პირველმა გამოავლინა დარბაზული საცხოვრებლის მტკიცე კავშირი ად-

ვილობრივ სამეურნეო პირობებთან, სრული შესატყვისობა ცხოვრების სხვა მოთხოვნილებებთან, აჩვენა მესხური დარბაზის სპეციფიკა, რაც ძირითადად თავს იჩენს გვირგვინის გამართვის წესში, რითაც იგი განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ დედაბოძიანი დარბაზებისაგან.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გ. ჩიტაიას არ განუღებია ინტერესი ხალხური ბუროთმომდერებისადმი. უშუალოდ თუ სხვა საკითხების კვლევისას. იგი მუდამ უბრუნდებოდა ამ თემატიკას. მაგალითად, მისი ნაშრომი – „ხევსურული სახლის სენე“ – არა მხოლოდ საცხოვრებლის ამ კონკრეტულ სათავეს ეხება, არამედ აქ განსაზღვრულია პირაქეთ და პირიქით ხევსურეთში გავრცელებული საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ტიპები, არქიტექტურული, სამეურნეო, სოციალური და რელიგიური ფუნქცია-დანიშნულების მიხედვით. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გ. ჩიტაიას კვლევის დამახასიათებელი თვისება იყო. იგი მთლიანი საკითხის ცალკეული დეტალების შესწავლის დროს, მათ განიხილავდა კულტურული-ისტორიულ კრილიში და ერთი შეხედვით ვიწრო საკითხი ზოგად თეორიულ პრობლემათა დონეზე აყვავდა.

არ არსებობდა საქართველოს მხარე, სადაც გ. ჩიტაიას ან უშუალოდ არ ემუშავოს ან მისი თაოსნობით არ ყოფილიყოს დაფიქსირებული და შესწავლილი ხალხური არქიტექტურის ნიმუშები – საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, საბრძოლო და საკულტო ძეგლები. მის მიერ მოწყობილ ექსპედიციებში მუდამ მონაწილეობდნენ მაღალი კვალიფიკაციის მხატვრები, არქიტექტორები, ფოტოგრაფები, აღიბეჭდებოდა ყველა საინტერესო ძეგლი. ეს მასალა თავმოყრილია ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივ-



ში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. დაბოლოს ეს დაგროვილი ცოდნა დაედო საფუძვლად თბილისის ღია ცის ქვეშა მუზეუმს, რომლის დაარსების იდეა და თაოსნობა გ. ჩიტაიას ეკუთვნის.

ექსპედიციებში ვოფნის დროს იქ არსებული ისტორიული ძეგლების გასაცნობად გარკვეულ დღეებს აუცილებლად გამოყოფდა. იმ დღეს მთხრობელს აღარ ვუძებდით. ჩვენი მთხრობელი ბატონი გიორგი იყო, რომელიც ძეგლის ისტორიისა და რაობის შესახებ გვიამბობდა. ამ მხრივ მას უმრავლესი ცოდნა ჰქონდა.

დიდი კომპლექსური ექსპედიციების წინ, ხანმოკლე დაზვერვით ხასიათის გასვლებს აწყობდა სოფლებში, სადაც რაიმე მნიშვნელოვანი ძეგლი ეგულებოდა. ასე მოვიწახუდეთ მთიულეთში ლომისის ტაძარი, წილკნის ღვთისმშობლის ეკლესია, ნინოწმინდის ცნობილი ძეგლი, არმაზის ციხე და მონასტერი, ერედვის ეკლესია საკულტო მარნით და სხვა მრავალი. ასეთი გასვლები მომავალი სამუშაო რეგიონის გაცნობასაც ემსახურებოდა და საქართველოს სიძველეთა შესახებ ცოდნის გაღრმავებასაც.

როდესაც იგი ამა თუ იმ საკულტო ძეგლის გასაცნობად გამგზავრებას გადაწყვეტდა, ცდილობდა ისეთი დრო შეერჩია, რომ იქ გამართულ სახალხო დღესასწაულსაც დაესწარებოდათ. ასე მოვხვდით ომის პერიოდში შემხვედრი მანქანების დამქანცველი ლოდინით ვაჭაბუხუნს ლომისობაზე მღვთის მადლა. მწვერვალზე მდებარე ლომისის ტაძარში. აქ ამოვიკითხა ჩვენთან ერთად მყოფ-

მა, დაეშვებული მლოცველთა ვარსკვლავით მორტყმულმა ბატონმა წ. ბერძენიშვილმა ლომისის რკინის კარის ნუსხური წარწერა, რითაც დამსწრეების ალტაცება გამოიწვია.

სამი წლის მანძილზე ეწვობოდა დიდი კომპლექსური ექსპედიციები შიდა ქართლში, სადაც უამრავი საკულტო თუ საერო ძეგლი დაფიქსირდა. ახლახანს გამოცემულ მხატვარ ნ. ბრაილაშვილის შემოქმედების ამსახველ წიგნ-ალბომში, ამ ექსპედიციებში შესრულებული ნამუშევრები მრავლად არის წარმოდგენილი.

გ. ჩიტაია არა მხოლოდ ძეგლის მეგობარი იყო, არამედ მათი ღრმა მცოდნე და მზრუნველი, რათა ეს ძეგლები უკალოდ არ გამქრალიყო. ამიტომ ემუშვებოდა ხალხური არქიტექტურის მუზეუმის გახსნას, ამიტომ ცდილობდა ამ ძეგლთა ხათანადოდ დაფუძნებას. მისი დიდი მონღომებითა და ხელშეწყობით იქნა ვ. ბარდაველიძისა და მასთან მომუშავე მხატვარ-არქიტექტორთა თუ ეთნოგრაფთა მიერ აღწერილი და ჩახატულ-აზომილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიწისზედა საკულტო ძეგლები.

სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია გ. ჩიტაიას ზრუნვა ამ საქმისადმი. იგი თავის მოწაფეებს ავალებდა შეესწავლათ დასახლების ტიპები, ნაგებობები ძველიც და ახალიც. დღეს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლისა და დაცვის მხრივ თუკი რამეა გაკეთებული იგი გიორგი ჩიტაიას სახელთანაც არის დაკავშირებული.





თუ გინდათ იცოდეთ როგორ იქმნებოდა კულტურის საგანძური, რომლითაც დღეს ვამყოფთ და გაცოცხლებული ვართ, გაეცანიტ მხატვარ-ენთოგრაფ ნინო ბრაილაშვილის შემოქმედებას, რომლის ნაწილი მის ერთ მხატვრულ ალბომშია თავმოყრილი. ჩვენს პრესაში ბოლო ხანებში აქა-იქ გაიღვია ინფორმაციამ, რომელიც უმთავრესად ნინო ბრაილაშვილის მოღვაწეობის ერთ ნაწილს, ამ ალბომს ეხება. მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ქმნის სრულ სახეს მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მის ყოველ კუთხეს თავისი იერი აქვს. თავისებური დღევანდელიობა და წარსული გააჩნია. ჩვენი ერის ისტორიის ცოდნა ამაღლებს ადამიანის სულიერ სამყაროს, რომლის შემდეგ არის შესაძლებელი დაფასო და გაიაზრო

ჩვენი ცხოვრება. ეს შესძლო საქართველოში, მოღვაწე ქართველი უკრაინელის, როგორც მას იაკობ გოგებაშვილმა შეარქვა: პეტრე ბრაილოვსკის და კონცერტმანისტერის თამარ ერისთავის შვილმა, დიდი მეცენატის, ქართული კულტურის დეაწლმოსილი ადამიანის დავით სარაჯიშვილის ოჯახში აღზრდილმა ნინო ბრაილაშვილმა.

ახლა შეუძლებელი არის სრულად აღინუსხოს მისივე განსაკუთრებული დამსახურება და წვლილი ჩვენი ხალხის სულიერ საგანძურში. მხატვრის იდეურ-მხატვრული მრწამსი, შემოქმედებითი თავისებურება, გამორჩეული ხელწერა და ხედავა, თავიდანვე არჩეული ესთეტიკური პრინციპებისა და ხელოვნების საუკეთესო ტრადიციების ერთგულება და თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება — ყოველივე ეს წარმოგვიდგენს მრავალმხრივ მოღვაწეს, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა. იგი იშვიათი პროფილის შემოქმედია — მხატვარი ეთნოგრაფი. ნინო პეტრეს ასულმა ბრაილაშვილმა თვალსაჩინო ფურცელი ჩაწერა ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაიწყო ხელოვნების შესწავლა და მოკლე დროში მრავალმხრივი შემოქმედებითი პალიტრით მოგვევლინა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ქართულ კულტურას; ნ. ბრაილაშვილი ცნობილია როგორც მხატვარი გრაფიკოსი, საბავშვო წიგნების ილუსტრატორი, ხელოვნების და ლინოლიუმზე გრავეურების ავტორი, სამეცნიერო ნაბეჭდი პუბლიკაციების გამფორმებელი, გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი ახალი დარგის — მხატვრული სათამაშოს ფანრის დამუშავებელი და ეთნოგრაფიის პირველი და უცვლელი მხატვარი საქართველოში.

ნინომ თავიდანვე შეისისხლხორცა ძველი ქართული ხელოვნების ტრადი-



ციები, ჩაწვდა ხალხურ შემოქმედებას. საიდანაც ამოკრიფა ის მდიდარი მასალა, რომელიც მის შემოქმედებას საფუძვლად დაედო. ნინო ბრაილაშვილის ხელოვნება ხალხურ საწყისებზეა აგებული და ისევე სადაა, როგორც მისი ავტორი. ყოველ მის ნახატში სვანური კოშკი იქნება ეს თუ სვანური სახლი, თავისი უღამაჯესი დგამ-ავეჯით, მამა-პაპური ქართული დარბაზი. რაჭველისა თუ ზევსურის მიერ მოხდენილად ნაქარგი ტანსაცმელი, შეკრული თუ იშკრული ჩოხა-ახალუხითა და ფაფანაკით, ქულაჯიანი გურული თუ ქართლ-კახელი მანდილოსანი — დღესასწაულზე მიმავალი მოწარდახული ურმების ქარაყანი — ყველგან იგრძნობა ხალხურობა, ტრადიციის ვააზრება-გამოყენება.

ნინო ბრაილაშვილის ნიჭზე კეთილი გავლენა მოახდინა ეთნოგრაფებთან მჭიდრო ურთიერთობამ. მან ბევრჯერ იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ერთნაირად დაინტერესდა მისი ყოფითა და კულტურით. რამაც თემატურად გაამდიდრა და გაამრავლფეროვნა მისი შემოქმედება. როდესაც მის ნამუშევრებს უყურებთ გრძნობთ, რომ სინამდვილესთან კავშირს და მასთან აქტიურ დამოკიდებულებას იგი აუცილებელ მოვალეობად თვლის, გამოსახულების სიზუსტეს მხატვარი ოსტატურად ახამებს მხატვრულობის მოთხოვნილებასთან. სწორედ მხატვრული განცდის ეს შინაგანი უტყუარობა დღემდე უნარჩუნებს მას შეუნელებელი შემოქმედების ძალას, ამიტომაც, რომ მისი ნახატები ახლაც ეზიანებიან ჩვენს განწყობილებას და კემოვნებას.

ყურადღებას იმყრობს ნ. ბრაილაშვილის გრაფიურები — „ნარიყალა“, „თბილისური სახლები“, „ქართული დარბაზი“, „ჭიათურელი მემადაროელები“, და სხვ., რომლებშიც გრაფიურის ფარგლებში დასაშვები ფერწერული გამომსახველობა ჩანს; მათში დიდი პროფესიონალიზმით არის ნაჩვენები ყოფის გამომსახველი მოქმედებები, ნამუშევრები

ყურადღებას იმყრობენ ერთმანეთს კოლორიტით.

სივლიანობა

გასაოცარია ნინო ბრაილაშვილის მიერ მუზეუმის ფონდებში ყოფნისას შესრულებული ხალხური ნაქარგობის ქსოვის, ჭედურობის, თოჯინების, არაჩვეულებრივი დახვეწილობა, სწრაფი და მსუბუქია მისი შტრიხი მაშინ, როცა საექსპედიციო დღეების განმავლობაში უნდა მოეხსრო ჩანძიშენა ყველაფრისა, რაც კი მის ირგვლივ იყო. მის არაფერი რჩებოდა აუსახავი დამახასიათებელი ცოცხალი ჩანახატებით დაწყებული და დამთავრებული კარის ურდულით, ამიტომ ესოდენ საინტერესოა მისი საველე ნამუშევართა შემცველი ალბომები. რომელთა მიხედვით შესაძლებელია ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის კულტურისა და ყოფის სრულად აღდგენა. ნინო ბრაილაშვილის ინტერესები მუდამ საეხე იყო ძიებით, ახლის მიკვლევის წყურვილით. მხატვრული გააზრების თავისთავადობით. ძველი ქართული ხელოვნების და ხალხური შემოქმედების ჯეროვანი დამფასებელი, მუდამ ახლოს იდგა ამ ტრადიციებთან.

ქალბატონ ნინოს შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას, განსაკუთრებით მხატვრულ სათამაშოს. შემთხვევითი არ არის, რომ მის ნამუშევრებს ექსპოზიციის დიდი ადგილი უჭირავს თბილისის სათამაშოების მუზეუმში.

საოცრად თავისებური, მრავალფეროვანი და მომხიბვლელია ნინო ბრაილაშვილის მიერ გაკეთებული თოჯინები. მან კლასიკური ტრადიციული თოჯინების კეთების სფეროში გარკვეული კორექტივები შეიტანა და ახალი გამომსახველი საშუალებანი დანერგა. იგი ახლებურად წარმოგვიდგენს თოჯინებას მხატვრულ სახეებს, რომელშიც დაცულია მხოლოდ ნინო ბრაილაშვილისათვის დამახასიათებელი სტილი. ასეთია მისი „მანანა“, „ეკა“, „მგელიკა“ და გელა“. „კვაზურა“, „ხევსური“, „გურული“ და სხვა მთელი მხატვრული სამ-



ვარია, უყურებთ მათ და ხედავთ იმ გარემოს, რომელშიც ეს პერსონაჟები მოქმედებენ. თოჯინებში ყურადღებას იქცევს გამოშხაბელობა და ტიპიურობა, რომლითაც ისინი ქართული თოჯინების შესანიშნავ ნიმუშებად წარმოგვიდგებიან.

ჩვენ მოწმე ვართ ბევრი თოჯინის „დაბადებისა“, მაგრამ კვახების სერიიდან ექსპრესიით და ემოციური გამოქვეყნების არაჩვეულებრივი ძალით ვკაოცებს „კვახურა“. იგი განსაკუთრებული გემოვნებით არის დამუშავებული.

ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეების დიდი შენაძენია აგრეთვე ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა VII საერთაშორისო კონგრესისათვის გამოცემული ალბომები: „კერამიკა“, „მოჭიქული ჭურჭელი“, „ლურჯი სუფრები“, „დაჩითული ქსოვილები“ (ორი უკანასკნელის ტექსტი მხატვარს ეკუთვნის). ალბომში წარმოდგენილი ნახატები პეროვანი და გამჭვირვალეა, ამავე დროს მათში გამოსახული ექსპონატები არაჩვეულებრივი მატერიალური და მკვეთრი. ამ ალბომის წყალობით მხატვარმა სახელი, პატივისცემა და პოპულარობა მოიპოვა — ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

არანაკლები სიყვარულით და გატაცებით ემსახურება მხატვარი საბავშვო წიგნის გაფორმებას. სანიშნოა მის მიერ დასურათებული ნ. ნაკაშიძის „ხალხური ზღაპრები“. რაშილდის „საუცხოო სტუმარი“ თ. თუმანიშვილის „ჩვენი ბოსტანი“ და სხვა. ამავე დროს ნინო ზშირად არის მის მიერ დასურათებული წიგნისა თუ ალბომის ტექსტის ავტორი, რაც საშუალებას იძლევა უფრო გაადრმავოს თავისი ნახატების გამოშხაბელობა. ნ. ბრაილაშვილს ხომ დიდი გამოცდილება ჰქონდა ეთნოგრაფიული მასალების დამუშავებასა და პოპულარიზაციაში.

სამაგალითოა ჩანახატები, რომლი-

თაც დამშვენებულია ე. ბარდუღაშვილის ნაშრომი „იურის ფშაელებში“.

ამ გამოჩენილმა ადამიანმა, სამაგალითო მამულიშვილმა პატრიოტმა, ქართული კულტურის წინაშე ვალმოხდილმა ადამიანმა შემოგვიანხა ჩვენი გამჭრალი ცხოვრება ჩვენი წარსული და რა სამწუხაროა, რომ იგი ვერ მოესწრო კარგა ხნის წინ მომზადებულ ალბომის „ასეთი მახსოვს საქართველოს“-ს გამოცემას.

ნ. ბრაილაშვილის ინტერესები მუდამ სავსე იყო ძიებით, ახლის მიკვლევის წყურვილით, მხატვრული გააზრების თავისთავადობით ძველი ქართული ხელოვნებისა და ხალხური შემოქმედების ჯეროვანი დამფასებელი მუდამ ახლოს იდგა ამ ტრადიციებთან.

ნინო ბრაილაშვილს წელთა სიმრავლემ ვერ გაუნელა ეთნოგრაფიის სიყვარული. ასაკოვანი გახლდათ, ათასი საზრუნავით დაკავებული, როდესაც საკუთარი სახლის ქვემოთ მიწა გათხარა და პატარა მუზეუმი მოაწყო. აქ თვალში გვხვდება: წარსულისა და აწმყოს თანაარსებობა, მხატვრული აზროვნების შინაგანი სიმართლე და დახვეწილობა, სიფაქიზე. საკუთარი ხელწერა და ეროვნული კულტურის სიყვარული. გულს ახარებს. დაუნჯებული ხალხური ხელოვნების ექსპონატები — ტალავარი. სამკაულები, კერამიკა, ხეზე კვეთილობის ნიმუშები — კიდობანი, ტაგრუცი, საკურცხილი და სხვა ხალხური შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც ამშვენებენ ამ პატარა და დიდი გემოვნებით შორთულ ეროვნულ ბინას.

ნინოს ამ ქვეყნიდან წასვლა ბედისწერის გარდევალობა იყო. საუკუნო განსასვენებელი იყოს თქვენთვის საქართველო ჩვენი ძვირფასო უფროსო მეგობარი და მასწავლებლო. ჩვენი კულტურის დამფასებლები და ეთნოგრაფები თქვენ სახელს არასოდეს დაივიწყებენ.



1992 წელს ქართულმა საზოგადოებრიობამ დიდი საჩუქარი მიიღო: ბოლოსდაბოლოს გამოვიდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნინო ბრაილაშვილის წიგნი-ალბომი „ასეთი მახსოვს საქართველო“ ეთნოგრაფიული ჩანახატები. წიგნის შემდგენელია მხატვრის ქალიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ვკა პრიალაოვა. წიგნის გამოსაცემად მომზადებას და მის დასტამებას გამოემცმლობა „ხელოვნებაში“ თითქმის ათი წელი შიანდომა (დაბეჭდა იგი პეტტბურგში, ივ. ფედოროვის სახ. სტამბაში) ამიტომ, სამწუხაროდ, თვით მხატვარი მის გამოსვლას ვეღარ მოესწრო.

წიგნის ანოტაციამში ვკითხულობთ: „გამოცემაში ძირითადად პირველად ქვეყნდება საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნინო ბრაილაშვილის მიერ 30 წლის განმავლობაში შეგროვილი ქართული ეთნოგრაფიული მასალა. თემატური სიმდიდრე და მასალის რაოდენობა აპრობებს ალბომის დიდ როტულობასა და მრავალფეროვნებას. მასში წარმოადგენილია ქართული ხელოვნური შემოქმედების თითქმის ყველა დარგი, ამავე დროს მასალა განლაგებულია საქართველოს ისტორიული პროვინციებისა (სვანეთი, ხევსურეთი, რაჭა და ა. შ.) და გეოგრაფიული ნიშნების (დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო) მიხედვით. ალბომი შეიცავს 280-მდე ფერადსა და შავ-თეთრ ილუსტრაციას, ანოტირებულს მხატვრის მიერ. სპეციალურად გამზადებულ ტაბულების ვარდა, აქ წარმოადგენილია მხატვრის ხაველე დღიურების — ჩანახატებისა და ჩანაწერების, ასევე მოგონებების ნაწილი, ტექსტობრივი მასალა არის ქართულ-რუსულ და ინგლისურ ენებზე. ალბომი გამიზნულია სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის“.

1993 წლის 28 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სააქტო დარბაზში ჩატარდა წიგნის პრეზენტაცია, რომლის დროსაც ბერი გულთბილი სიტყვა ითქვა ავტორის მისამართით. ცერემონია გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ. სიტყვით გამოვიდა გამოცემლობის დირექტორი ბ-ნი ე. სიხარულიძე, მხატვრის შემოქმედებას მიუძღვნა თავისი გამოხსვლა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ჯ. რუხაძემ; მოგონებებით გამოვიდნენ ეთნოგრაფები — ისტ. მეც. დოქტორი თ. ონიაური, და ისტ. მეც. კანდიდატი კ. ჩოლოფაშვილი. წიგნი დაახასიათეს აკადემიკოსებმა ვ. ბერიძემ და ნ. ჯანბერიძემ. მიზანშეწონილად და საინტერესოდ ჩაეთვალებ ზოგიერთი გამოხსვლის მთლიანი ტექსტი მოვეწუოდებინა „მეგლის მეგობრის“ მკითხველსათვის.

აკად. ა. აფაქიძე: „დღეს ჩვენ აქ თავი მოვიყარეთ განსაკუთრებული და არა ჩვეულებრივი შემთხვევის გამო. რესპუბლიკის რთული ვითარება ყველას მოეხსენება და სწორედ ასეთ დროს რესპუბლიკა უნდა იხსნას ჩვენმა კულტურამ და რესპუბლიკამ უნდა იხსნას ქართული კულტურა. აი სტრატეგია, რომელითაც უნდა ცხოვრობდეს ყოველი ქართველი, მთელი საქართველო. ამ თვალსაზრისით სწორედ საგანგებო თავფრილობა უნდა ეწოდოს ჩვენს დღევანდელ თავმოყვრას, მიძღვნილს უმნიშვნელოვანეს მოვლენისადმი ქართული კულტურის, ქართული მეცნიერების, საზოგადოდ ცივილიზაციის ისტორიაში: დღეს ჩვენ წარმოვადგენთ შესანიშნავ ქართულ წიგნს ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი სახელწოდებით „ასეთი მახსოვს საქართველო“. აი ეს სიტყვები ქ-ნ ნინო ბრაილაშვილისა კარვად შეესაბამება თავიდან ბოლომდე ამ წიგნის ყველა აკვრდსა და ყველა სტრიქონს და კარვად შეესატყვისება თქვენს საერთო განწ-



ყობილებას. მე მოვახსენებთ ჩემს შთაბეჭდილებას ამ წიგნის გამო. მე ძალიან გამოქირდება კი არა, არ შემიძლია დღეს დავასახელო წიგნი — უკეთესი სახელია ქარი საქართველოსა და ქართველი საზოგადოებისათვის, წიგნი, რომელმაც გაგვახარა გულდამძიმებული ქართველები. ამ წიგნის გაცნობისას დაერწმუნდებით, თუ რა დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა საქართველოში წლების მანძილზე ქართველ ეთნოგრაფთა და ეთნოლოგთა სკოლაში ბ-ნ ვიორჯი ჩიტაიას მიერ რომ იყო ფუძემდებელი და ჩამოყალიბებული.

ქ-ნ ნინო ბრაილაშვილი ყველა აქ დამსწრეთათვის, განსაკუთრებით კი უფროსი თაობისათვის, კარგად ცნობილი მოღვაწეა ქართული კულტურისა, მე მქონდა ბედნიერება საკმაოდ ხშირად და საკმაოდ დიდხანს მქონოდა კარგი ურთიერთობა, კეთილი ურთიერთობა ქ-ნ ნინოსთან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დროს. ეს დიდი ეროვნული დაწესებულებაა — ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, — სადაც ქ-ნი ნინო ასეთი დიდი წარმატებით უძღვებოდა და გვერდს ედგა ქართველ ეთნოგრაფთა სკოლას, ბ-ნ გ. ჩიტაიას. ისე რომ, არ ვიქნებით მართალი თუ გავიზიარებთ ამ მთარულ შეხედულებას, რომ თითქოს, ქ-ნი ნინო იქ მუშაობდა მხატვრად ეთნოგრაფებთან. არა, ქ-ნი ნინო ქართული ყოფის, ქართველი ხალხის ცხოვრების მკვლევარი იყო ბ-ნ გ. ჩიტაიასთან, ქ-ნ ვ. ბარდაველიძესთან, ქ-ნ რ. ხარაძესთან, ბ-ნ ა. რობაქიძესთან, ბ-ნ ს. რეხვიაშვილთან, ქ-ნ ს. ბუღეკაძესთან და სხვებთან ერთად. ხაზს უკვამ იმათ სახელებს, რომლებიც, სამწუხაროდ, უკვე აღარ არიან ჩვენთან.

ამ წიგნში, ჩემის აზრით, ძალიან კარგად არის მოთხრობილი, დოკუმენტირებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება. საკმარისია გავეცნოთ თვით ქ-ნ ნინოსვე დამოკიდებულებას ამ სამუშაოსადმი. აი, რა რიგ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ამ შესანიშნავი მოღვაწის დამოკიდებულება შრომისადმი — მე მინდა მივცე თავს უფლება და წაეკითხო პატარა ადგილი ამ წიგნიდან: „სამამულო ომის წლებში, როდესაც მიწის ნაკვეთები დაკვირივდა სიმინდის მოსაყვანად, კაცების გვერდით ვმუშაობდი. ბევრ მათგანს თონისგან ხელები დაუწყლულდა, მე კი არაფერი დამშავებია. და საერთოდაც ჩემი წარმომავლობისა და მრავალი გასაჭირის მიუხედავად, ჩვენს ოჯახს თავს რომ დაატყდა. იმ აღზრდის წყალობით, რომელიც მივიღე, თავს ბედნიერად ვთვლიდი, რადგან შავი პურიც კი მეგემრიელებოდა, რაც შეეხება შრომას — იყო ეს ხატვა, ტანსაცმლისა თუ ფეხსაცმლის კერვა, სათამაშოების კეთება თუ შებადლება — ჩემთვის მძიმე ტვირთად არასოდეს ქცეულა. ეს იყო მხოლოდ სიამოვნება, რისთვისაც მე ისევ ჩემს წინაპრებს ვემადლიერები. ნათელი დაადგეთ მათ“. აი, ეს სიტყვები, ალბათ, თავიდან ბოლომდე გაიმეორა ქ-ნმა ნინომ დიდი საამოვნებით თავისი დამოკიდებულებით შრომასთან და დამოკიდებულებით და დაფასებით თავისი დიდებული წინაპრებისა, რომლებმაც ასეთი სიყვარული ქართველი ხალხისა შთაუნერგეს ქ-ნ ნინოს. ნათელი დაადგეს მას ასეთი კარგი მოღვაწეობისათვის, ასე კარგი ადამიანობისათვის, ასე კარგი ქალობისათვის, კარგი მოქალაქეობისათვის.

ქ-ნმა ნინომ დიდ დოკუმენტურობით შეისწავლა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, კულტურის ძეგლების ყველა ჯგუფი. ერთნაირი სიყვარულით სწავლობს მგერულ-აფხაზურ ფაცხას, რომლის დამახასიათებელ ნიშნებს აბსოლუტური სიზუსტით აფიქსირებს და უნახავს თავის ქვეყანას, თავის ხალხს. როცა ფაცხაზე ლაპარაკი ის მგერულ ფაცხას განსაკუთრებით აღნიშნავს და ეს ბუნებრივია, რადგან, ეს ეთნოგრაფებმა ძალიან კარგად იციან, ეს უმნიშვნელოვანესი



საცხოვრებელი ნაგებობა ჩვენი ყოფის, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი იმტორიის, თუ გნებავთ, ჩვენი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი წახნაგი — ასე ურევანულად არის შეთვისებული სამეგრელოს იმ აფსუა ტომების მიერ, რომელთაც ახლანდელი ჩვენი აფხაზეთის მიწა-წყალი უჭირავთ. ეს კარგად ჩანს თავის დროზე ბ-ნ ბუხუტი ბლაკბას მიერ გამოქვეყნებულ წიგნში. ის არის ენათმეცნიერი და, ბუნებრივია, აფსუების — აფხაზური ენის მკვლევარი. ეს წიგნი საოცარი ისტორიაა იმ დიდი კულტურული ნაკადების... სამეგრელოდან, გურიიდან და საერთოდ საქართველოდან ადიღურ-აფსურ (აფხაზურ) სამყაროში. თანდათანობით ვაძახავლა ამ კულტურისა ძალიან კარგად არის ნაჩვენები ამ წიგნში და ამიტომაც აკრძალა იგი აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა თავის დროზე და ამოიღო ყველა ბიბლიოთეკიდან. ანალოგიურ სამსახურს უწევს საქართველოს და ქართულ კულტურას ქ-ნ ნინოს ეს წიგნი. მეგრულ-აფხაზური ფაცხა დამახასიათებელია ამ გაუღენისა. აფსუებს ამ ძირითადი ნაგებობის სახელად აქვთ „აფაცხა“. ამგვარად, ე. წ. აფხაზთა სამყაროში აქედან წაიდა არა მარტო საცხოვრებლის ტიპი, არამედ მისი სახელწოდებაც კი. ასეთი სიყვარულით სწავლობს ის ურთიერთობას ქართველ და აფსუა ტომებს შორის; ასეთი სიყვარულითა და აღტაცებით სწავლობს ის სხვა კუთხეს. ავიღოთ სვანური დასახლება — მურყვამი, ასე ბრწყინვალედ მოცემული ამ წიგნში. და როგორი სიყვარულითაა ამ შესანიშნავი ქართველი ტომის წარმომადგენლებისა და მათი კულტურის დახასიათება მოცემული! ის იხე იყო გატაცებული ამ „კოშკური კულტურით“, შეიძლება ითქვას „კოშკური ცივილიზაციით“, რომ მთელი ექსპედიციის დრო მას მოუნდომებია ამ კოშკების ჩახატვა-ჩახაზვისათვის, იქამდე, რომ მას თანამედროვე ტიპების ჩახატვის დროც არ დარჩენია. მაგრამ არა უშუასო, უთქვამს ქ-ნ ნინოს, რადგან სვანური კოშკი ერთადერთია და განუმეორებელიაო. ამის გამო მთელი ენერჯია მან მოანდომა ამ ძველების კვლევას, ერთი პატარა ერის — ქართული ცივილიზაციის მაღალი დონის წარმოსადგენად, ალბათ, თუნდაც მარტო სვანური კოშკი კმარა.

ასეთივე სიყვარულით აღწერს და აფიქსირებს იმერულ ოდას და ძალიან კარგად, ჩემის აზრით, ხანნიმუშოდ არის ნაჩვენები, როგორ განიცდის მკვლევარი-ზნატვარი განლაგებას: მეგრული ოდა ან იმერული ოდა წინ წამოწეულია და მისგან მეორე რიგში გამოყოფილი სამეურნეო ნაგებობანი ძველი კულტურის შემდგომი დონეა. როგორი სიყვარულით არის აღწერილი ეხო მწკნევი მოლითა და ყვავილნარით დაფარული, ეს ძველი დასაქლური ეხოკარები.

არც რაჭული ციხე-სახლები გამოუტოვებია, არც აჭარული სახლი, არც ერთი დამახასიათებელი ნიშანი განსაკუთრებული მნიშვნელობისა. ასეთი წიგნი მე პირადად არ მეგულება — ამგვარად დაწერილი და ამგვარად გაკეთებული და ყველაფერს ამას ემატება ის, რომ, რაც აქ არის მოცემული წარმოდგენს საგანბურს ქართული კულტურისა. წიგნი უკვე ქცეულია პირველწყაროდ მრავალი და მრავალი მიმართულებისა, რადგან ბევრი რამ, რაც ამ წიგნში ასე კარგად არის ფიქსირებული, აღწერილი და ჩახატულ-ჩახაზული, ფერადი ნახატებით მოცემული, ბევრი რამ ამჟამად აღარ არსებობს, დანგრეულია, დაღუპულია. ასეთ ვითარებაში ქ-ნ ნინოს წიგნი ასრულებს, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რასაც ზოგიერთი ქართული ხელნაწერი ჩვენს საცაეებში დაცული, რომელიც ნათარგმნად ითვლება ბერძნულიდან, მაგრამ, იმის გამო, რომ ბერძნული დედანი დაკარგულია და არ არსებობს, მსოფლიოში ორიგინალის როლს ასრულებს ეს ქართული ხელნაწერი ძველი, უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულებებისა. ასე, რომ ქ-ნმა ნინომ არა მარტო შესანიშნავი წიგნი დაგვიტოვა, ავიწერა, ჩავვი-



ბატა-ჩაგვიხაზა, ყოველმხრივ დაახასიათა ჩვენი ქართული კულტურა ფიქტიურული
 თული ცივილიზაცია, არამედ გადაგვიჩინა ქართული ცივილიზაციის უმრავლესობა
 ლოვანესი ძეგლები — გადაგვიჩინა და შემოუნახა მომავალ თაობას. ამიტომ მწე-
 ლია ასეთი გამოსვლისას სრულყოფილად დაახასიათო კაცმა ეს შესანიშნავი წიგ-
 ნი... დიდებული საქმე გააკეთა ქ-ნმა ნინომ და ამით დიდი სამსახური გაუწია ქა-
 რთველ ერს. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქ-ნ ნინოს სახელი ისევე დარჩება
 ჩვენს ისტორიაში, როგორც სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სახელები.

მე მინდა აქ თავმოყრილი დიდად პატივცემული საზოგადოების სახელით
 და საზოგადოდ ქართული საზოგადოებრიობის სახელით, დიდი მადლობა მოვა-
 ხსენო ქ-ნ ეკას, ღირსეულ მემკვიდრეს, ამ დიდი მეცნიერული მემკვიდრეობის
 ასეთ კარგ ბატონ-პატრონს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ
 ამისთანა ხელუკარი მიეღო ქართულ საზოგადოებას. ქ-ნ ეკას მოღვაწეობა ქა-
 რთული კულტურის, ქართული ხელოვნების კვლევის დარგში კარგად არის ცნო-
 ბილი, მაგრამ მართო ეს წიგნიც საკმარისი იქნებოდა ერთი ქართველი მოღვა-
 წისათვის, რომ მისი სახელი დედამისის დიდ სახელთან ერთად დარჩენოდა ქარ-
 თულ ისტორიოგრაფიას.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ყველას, ვინც აქ მობრძანდა და მონაწი-
 ლეობა მიიღო ამ დიდ ზეიმში, განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა მოვახსენ-
 ნო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივს, სადაც წლების მანძილზე
 ასე თავდადებად და ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქ-ნი ნინო.

მუზეუმის გარდა ქ-ნი ნ. ბრილაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა აკად.
 ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინს-
 ტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაშიც.

დიდ მადლობას იმსახურებს გამომცემლობა „ხელოვნება“ ქ-ნ ნინო ბრილა-
 შვილის წიგნის ასე მაღალ დონეზე გამოცემისათვის. ყოველი ჩვენთაგანი დიდი
 მადლიერებით ივონებს ამ კარგ ქართულ წიგნს.

აკად. ვ. ბერიძე: „გარკვეული თვალსაზრისით ეს წიგნი უნიკალურია. მას
 ჰქვია „ასეთი მახსოვს საქართველო“. ქ-ნ ნინო ბრილაშვილს ჰქონდა უფლება,
 რომ ამ წიგნისთვის ასე დაერქმია. მე არ შეგულება არც ერთი ქართველი მხატ-
 ვარი და ბერი სხვაც, რომელიც ასე იცნობდა საქართველოს. მას შემოვლილი
 ჰქონდა ჩვენი ქვეყანა, მისი ყოველი კუთხე და ყოველი მხარე ჰქონდა გაცნო-
 ბილი და სწორედ ამიტომ ქვესათაური „ეთნოგრაფიული ჩანახატები“ ვერ მოი-
 ცავს ამ წიგნის შინაარსსა და მნიშვნელობას. ეს არ არის მხოლოდ ჩანახატები —
 ეს ბევრად მეტია. ეს არის მთელი ჩვენი ცხოვრება მრავალმხრივ წარმოდგე-
 ნილი.

მოგეხსენებათ ამ წიგნს, უფრო სწორედ მუშაობას ქ-ნ ნინოსას, ჰქონდა
 გარკვეული მეცნიერული მიზნდასახელობა. ის მუზეუმში მუშაობდა ეთნოგრა-
 ფებთან და ამიტომ ყველაფერს იხატავდა დოკუმენტურად. ეს არის დოკუმენტუ-
 რი წიგნი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არაჩვეულებრივი სიზუსტით არის
 ყველაფერი აღწუსხული და გაშუქებული. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ
 ასეთ წიგნს უნდა ჰქონდეს გარკვეული სიმშრალე, ის შეიძლება ყოფილიყო
 როგორც ზუსტი ოქმი და ვერაინ გაამტყუნებდა ამაში. მაგრამ ის არის ამ
 წიგნის საკვირველი მხარე, რომ ეს დოკუმენტური, წმინდა მეცნიერული წიგნი
 ამავე დროს არის ძალიან მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე. რა თქმა
 უნდა, საჭირო იყო ის ნიჭი, რომელიც ჰქონდა ქ-ნ ნინოს, რომ ამ უსულო საგ-



ნების წარმოჩენის დროს მოეხერხებინა რაღაც პოეტურობა შთაებერა მათგანისათვის. ნუ დაგვაიწყებდა, რომ ის ამ საგნებს, როგორც უნდა იქნებოდა, ნებს კი არ ხატავდა, არამედ როგორც ცოცხალი ბუნების განუყოფელ ნაწილებს. რომ გადახედეთ ამ წიგნს, პირდაპირ გაოცება ვიპყრობთ, რამდენი რამ არის აქ წარმოდგენილი.

ქ-ნი ნინო არის იმ იშვიათ მხატვართაგანი, რომლებმაც იციან არქიტექტურის ხატვა. ამას ნუ მიწყენენ მხატვრები, მაგრამ უმეტესობამ არქიტექტურის ნამდვილი ხატვა არ იცის. არქიტექტურას რომ ხატავ, უნდა ნამდვილად გესმოდეს არქიტექტურა და გრძნობდე, რომ ეს არქიტექტურაა. ქ-ნ ნინოს ეს პქონდა. ის ხატავს არქიტექტურულ პანორამებსაც — სვანეთში, მაგალითად ბატავს სხვადასხვა კუთხეში საცხოვრებელი სახლების მშვენიერ ნიმუშებს სვანეთში, დუშეთში, გორში, ქართლში, ძველ თბილისს ხატავს. ამ ნახატებში მართლაც იგრძნობა სული ჩვენი არქიტექტურისა. მე არ შემიძლია ამ ნახატების აულელვებად ნახვა იმიტომ, რომ არქიტექტურა არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ემოციური დარგთაგანი ხელოვნებისა და საკმაოდ ძნელად გასაგები, და ქ-ნი ნინო ახერხებდა, რომ ეს ემოციურობა შთაებერა ყველაფრისათვის. ის ხატავს კოსტუმებს, ხატავს ქსოვილებს, ქართულ ორნამენტს, ნივთებს, ნაკეთობებს, სულ წერილ, პატარა მინიატურებს, ფარდავებს... და ყოველი მათგანი ცოცხალია თითქოს ჩვენ თვალწინ.

ეს არის წიგნი, რომელიც მართლაც მღელვარებას იწვევს იმიტომ, რომ თქვენ ზედათ საქართველოში მთლიანად — მის ყოველ მხარეს, მის ცოცხალ ცხოვრებას, ქალაქებს, სოფლებს — სულ ყველაფერს, რაც ქმნიდა ქართულ კულტურას. ამ მხრივ ქ-ნ ნინოს მნიშვნელოვნად უწევდა ხელს შთამომავლობითი დიდი კულტურა. თუმცა ის ბრაილოვსკაია იყო გვარად, მაგრამ ის ქართულ გარემოში იყო გაზრდილი და ნახევრად ქართველი იყო და ამიტომ სრულიად ბუნებრივია მისი ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი.

ის იყო უმაღლესი დონის პროფესიონალი, როგორც მხატვარი. აქ არის პორტრეტი კი არა, ტიპების მთელი გაღერვა წარმოდგენილი. როგორ ხატავს ის ცოცხალ ბუნებას, როგორ ხატავს ადამიანებს, როგორ ხატავს ნივთებს — რა პროფესიული გაქანებით! შეიძლება ითქვას ქ-ნმა ნ. ბრაილამვილმა ამ მხრივ მართლაც ძველი დავიტიკა. აი, ბ-ნმა ანდრომ სთქვა, რომ ბუერი რამ, რაც აქ არის დახატული — აღარ არსებობს. სამწუხაროდ ასეა, ცოტა დრო გავა და დიდხანს დაცდა შეიძლება აღარც არის საჭირო და ამ ჩვენ ძველ საქართველოს მხოლოდ ღია ცის ქვეშ მუხუეშში აღმოვჩნებით. ამიტომ არ შეიძლება არ დაეთანხმო ბ-ნ ანდროს, რომ ქ-ნმა ნინომ დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას და, მე მგონი, რაც დრო გავა, ის უფრო მეტად და მეტად დაფასდება.

არ შემიძლია ხაზგასმით არ ვთქვა, რომ გამომცემლობას, მიუხედავად თავისი დიდ დამსახურებისა და დიდი ცდისა, ძალიან გაუჭირდებოდა საქმის ბოლომდე მიყვანა, რომ არ ყოფილიყო ქ-ნი ეკა თავისი საქმისადმი დიდი სიყვარულით და თავისი შეუპოვრობით. ამის შედეგია, რომ ჩვენ გვაქვს ეს წიგნი, წიგნი-დოკუმენტი, წიგნი მეცნიერული, ანალიტიკური და ამავე დროს დიდი მხატვრული ღირებულების მქონე. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამომცემლობას, ქ-ნ ეკას და დიდი პატივისცემა ქ-ნ ნინოს“.



რას უნდა გულისხმობდეს ღარბაზულ-კრდიანბი
სახლი იმერეთში

იმერეთსა და სამხრეთ საქართველოს მთავარ შესაფარზე ზეკართან ახლოს სოფელი ხანი მდებარეობს. იგი ხიდივით დეკს იმ ძველ ქვეყნებს შორის, რომლებიც გარკვეულ საუკუნეებში თავიანთი მნიშვნელობით ჩვენს ისტორიას ეხმადანებან. ამის გამო ხანი და საერთოდ მისი რაიონი სხვადასხვა კულტურათა დაახლოებას უწყობდა ხელს და აკავშირებდა ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ მხარეებს, ასე გვიჩვენებს ეს აქაური ხალხის ხასიათსა და ენაშიც ასახულია.

უცხოური ან შესხური ტომების გავლენაზე რომ ვფიქრობ მგონდება გ. მელიქიშვილის აზრი დიშნას შესახებ. რომელსაც იგი მცირე აზიური წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს და იმასაც ამბობს, რომ ბაღდადის რაიონის სოფელ დიშის დამკვიდრება აქ შესხური ტომების შემოჭრის გზით არის მომხდარი.


ტერმინები ვრდო და ღარბაზი და ამგვარ ნაგებობაზე მცირე გადმოცემაც ვანა სამცხე-ჯავახეთს არ უკავშირდება? იმერეთის ამ ხეობაში ვაერცელებულ ორნამენტში შხის ემბლემის გამოსახულებაა შემონახული. რომელიც უძველესი ხანის კულტურული მონაპოვარია. კერა, ბუხარი, სახლის სვეტები და მათზე გამოსახული ეს ორნამენტი დამკველი და გამწმენდი ნიშნით არის ცნობილი. იგი საერთოა ძველი აღმოსავლეთის, ვეოსური სამყაროსა და კავკასიისათვის. ამ სამყაროში უნდა დაისკავს კიდევ ჯინჯისის საკითხები, რომელიც წმინდა ისტორიული ხასიათის იქნება, მაგრამ ამ წერილში ძნელია ამის შესახებ სხვა რამის თქმა.

სოფელი ხანი საინტერესოა თავის მდებარეობით, დასახლებით. მთის სოფლისათვის დამახასიათებელი ვიწრო შუკებით, მრავალფეროვანი მუყურნეობით.

სტუმართმოყვარე, გულითადი მცხოვრებლებით და თვითმოყოფადობით.

სოფელი ხანი თავის სახლებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ ნახავთ დიდი მზრუნველობით და სიყვარულით გამართულ ოდა-სახლებს. ხის აივნების ოსტატურ მოკაზმულობას, ოთახებში კი მშვენივრად მორთულ ბუხრებს და განჯინებს. აქ მცხოვრები ხალხის ფაქიზი გემოვნებით ნაკეთებს და იმ გარემოსთან საოცრად შეხამებულ ძველი სახლების გრანდიოზულობას მაშინ აღიქვამ, როდესაც ხალხური ცოდნის შესანიშნავ ტრადიციებზე დაფუძნებით აშენებული სახლის გარემოში მოხვდები. სახლი იმ კარმიდამოში დგას, რომელიც არაერთი ოჯახის, არამედ მთლიანად „ბუნის“ (ბაბუიშვილების) ან გვარის საცხოვრებელი იყო. რომელსაც ყორე და ჭიშკარი არ გააჩნდა.

ყოველ გვარს, ვარდა სამოსახლოსი. სახნავ-სათესი, სათიბი და საკუთარი წისქვილი ჰქონდა, რომელიც სოფელში ჩამომავალ ხანის წყალზე იყო აგებული. ამ მონოგენურ უბნებში საერთო იყო ჭურისთავეები და მარნები. წისქვილი ახლაც ბუნის საკუთრებაა. ხოლო ჭურისთავე და მარანი კარგახანია განაწილდა და სახლთან აქვთ მოთავსებული. აქ ყველა უბანი გვარის სახელს ატარებს, ქუჩას – შარას ახლაც გვარის სახელი ჰქვია. გილხუიძებით დასახლებულ უბანში გამავალ ქუჩას „გილხუიძეების“ შარას ეძახიან და ა. შ. წყაროებიც გვარების მიხედვით არის დაყოფილი. შვიდი წყარო შვიდი გვარის ან მათივე „გასახლებელი“ – შერქმეული გვართ მთიხსენიება. სახლთან ერთად ნახავთ რომელიმე სამეურნეო ნაგებობას და ზოგჯერ პატარა ბაღჩას. იქ ჩასულ სტუმარს თვალში მოხვდება „შავი



ღაზების აშენებული მსხვილიძეების ოდა-სახლი სოფ. ხანში.

ეზოს“ ჳიშკართან აკებული დიდი ზო-
მის ბოხელი. იგრძნობა, რომ აქ მესა-
ქონლე ხალხი ცხოვრობს. ზოგს ბოხე-
ლი სოფლის გარეთ ყანაში უდგას. ხანის
ასეთ დასახლებას მომხდური მტრის თა-
რემშაც შეუწყო ხელი. როცა ქვეყანა
დაწყნარდა და სათოფურიანი სახლიდან
შეწყდა სროლა, სოფელი ფერდობებზე
გავიდა საცხოვრებლად, ამიტომაც რომ
სახლთან მდებარე საკარმიდამო ნაკვე-
თები იქ შეტია.

ამ სოფელს არაერთი აიხრება განუ-
ცდია ვარეშე თუ შინაური მტრებისაგან.
ვინ მოთვლის იმ უსამართლობას. ძარც-
ვას და გლეჯას, რაც მეთერთმეტე საუ-
კუნიდან მოკიდებული, განსაკუთრებით
მეთექვსმეტე საუკუნეში და მცირე ინ-
ტერვალით შემდეგაც, ოსმალებმა ამ მი-
წაზე ჩაიდინეს. თავდასხმების შემდეგ
უკან რჩებოდა გაკაფული ტყე და აჩეზი-
ლი ბალ-ვენახები, ნახნავ-ნათესი, კაცის
მარჯვენის ნალვაწი და ნაამაგარი, ჩაქ-
ცული ეკლესიები, თავშესაფარს ეძებ-
და ხალხი: მიერეკებოდნენ ვადარჩენილ
საქონელს, კვიბან ცხენზე გადაღებული

ზურჯინებით და ფრჩხილებიანი ურმით
მიქქონდათ დარჩენილი ჳირნახული.

ხანში დიდი ხნის წინათ ხალხი ფაც-
ხა-სახლებში ცხოვრობდა. ასეთი სა-
ხლები ამ ოციოდე წლის წინ
ხანელ მოხუცებსაც კარგად ახსო-
ვდათ. აქ ნამყოფი უცხოელი მოგზაუ-
რები სხვა სახლებთან ერთად ფაცხა-
სახლსაც ახსენებენ. სათოფურიან კათხა
სახლს ხომ ჩვენც მოუესწარით. საფუ-
რადღებოა, რომ ხანში დასავლეთ სა-
ქართველოსათვის უწვეულო დარბაზულ-
ურდოიან სახლზეც მოგვიმოხრობენ. სოფ-
ელს ბოლო დრომდე ძველი ოდა და პალ-
ატიანი ოდა-სახლებიც ამშვენებდა. ზურ-
ოს ხელის სითბოთი და სიყვარულით აკ-
ებული ეს სახლები თავის სიღამაზით
იყო განთქმული; პალატიანი ოდა-სახლი
ეხლაც შენდება, ძირდგმული პალატიც
საკმაოდაა შემონახული. ძველი სახლე-
ბი ამჟამად აღარ არის. გაუყიდათ, მაგ-
რამ ხანი მაინც ძველებურად მშვენიე-
რია, მწვანე მთების და ზურების, საოც-
რად ცისფერი ცის, ხანის წყლის აქაფე-
ბული ზვირთების, ღამაზი პაწია წის-



ქვილების, გადაბმული ხავსიანი ყორვების, უღამაზესი ოდა-სახლების, საგვარეულო ჭურ-მარნების და დიდი მზრუნველობით მოვლილი საქონლის ბინების სამშობლოდ. ხანი დარჩა ეთნოგრაფიული კვლევის საუკეთესო მხარედ.

სოფელ ხანში უღამაზესი სახლები ლაზმა ხურობმა და მთმა ხანელმა შევირდებმა აავეს! ერთი სახლის წინა ფა-სალზე ამოწვარია წარწერა „ბათუმის გუბერნიის არპაკე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“ — ხა-მი ძმა ყოფილა ომერი, ახმედი და მუს-ტაფა, რომლებსაც აქ ლაზური სახლები უშენებიათ. ერთი სახლი გიორგი ნიტაიას 1937 წელს იმერეთის ექსპედიციის ან-გარიშში აქვს აღწერილი. ამ ოდა-სახლ-მა ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიპყრო, რომ იგი დღესაც ერდოიანი სახლის და დარბაზის სახელით იხსენიება. დღეს ხან-ლაზმული ხანელისათვის ყველანაირი დიდი ოთახი დარბაზია. ძველი მამა-პა-პეული სახლის მქონენი „დარბაზის“ შესახებ ამბობენ, „დარბაზი ერთი დიდი ოთახი რომაა, იმას ჰქვია, დარბაზი ძვე-ლი სიტყვაა, ახლა არაეინ იტყვის იმას“.

აღნიშნული ოდა გადაკეთებამდე ორი დიდი ოთახისაგან შედგებოდა. აივანს პატარა -ყურის ოთახი“ ჰქვეიდა რომე-ლსაც ორნამენტებით შემკული ცალფა კარი და პატარა სარკმელი ამშვენებდა. ერდოიან-დარბაზულ სახლს „მიწურ-სო-ხანიანი“ იატაკი ჰქონდა. „დარბაზული“ სახლის ჭერის ცენტრში, კერის ზემოთ, ადამიანის სიმაღლეზე ჩამოკიდებული ყო-ფილა ფიცრისაგან აკებული „ერდო“. მონათხრობით ვიგებთ, რომ „ერდო სოხანე-ზე“ კაცის სიმაღლეზე იყო დამკვებული. ერდოს ძირი ფართე ჰქონდა, თავი მოწყე-ული, წერილი, თანდათან შევიწროებუ-ლი. კვამლის ასასვლელი ისეთი, თავუ-კულმა წისქვილის ზეიმერი რომ ჩამო-კიდო. ერდო ისე იყო მოწყობილი, რომ კაცს შეეძლო გამრომა“. როდესაც ერ-დოს აყვანა დამთავრდებოდა მის გვერ-დით ხასინათლო ერდოს გამართავდნენ,

რომელიც შიგნიდან იკეტებოდა. ერდოს ვორც ჩანს, ერდო ჰქონდა იმ შემთხვე-ვაში, რომელიც დარბაზული სახლივით იყო აკებული. როგორ უნდა გაეყოფოთ, რომ ორფერდა ან ოთხფერდა სახურავით და-ხურულ სახლში ხასინათლო ერდო ჰქო-ნდათ? ხასინათლო ერდო ხომ ბანიანი სახლისათვის იყო დამახასიათებელი და არა ოდისთვის?! ამ სახლს, რომელსაც დარბაზულ და ერდოიან სახლს ეძახიან ამჟამად ფასადის მხარეს განიერი აივა-ნი და მის ორ მხარეს ლამაზი სკამ-ლო-გინი აქვს. სკამ ლოგინს ზაფხულში დასაწოლად იყენებენ. მასიური, ჩუ-ქურთმიანი სვეტებით და რიკულებიანი მოაჯირით შემკული აივანი ასევე ჩუ-ქურთმიანი კარით იკეტება. ასეთი სახლი, როგორც აღენიშნეთ, ხანში მხო-ლოდ სამი ახსოვთ. ამჟამად, ლაზების მიერ აკებული, ყოფილი „ერდოიანი“ სახლი, დღეს თბილისის ღია ცისქვეშ მუზეუმში დგას. მსხვილიძემ, ამ სახ-ლის მკვიდრმა პირველად ერდო მოხსნა და მისი ახილვე ფიცარი იმავე ოთახში ჭერისათვის გამოიყენა, ამის გამო შუა ცეცხლი გააუქმა. ფიცრის იატაკი დაა-გო და ერთი ბუხარი ააშენა, „მთავარ“ ოთახში პალატიდან ქვის ბუხარი ამოი-ტანა. საყურადღებოა, რომ ამ ბუხრის კამარის ორივე მხარე ჯვრისა და მზის გამოხაზული მთა არის მორთული. ბუ-ხარზე ამოკვეთილი ცენტრალური ორ-ნამენტით თითქმის გადაშლილია. ბუხრის ასეთი მორთულობა პალატიში და ხაერ-თოდ—„ერუ“ ოთახში მისი არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ ეს პალატი, რომელიც ამჟამად ამავე დანიშნულებით არ არის გამოყენებული, შესაძლებელია ძველად ძირითადი საცხოვრებელი ოთა-ხი იყო. რომელსაც შუა ცეცხლი და ერ-დო ჰქონდა, ვინ იცის გვირგვინიც, ზო-ლო შემდეგ ბუხარი აავეს. ამჟამად, ეს სა-ხლი ოდაა და დაბალ ქვით ნაგებ სამირ-კველზე დგას, უკანა მხრიდან როგორც აღენიშნეთ ყრუ პალატი აქვს, რომელიც ორად არის გაყოფილი, ერთში მარანი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



გამართული, მეორეში კი ძველმანები ალაგია. მარანში საწნახელს, ჭურისთვის განკუთვნილ იარაღს — ხარცხელს, ორხელს. ბარს, ჭურის დასატკეპნ უროს//საბვეველს, მარანის საქანავს და სხვა საჭირო ნივთებს ინახავენ. არ გაგიკვირდეთ, რომ მარანში მიწაში ჩაფლული ჭურები პამიდვრის წნილის და სულგუნის შესანახად არის გათვალისწინებული. რომლებიც მხოლოდ გაზაფხულზე უნდა გახსნან.


ძველად ქვის კერასთან გამართულ შუა ცეცხლზე ხარით მოტანილი შირი თავსდებოდა. კერის თავზე ერდოს დასაწყობ აყარზე შუაში საქაბე ჯაჭვი იყო ჩამოხბული, კერასთან ოჯახის უფროსის ხის ზურგიანი სკამი იდგა, ქალებისათვის კი დაბალი „სამფეხა“. კედლის ერთ მხარეს გამართულ გამწვლიმ ლოჯინს — ხის ტახტს ზისავე სასთუმალი ჰქონდა, საჭმელისათვის დაბალი სუფრა იდგა, ბუჯერზე საოჯახო ჭურჭელი ეწყო, ჭირნახულის დასაბინავებლად დიდ ხის ამბარს და კოდს ხმარობდნენ, ფქვილისათვის „ისარნას“, „სადაფქულეს“ და კასრს.

ერდოს შესახებ ამდენი მონათხრობი იმიტომ დავიმოწმეთ, რომ დასავლეთ საქართველოში ერდოიანი სახლი არაა ცნობილი (თ. ჩიქოვანი), მაგრამ ვვარაუდობთ, რომ იყო ცრუგვირგვინიანი სახლი, რომელიც ბოლო დრომდე შემონახულა. ეს არის ოთახის ჭერზე გვირგვინის მსგავსი დასაფეხურებული და მონუქურთმებული თაღი, რომლის საუკეთესო სახეობა სამეგრელოში აზომა და ჩახაზა არქიტექტორმა ლადო წილოხანმა, იგი ხეზე კვეთილობის იშვიათი ნიმუშია. ამაში ერდოიან-გვირგვინიანი სახლის ემბრიონი ხომ არ უნდა ეძიოს

კაცმა? შესაძლებელია ეს უძველესი ერდოც ამავე თაღის და სხვადასხვა გვინის დევრადირებული სახეობაა?!

ჩვენივის გარკვეულია, რომ ხანში და ზემო იმერეთის ზოგიერთ რეგიონში კერაზე დაშვებული „ერდოა“ გავრცელებული, კერაც ერდოს პირდაპირაა აგებული, მაგრამ როგორც ვთქვით ასეთი ერდო განსხვავდება ნამდვილ — საქართველოში გავრცელებულ, დარბაზის ერდოსაგან, რაც არ უნდა იყოს გამოწვეული უბრალო ტერმინების შეხვედრით, მაგრამ ნათელია, რომ ეს შემთხვევითი დამთხვევაც არ არის. ძველად იქნებ სამცხე-ჯავახეთთან მეზობლობის გავლენით, აქაც ჰქონდათ დარბაზულ გვირგვინიანი ნაგებობა და ერდო თავის პირვანდელი სახით? ვინ იცის იქნებ მსხვილიძეების წინაპრების სახლის „ერუ“ პალატი. რომელსაც როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე კერა, ხოლო შემდეგ საყურადღებო ორნამენტებით შემკული ბუხარი ამშვენებდა ქართლის ერდოიან-გვირგვინიანი სახლის დარბაზით იყო გადახურული და დარბაზი სწორედ იმას ერქვა? ჩანს ამ სახლმა ცვლილება რამდენჯერმე განიცადა და ლაზმა ზურომ მისზე ის „დაშვებული ერდოიანი“ სახლი ააგო, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ. ისიც შესაძლებელია, რომ ლაზების მიერ აგებული სახლის დარბაზიც ადრე გვირგვინიანი იყო?!

დარბაზი, ეს სპარსული სიტყვა გაციოთავივით — ქვაბლიანის ბეობაში იგი მთელ ნაშენობას — სახლს კი არ აღნიშნავს, არამედ სპეციალურად იმ დიდ ოთახს, რომელსაც მოღარბაზული სახურავი აქვს, ხედავთ როგორი დამთხვევაა!






„ქაჩუს ციხე“ ხეხურობით

შატილის სამხრეთ-დასავლეთით, მის-
გან დაახლოებით 1,5 კმ-ზე, მდ.
არღუნის მარჯვენა სანაპიროზე, ხო-
მათის ქედის ერთ-ერთ ციკაბო
კლდეებიანი კონცხის თავზე რამდენიმე
კომპლექსი საცხოვრებლის ნანგრევია
ჩვენამდე მოღწეული. ხეხურეთში ნა-
შთი თვითმხილველები კ. ვანი, პ.
უკაროვა, გ. დემიდივი და ა. ვამარაული
ძეგლს ძველი შატილის, ხოლო ს. მაკა-
ლათია „ქაჩუს ციხის“ სახელწოდებით
მოიხსენიებენ. თუ საცხოვრებელ ზონას
ადგილობრივი საკომუნიკაციო სისტე-
მისა და ტრადიციული სამშენებლო სო-
რმების კონტექსტში განვიხილავთ, ამ-
კარად შევამჩნევთ, რომ იგი ძალზე არა-
ხელსაყრელი პირობებით ხასიათდება.
დასახლება არაგვის ხეობაზე გამაჟღერ
ცენტრალურ გზას ძნელად გასავლელია
ვიწრო, საცალფეხო ბილიკით უკავშირ-
დება. იგი დაცილებულია სამეურნეო სა-
ვარგულებს, გახსნილია ყველა მიმარ-
თულებით ქარებისათვის და არც ინსო-
ლაციის მოთხოვნილებებს აქმაყოფი-
ლებს. ახლომახლო არ არის სასმელი
წყალი, თუმცა გაღმოცემით წყალი თი-
ხის მიღებით იყო შეყვანილი დასახლე-
ბაში. როგორც ვხედავთ, იმ მრავალ-
რიცხოვან ფაქტორთა შორის, რომელ-
თაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნდა
დასახლებული პუნქტისათვის ადგილის
შერჩევის დროს, აქ მხოლოდ თავდაც-
ვის ფუნქციისათვის გათვალისწინებული. ეს
ფაქტი კარგად შეუნიშნავთ შატილში
ნამყოფ მოგზაურებსა და მკვლევარებს.
მართლაც, ჩრდილოეთიდან, აღმოსავ-
ლეთიდან და სამხრეთიდან დასახლებას
ღრმა უფსკრულები ეკვრის და ამ მხა-
რებიდან მიდგომა პრაქტიკულად შეუძ-
ლებელია. ერთადერთი ვიწრო მისასვ-
ლელია აღმოსავლეთიდან. ქაჩუს ციხე
ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირ-
ებული ხუთი კომპლექსი საცხოვრებლისა-

გან შედგება და პირიქით ხეხურეთისა-
თვის დამახასიათებელ ტიპიურ დასახ-
ლებულ პუნქტს წარმოადგენდა. იგი ერ-
თიან, მტკიცედ შეკრულ ციხეს წააგავს
და შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი
სახელწოდებაც „ქაჩუს ციხე“. შემწე-
ულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს
მთიანეთში ტერმინი „ციხე“ რელიქტის
სახით გვიანამდე იხმარებოდა დასახლე-
ბული პუნქტის აღმნიშვნელად.
სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნა-
გებობა მოგვიანებით არის აშენე-
ბული, მას შემდეგ რაც მოსახლე-
ობამ დაბლა გადაინაცვლა და დასახლე-
ბა დროებით თავშესაფრად იქცა თავ-
დასხმების დროს. ამ ნაგებობამ ნაკეტა
ერთადერთი მისასვლელი, საიდანაც შე-
საძლებელი იყო სხვა კომპლექსი საცხოვ-
რებლებამდე საქონლის მიყვანა.
ნაგებობების კედლების კონფიგურა-
ცია რთულია. იგი ნაწილობრივ ტეხილი
და მრუდი ხაზითაც კია წარმოდგენილი,
რაც კლდოვანმა რელიეფმა განაპირობა.
საცხოვრებლების ზედა ნაწილი ჩამო-
ნგრეულია. კედლების სისქეების მიხედ-
ვით (0,6 მ) მათი ხართულიანობა ოთხს
არ აღემატებოდა. კედლების წყობაში
კედლის მონატეხი ქვა გამოყენებულა.
ხართულშუა გადახურვები და ბრტყელი
ბანიანი სახურავი ხის კოჭებზე ვიფილა
მოწყობილი.
№ 1 კომპლექსი საცხოვრებლის გაბა-
რიტული ზომებია 7,6X7,5 მ., ხოლო
№ 3-ისა 9X7,1 მ. გრძივი და განივი
ძალების განსაკუთრებულმა სიდიდემ
ნაგებობებში ქვის ცენტრალური საყრ-
დენი ხეხურების აუცილებლობა გამოიწ-
ვია. № 2 და № 4 ნაგებობების გრძივი
ძალი დიდია, შესაბამისად 10 მ და
9,6 მ., თუმცა განივი ძალი 5 მ არ აღე-
მატება და ამდენად, აღნიშნული კონს-
ტრუქციული ელემენტის საჭიროება არ
ვიფილა.



ქანუს ციხე. კრილი.

№ 4 ნაგებობების დასავლეთის კედლებს შორის.

გადმოცემებით, შატილის მხარის თელავპირველი მკვიდრნი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ანატორელები ყოფილან. ჭინჭარაულებს მოუსურვებიათ ზეობის ჩრდილოეთის დამასრულებელი ნაწილის ხელში ჩაგდება, რადგანაც ვინც ანატორს ფლობდა, მისთვის გზა ხსნილი იყო ჩენნეთ-ინგუშეთისაკენ, ხოლო არდოტ-ანდაკის ხეობების გავლით — თუშეთისა და ფშაუისაკენ. ამასთან ერთად, ანატორი ფაქტიურად ხევსურეთის კარს, ჩრდილოეთის მისადგომს წარმოადგენდა და აქ მაცხოვრებლებზე იყო დამოკიდებული ხევსურეთის უსაფრთხოება მეზობელი ტომებისაგან.



ფახადი.

კომპლური საცხოვრებლის პირველ, რიგ შემთხვევაში პირველ და მეორე სართულების სამხრეთ-დასავლეთის კედლებში შედარებული თაღით დასრულებული შესასვლელებია გაკეთებული. ზედა სართულების კედლებზე სარკმლები, საბრძოლო ღიობები და ნიშებია მოწყობილი. № 1 და № 4 ნაგებობებს შორის 1 მ სიგანის გასასვლელია დატოვებული № 2 და № 3 ნაგებობებამდე აღმინებლისა და საქონლის გასატარებლად. იგივე სიგანის გასასვლელია დატოვებული შეწყვილებულ № 2, № 3 კომპლურ საცხოვრებლებსა და № 1 და

ანატორელთა ადგილების დაატორების მიზნით ჭინჭარაულები ახერხებენ დასახლებას ქანუს ციხეში, რომელიც პლაცდარმად იქცევა, საიდანაც ისინი ცდილობენ მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პუნქტის ხელში ჩაგდებას. ნათელია, რომ ეს აქციები ანატორელთა მხრივ შესაბამის რეაქციას გამოიწვევდა. ანატორის ჯვარის დროშის ქვეშ გაერთიანებულმა ანატორელებმა რამდენიმეჯერ გაილაშქრეს (ერთხელ თუშთა ლაშქრის დახმარებითაც) ქანუს ციხის წინააღმდეგ, თუმცა ძნელადმისადგომ ადგილას აგებულ დასახ-

ლებაში გამაგრებულ კინჭარაულებს
ვერაფერი მოუხერხეს.

გადმოცემის ფინალური ნაწილი მო-
ვეითზრობს, რომ ანატორელებს საკუ-
თარი ჯვარი გასწვრომია და ჭამით გა-
უწვევტია ისინი. მარტო ერთ დღეს სა-
მოცი ხმლიანი მამაკაცი შესულა თავისი
ფეხით ანატორის აკლამებში. ძნელი
დასაჯერებელია, რომ გადმოცემის ეს
ნაწილი ობიექტურ ვითარებას ასახა-
დეს. ანატორის ცნობილი ხუთი აკლდა-
მა არა თუ სამოცს, არამედ 20-25 ად-
მიანსაც კი ვერ დაიტევს ერთდროულად.
ანატორელთა ფამისაგან გაწვევტის მო-
ტივს ასევე საეჭვოს ხდის მათი მიწას-
თან გასწორებული საკმაოდ დიდი და-
სახლებული პუნქტი — ანატორი, რომე-
ლიც ძალზე მოხერხებულ ადგილზე
მდებარეობდა.

როგორც ჩანს, საბოლოოდ კინჭარა-
ულებმა შესძლეს ანატორელთა გაძევება
თუ ამოწვევტა. მათი საცხოვრებლები
დაანგრიეს და ამის შემდეგ ქანუს ციხი-
დან დაბლა, არაგვისა და შატილის
წყლის შეერთების ადგილას გადმოინა-
ცვლეს, სადაც ახალ დასახლებას — შა-
ტილს ჩაუყარეს საფუძველი.

მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ
ამა თუ იმ კუთხის არქიტექტურული
ძეგლებისა და ფოლკლორული მონაცე-
მების შეჯერება ამ კუთხის განსახლე-
ბისა და დასახლების ისტორიის ცალკე-
ული ეტაპების აღდგენის შესაძლებლო-
ბას იძლევა.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს,
რომ ძეგლი ძალზე ცუდ მდგომარეობა-
შია და საკონსერვაციო სამუშაოებს სა-
ჭიროებს.





**იკვის წმ. გიორგის ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის
პოპლერული ფორმების შესწავლისათვის**

იკვის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს კასპის რაიონში, ნახოფლარ იკვის მახლობლად, მდ. შაბწყალას მარჯვენა შემაღლებულ ნაპირზე.


ეკლესიის გეგმა ნახევრად თავისუფალი ჯვრის ტიპისაა. სამი მხრიდან მკლავები თანაბარია, აღმოსავლეთისაკი რამდენადმე დაგრძელებული და ფართოა პასტოფორიუმების გამართვის შედეგად. ტაძრის მცირე ზომის გამო შიდა სივრცეც ძალზე პატარაა. იგი უფრო სიმძლავრითაა განვითარებული. ყურადღებას იმეორებს ამდღეობული ფორმები, დაგვირგვინებული ასევე მაღალი გუმბათით.

ეკლესია გარედან მომცრო ზომის სუფთად გათლილი, მომწვანო-მონაცისფრო ქვიშა-ქვის კვადრებითაა მოპირკეთებული. ინტერიერში კონს-


ტრუქციული ადგილები ამოყვანილია იგივე ქანის სუფთად გათლილი ქვებით, ხოლო იქ სადაც ნაღესობა ჩამოცვენილია, ტლანქად დამუშავებული ქვები მოჩანს.

ფასადების ძირითადი ნაწილი დეკორატიული ლილვებითაა გაფორმებული. სხვადასხვაგვარია სარკმლების მორთულობა; თუ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლები ორნამენტული საპირეებით არის მორთული, სამხრეთისა აბსოლუტურად სადაა.

იკვის წმ. გიორგის ეკლესია შესწავლილია ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგის მიერ. იგი იძლევა ტეგლის ორნამენტული მორთულობის ღრმა და საფუძვლიან ანალიზს და მათზე დაგრძნობით თარიღს — XI ს. დასაწყისს, რაც შეეხება არქიტექტურულ ფორმებს, იგი



იკვის წმ. გიორგის ეკლესია. გეგმა.



იკის წმ. გიორგის ციხესიმაგრის
აღმოსავლეთის ფასადი.



დასავლეთის ფასადი,
რესტავრაციის პროექტი.

აღნიშნავს ძველზე არსებულ უჩვეულო მომენტებს, მაგრამ მათზე პასუხის ვაცემისაგან თავს იკავებს.

ძველის დათვალიერებისას ყურადღებას იპყრობს დეკორი, რომლითაც განსაკუთრებით მდიდრულადაა მორთული გუმბათი. ნუქურთმებით არის შემკული დასავლეთისა და სამხრეთის კარების საპირეები, სარკმლები, კარნიზი.

დეკორითაა მორთული ასევე სამკუთხა ნიშები დასავლეთის ფასადზე, რომლებიც არქიტექტურულად საინტერესო გადაწყვეტას წარმოადგენს. მსგავსი მავალითი ქართულ ხუროთმოძღვრებაში ძნელად მოიძებნება.

ავარიულ მდგომარეობაში მყოფ ძველზე 1939 წელს ჩატარდა რემონტი, რის შედეგადაც მართალია ძველი გადარჩა, მაგრამ ვფიქრობთ, იმ დროს დაიკარგა ის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა აღვედგინა მისი თავდაპირველი სახე. გა-

ვიდა ხუთი ათეული წელი და ძველი ხელახლა სარესტავრაციო ვახდა. 1988 წლის 7 დეკემბრის მიწისძვრამ ნაებობა საგრძნობლად დააზიანა (აღმოსავლეთის ფასადზე ჩამოცივდა საპირე ქვების ნაწილი). სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ წინასწარ კვლევისას წამოიჭრა რიგი საკითხები. შევეხებით ზოგ მათგანს:

1. ძველს არ შემორჩენია გუმბათქვეშა კვადრატი;
2. დაბლაა ჩამოწეული ჯვრის მკლავების დახურვის კეხი და შეცვლილია საბურავის დახრილობა;
3. ფრონტონები დაწეულია ფასადს დეკორატიულ ლილვებამდე;
4. ბოლო რემონტის დროს გამართული თარო-კარნიზი არ შეენახა ძველის აგების პერიოდს, ამგვარად მიღებული ხუროთმოძღვრული ფორმები არ შეენახა ძველის საერთო მხატვრულ გადაწყვეტას.



ის ფაქტი, რომ ეკლესიას არ გააჩნია გუმბათქვეშა კვადრატი, სპეციალისტთა ერთი ნაწილი ხსნის ნაგებობის სიმცი-
რათ, ხუროთმოძღვარმა ასე გადაწყვი-
ტა-ო. გუმბათქვეშა კვადრატის უქონ-
ლობამ კი ფართო დეკორატიული სარ-
ტყლის ქვეშით დიდი სიმაღლის სადა
წყობა წარმოაჩინა, რის გამოც შეიქმნა
უზომოდ მაღალი გუმბათის ყელი, რაც
ძველის საერთო სიმაღლესთან აშკარად
დისპროპორციულია.

ჩვენთვის გაუგებარია — ხუროთმო-
ძღვარმა, რომელიც ბევრ ასპექტში
ძალზე მაღალ მხატვრულ გემოვნებას
და ოსტატობას ამჟღავნებს, რატომ
აირჩია ასეთი უმაგალითო არქიტექტუ-
რული გადაწყვეტა.

პროფ. ვახტანგ ცინცაძემ გამოთქვა
მოსაზრება, რომ ეკლესიას აუცილებ-
ლად უნდა ჰქონოდა გუმბათქვეშა კვად-
რატი, რომელიც შეკეთება-გადაკეთები-
სას დაიკარგა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩავატარეთ
საგანგებო კვლევა, რამაც ნაწილობრივ
გააშუქა ეს საკითხი.

ზარაჩოს მოწყობის შემდეგ, საშუალე-
ბა მოგვეცა ახლო დაკვირვებოლით ამ
ადგილებს, სადაც უნდა ყოფილიყო გუმ-
ბათქვეშა კვადრატი. კვლევამ მოლო-
დინს გადააჭარბა:

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ
„ჯვრის“ მკლავების გადახურვის კალ-
თების შეერთების ადგილსა და გუმბა-

თის ყელის მრუდს შორის სარტყლის
ლია სამკუთხა სიბრტყე, რაც ჩვენი ახ-
რით, გუმბათქვეშა კვადრატის არსებო-
ბაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მთავარია ის ფაქტი, რომ გუმბათის
ყელის დეკორატიული სარტყლის ქვე-
შით, 43 სმ-ზე, დასაუღეთის მკლავის
გადახურვის კეხის სიახლოვეს ოდნავ
ჩრდილოეთით, წყობაში ზის გათლილი
ქვა, რომელიც აშკარად გუმბათქვეშა
კვადრატის დასაწყისს მიეკუთვნება. იგი
15 სმ-ში ისეა ჩამოთვლილი, რომ გუმ-
ბათის ყელის მრუდს აგრძელებს. უფრო
მეტოც, ასეთივე ქვაა შემორჩენილი სა-
მხრეთ-დასავლეთ კუთხეშიც.

გუმბათქვეშა კვადრატის დასაწყისის
შემორჩენილი ქვები ავხომეთ, დავიტა-
ნეთ ნახაზზე და მასზე დაყრდნობით
ვცადეთ ძველის თაღაპირველი ფორმე-
ბის აღდგენა.

რეკონსტრუქციის შედეგად გუმბათ-
ქვეშა კვადრატის აღდგენამ მოაწესრიგა
ძველის ხუროთმოძღვრულ ფორმათა
ურთიერთშეფარდება, შესაბამისად აღ-
ვადგინეთ კეხის მდებარეობა. ამადღა
ფასადებზე ფრონტონები, რამაც განსა-
ზღვრა სახურავის დაქანება. ამის შედე-
გად დადგენილი იქნა დეკორატიული
თაღების მოხაზულობა.

კვლევა ამით არ დამთავრებულა. იგი
მომავალი სარესტავრაციო სამუშაოების
წარმოებისას გავრძელდება.

ჯერი

(კვების ხალხური რეჟიმის ისტორიიდან)

კვების ხალხური სისტემის ერთ-ერთ არსებით მხარეს საკვების მიღებისა და განაწილების თანმიმდევრული წესი წარმოადგენს; ხალხში მას „ჯერს“ ანუ „სერს“ უწოდებენ.

ძველად ჯერის ზომიერი გაწონასწორებული დაცვა უწინარეს ყოვლისა ორგანიზმისათვის საჭირო აუცილებელი კალორიულობის შენარჩუნებასა და ნიუთიერებათა ცვლის მოწესრიგებას უწყობდა ხელს. ამავე დროს იგი შრომითი პროცესების (აღოთა სამუშაოების) რეგულირებისა და მათი სეზონურად სწორად წარმართვის ერთ-ერთ უცილობელ პირობას წარმოადგენდა. ეს იყო საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ტრადიციული მოდელი, რომელიც თავისი ხანგრძლივობისა და დანაშნულების მიხედვით ორ ძირითად ეტაპს მოიცავდა. ყოველდღიური და წლიური რეჟიმი დღის გარკვეულ მონაკვეთებში ერთჯერად ულუფათა ანუ „იჯრათა“ („ინჯრათა“) რაოდენობის განსაზღვრის, საკვების სახეობების შერჩევისა და მისი დანაწილების მაქვენებელი იყო. ხოლო წლიური რეჟიმი ყოველივე ამასთან ერთად, კვების სამეურნეო სამუშაოთა სეზონური ციკლის თანახმად, წელიწადის დროთა შესატყვისად ცხოველური და მცენარეული საკვების ურთიერთთანაცვლებასაც ითვალისწინებდა. ეს უკანასკნელი ხალხში მარხვის სახელწოდებითაა ცნობილი. წარსულში მასზე ბევრად იყო დამოკიდებული არა მარტო ჯანსაღი, რაციონალური კვება (ამა თუ იმ საკვების გარკვეული პერიოდით თმობა), არამედ საერთოდ, ცხოვრების წესი, ადამიანის სულიერი, ფიზიკური და მორალური გაჯანსაღება. ამჯერად მხოლოდ პირველ

ეტაპზე — კვების ყოველდღიურ რეჟიმზე შევჩერდებით.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ხალხში ყოველდღიური სანიადაგო კვების რეჟიმი სხვადასხვაგვარადაა გააზრებული და ეს სხვადასხვაობა არა მხოლოდ მოცემული მხარის (თუ ქვეყნის) კლიმატო-გეოგრაფიული პირობებითაა გამოწვეული, არამედ შრომის ხასიათით, სეზონურობით და მეურნეობის ტრადიციული ფორმებით.

როგორც ეთნოგრაფიული სინამდვილე ცხადყოფს ქართულთა ყოველდღიური კვების რეჟიმი ძირითადად სამჯერად, ზაფხულობით კი ოთხჯერად ციკლს მოიცავდა. ეს იყო საუზმე, სადილი, სამზარი და ეახშამი.¹ აქედან სამზრობა მხოლოდ ზაფხულობით, აღოთა სამუშაოების დროს (თბათყესა და მკათათყეში) იმართებოდა, როცა დღის ხანგრძლივობის გამო, საველე სამუშაო დილაადრიან ცისკრის გახსნიდან (აღიონზე) იწყებოდა და გვიან საღამომდე შებინდებამდე გრძელდებოდა. (მკის დროს კი იგი ღამითაც მიმდინარეობდა).

საეურადღებოა, რომ იმდროინდელი სადილი სრულიადაც არ შეესაბამებოდა ჰის დღევანდელ გაგებას და იგი დაახლოებით შუა დღეს ემთხვეოდა, როცა უთენია ამდგარი და უკვე კარგად ნაშრომი გლეხი კაცი მზის საშუბლზე გადმოწვევისას დილის ჯერს „სადილის“ მიართმევდა (აქედანაა ნაწარმოები თვით ტერმინი სადილი). შემდეგ სიციხისაგან შეწუხებული მცირე ხნით ჩრდილში დაისვენებდა და ნაშუადღევს შუშობას კვლავ განახლებდა. როგორც კი დაისამზრებდა (მზე სამზრეთისაკენ დაიხრებოდა) მეგუთნეები საღამოს ჯერს — სამზარს მიართმევდნენ, ხოლო მოგვიანებით შინ მობრუნებულნი, ოჯა-



ხის წევრებთან ერთად ვახშმად სხდებოდნენ. ზოგჯერ (და არცთუ იხე იშვიათად), უმეტესად კი ზამთარში, შრომაში მოუცლელნი უვახშმოდაც რჩებოდნენ. თუ სხვა რამ საერთო საქმე არ ქონდათ ვასაკეთებელი. იმ შემთხვევაში კი, როცა „ნალი“//„მოღვაში“ ან სხვა რამ ამგვარი შეამხანაგება იყო, მას შესაბამისად „სამხრის კუდს“ მოაყოლებდნენ. სამხრის კუდს სერის კუდს, სირის კუდს ან ძილისკუდოსაც უწოდებდნენ, დ. ჩუბინაშვილის თქმით სერის კუდი ვახშმის უკან დაწოლის წინ გამართული პურობაა.² თუმცაში „სერის კუდი“ მატყლის დამუშავების (მატყლის ჩეჩვისა და ძაფის დართვის) დროს იცინან, როცა ოჯახი შრომით შეამხანაგების დროს მოხულ სტუმრებს სამყურადად უმასხინძლდება. სერის კუდი ანუ საძილისკუდო კახეთის ზოგიერთ რეგიონში დღემდეა შემორჩენილი, როგორც კოლექტიური ტრაპეზის ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა.³

საინტერესოა სანიადგო კვების თითოეული ჯერის რაციონი ანუ საკვებთა შემადგენლობა, ამ მხრივ არსებული ხალხური წესი. ჩანს, რომ ძველად საჯერო რაციონი გარკვეულწილად იცვლებოდა წელიწადის დროთა მონაკვეთებში (სეზონურად) და დიდად იყო დამოკიდებული მარხვისა და ხსნილის მონაცვლეობაზე. ამასთან, ყოველი ჯერი თავის არსებით, განმასხვავებელ გამოჩენულ ხასიათს ატარებდა, რაზეც მოკლედ შეეწერებოთ:

საუზმე. როგორც თვით ტერმინიდან ჩანს საუზმე უზმოზე მისაღებ საკვებს ნიშნავს. სულხან-საბას განმარტებით იგი დილაზედ გამოღვიძების შემდეგ პურის ჭამაა.⁴ კახეთში უსაუზმოდ დარჩენილ კაცს უნაყროს//უნაწილოს ეძახდნენ, მასზე იტყოდნენ ნაწილი არ უნახავს, საჭმელს რო შეჭამს ნაწილში გაერევაო. აქ გამოთქმაც არის შემორჩენილი უნაყროზე გუგულმა დამძლიაო.⁵

რაჭაში სწამდათ, რომ თუ გუგულის

ხმას უნაყროზე გაიკონებდნენ, მისი უფლები რაქო დღის მომასწავებელდ იქნებოდა. მაღვენლობით საუზმის ჯერი მცირე რაციონისაგან შედგებოდა. მაგრამ კალორიულობით ზომიერი იყო. ამ მხრივ ზონალურად, მთასა და ბარს შორის მცირეოდენი განსხვავება თუ შეინიშნებოდა. საუზმობდნენ ძირითადად პურითა და ყველით ან რძის სხვა ნაწარმით (ხაჭო ან ნაღული, მაწონი) კვერცხით. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დილით თუ ქვინდათ ხორციც იცოდნენ (ან ერბოში გაცხებულუი ხინკალი); სიმხნევისათვის მამაკაცები ცოტაოდენ არაყსაც დაყოლებდნენ, ხოლო ქალები და ბავშვები პიტნის ან კუნელინ ჩაის. ზღებოდა, ისიც, რომ ზოგჯერ სანადიროდ, შეშის მოსაჭრელად ან სხვა რამ საქმისათვის ადრე შინიდან უმძრაზად გასული მამაკაცი, პურს არ შეჭამდა და საგზალს „აგით“ ან ხურჯინით“ წაიღებდა. (საგზალში შედიოდა ხალი//ჭუმელი, ან პური და ყველი; მათარით წყალი ან არაყი). სხვა შემთხვევაში ოჯახის ყველა წევრი ერთად საუზმობდა და საუზმის შემდეგ ყველა მათგანი თავ-თავის მოვალეობას შეუდგებოდა.

სადილი. საუზმის შემდეგ სადილის ჯერი მოდიოდა. მისი რაციონი საუზმესთან შედარებით უფრო კალორიული იყო და პურის, ყველის და საუზმიდან მორჩენილი სხვა საკვების გარდა წენიან კერძს შეიცავდა, დასავლეთ საქართველოში უხვად იცოდნენ მწვანის და სხვა მცენარეული საკვების გამოყენებაც.

სამხარი. სიტუაციის მიხედვით სამხარი შეიძლებოდა ოჯახში ან სამუშაოდ გასულთ მინდორშიც გაემართათ, უმეტესად კი იგი საველე ტრაპეზთა რიცხვს განეკუთვნებოდა. ზაფხულში ხშირად გუთნეულის ჯერს უტოლდებოდა, ხოლო ზამთარში საჯალაბო პურობის ფორმას ღებულობდა, მაგალითად, მთიულები გაზაფხულამდე მხოლოდ სა-



დღი-ვახშმით კმაყოფილდებოდნენ. სამხარს კი გაზაფხულიდან იწყებდნენ. ამბობდნენ კიდეც, „როცა წეროები საზამთრო სამყოფში გადავლენ, მერე ხალხს სამხარი აღარ უნდაო“.¹ საჯეროდ ან სახამხროდ ქართლსა და კახეთში დიასახლისი სავანეებოდ წენიან კერძს ამზადებდა, რისთვისაც (შჰამელთა რაოდენობის შესაბამისად) სათანადო ჭურჭლის სახეობას იყენებდა. ეს იყო სავერო ან საჯალაბო ქვაბი. რომელიც ზოგიერთ კუთხეში თითქმის დღემდე ამ სახელწოდებითა შემორჩენილი. ჯერის ეს რაციონი, საკვებთან ერთად, სასმელსაც მეტი რაოდენობით შეიცავდა, რადგან ხერობა ძირითადად სამხრობის შემდეგ იციოდნენ და ეს იყო შრომიხა და ღზინის დრო, რომელსაც არაერთი საინტერესო მხარე გააჩნდა. რაც შეეხება სამხრის კუდს, როგორც უკვე ზემოთ მოვახსენებდით, პურობის ეს ფორმა ყოველთვის სავალდებულო ხასიათს როდი ატარებდა. იგი უმეტესად შრომითი შეამხანაგების ფორმებს ახლდა თან. ზოლო ვახშამი მწუხრის საჯერო პურობა იყო, რომელიც შედარებით მსუბუქი, ნაკლებ კალორიულ საკვებთა შემადგენლობით გამოირჩეოდა და დღისა და ღამის მონაცვლეობას რაციონალურად ითვალისწინებდა. ვახშმობდნენ მასწვით, მხალეულით, პურით, სხვა საკვები პროდუქტებით.

როგორც საკითხის კულტურულ-ისტორიულ კრილში განხილვამ დადროთა განმავლობაში ცხოვრების წესისა და სამკურნელო ყოფითი პირობების, სოციალ-ეკონომიკური მოვლენების სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად, აგრეთვე საქალაქო ცხოვრების გარკვეულწილად ზემოქმედებით, არსებითად შეიცვალა კვების ხალხური ტრადიციული რეჟიმი და ჯერთა მონაცვლეობის ბუნებრივი ციკლი. სიღიშმა დაკარგა თავისი ოდინდელი შინაარსი და თანდათან, დროის თვალსაზრისით, სამხარს დაუახლოვდა. (ახლა სადილს ოჯახებში საღამოს 5-6 საათზე გამართულ პურობას უწოდებენ. ოფიციალურ წრეებშიც იგი სამუშაო დღის შემდეგ იმართება თუ არ ჩავთვლით ზოგადად შრომით კოლექტივებსა და წარმოება-დაწესებულებებში შუა დღის შესვენებას). დღეს სამხარიც სამხრის კუდთან ერთად თითქმის დაიწყებულა, ამასთან ვახშამიც ერთგვარ მძიმე, სულ სხვა ხასიათის ჯერად გადაიქცა, რამაც ამკარად დაარღვია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კალორიულობისა და ნივთიერებათა ცვლის ხალხური რაციონალური ბალანსი. ყოველივე ამან კი ჩვენი საზოგადოებრიობა მრავალი ახალი მტკივნეული პრობლემის წინაშე დააყენა.

1. ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილის განმარტებით პირველი მიღება საქმლის არის საფხზე, მეორე სადილი, მესამე სამხარი, მეოთხე ზარმელი ანუ ვახშამი (გ.გ.), მეხუთე სერისკული, იბ. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1964, გვ. 1163.
 2. დ. ჩუბინაშვილი, დსაბ. ლექსიკონი.
 3. მასალა მომართა ეთნოგრაფებმა — ნ. აბურმა და ე. შენგელიამ, რისთვისაც მათ მადლობას მოვასწავებ.

4. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა.
 5. ნ. ჭიჭია, ქართულ მოთელთა კვების რეჟიმი, საქ. საბ. მუზეუმის მოამბე, XXXVI — B თბ., 1967, გვ. 96.
 6. თამარ ანთიმოზის — ასულ არსინიძე-გოციოძის ზეპირი გადმოცემა.
 7. ნ. ჭიჭია, დსაბ. ნაშრომი, გვ. 96.



ოჯალეში

საქართველოში საუკუნეთა მანძილზე შექნა ხელთა თაობების დაუცხრომელი გარჯის და ძიების შედეგად არაერთი მალალხარისხოვანი ვაზის ჯიშია გამოყვანილი. რომლებიც ხალხური ხელექციის შესანიშნავ მონაპოვრად შეიძლება მივიჩნიოთ. მათ შორის ერთერთი საუკეთესოა მეგრული ოჯალეში. საუცხოო ხალხურ ჯიშში, რომელიც ხალხში ცნობილია აგრეთვე შონურის (სეანურის) სახელწოდებით.

გასული საუკუნის მკვლევართა შორის პოპულარული იყო ოჯალეშის, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი ეტიმოლოგია, რომელიც პირველად კ. ბოროზდინს აქვს მოტანილი თავის ნაშრომში, შემდეგ კი მას სხვა ავტორებიც იმეორებენ. თითქოს სახელწოდება ოჯალეში წარმოდგებოდეს ობჟალეშიდან, რომელიც ვენახის ადგილმდებარეობას (შხვარე ადგილს) აღნიშნავს. (მეგრულში ბჟა — შხვა, ობჟალე — შხვარე ადგილი). ამასთან მიუთითებენ, რომ ანალოგიური წესითაა ნაწარმოები ფრანგული ჯიშის — ბორდოს სახელწოდება — cote — rotie. აღნიშნულ საკითხს საგანგებოდ შეეხო ივ. ჯავახიშვილი. მისი განმარტებით, ოჯალეში ვაზის მალღარობის გამოშატველი მეგრული ტერმინია. ის „თაუდაპირველად ხეზე (ჯა) გასაშვები ვაზის ჯიშის ზოგადი სახელი იყო (ოჯალეში“), რომელიც სამეგრელოში ერთ დროს ფართოდ გავრცელებულ ჯიშს (შონურს) შემორჩა. საგულისხმოა რომ დაბლარად დაყენებული ოჯალეშის ვაზი ვერ აღწევს მძლავრ ზრდა-განვითარებას და იძლევა მცირე მოსავალს. მაშინ როდესაც მალღარად ან ოლიხნარად ფორმირებული იგივე ვაზი უხვი მოსავლით გამოირჩევა.

ამპელოგრაფიულ ლიტერატურაში სახელები ოჯალეში და შონური ერთ

თი და იგივე ჯიშის სინონიმებადაა მიჩნეული აღნიშნული სახელების სინონიმობას ადასტურებენ ი. ყიფშიძე და ივ. ჯავახიშვილი, თუმცა ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ განსხვავებულია ოჯალეშის აღწერილობები, რომლებიც გახული საუკუნის ავტორებს ეკუთვნიან. ს. მაკალათია, ჩამოთვლის რა სამეგრელოში გავრცელებულ ვაზის ჯიშებს, ცალ-ცალკე იხსენიებს ოჯალეშს და შონურს და იძლევა მათ განსხვავებულ დახასიათებას. ს. მაკალათიას მიხედვით, ოჯალეში შავი წვრილმარცვლიანი ჯიშია. რომელიც საუკეთესო ღვინოს აყენებს, შონურიდან კი საშუალო ღირებულების ღვინო დგება.

ჩვენ, ველზე მუშაობის დროს, შესაძლებლობა გვქონდა შეგვეჯერებინა სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში მცხოვრებ ინფორმატორთა შეხედულებები ოჯალეშის და შონურის ურთიერთმიმართების თაობაზე. აღმოჩნდა რომ მთხრობელთა ერთი ნაწილი ოჯალეშს და შონურს განსხვავებულ ჯიშებად მიიჩნევს. თუმცა ხშირად უკრთ მათი განმარტებული ნიშან-თვისებების მკაფიოდ მითითება. არის ოჯალეშის მხოლოდ ერთი სპეციფიკური ნიშანი, რომელსაც ყველა მთხრობელი ადასტურებს: ამბობენ, რომ ოჯალეშიზაგან უფრო სქელი და მაგარი ღვინო დგება, რომელიც უფრო კარგად ინახება, ვიდრე შონურის ღვინო; ოჯალეშის და შონურის მიმართების შესახებ განსხვავებული შეხედულებაც არსებობს. მაგ. სოფ. ნახუნაოში ჩაწერილი მასალების მიხედვით ოჯალეში და შონური იდენტური ჯიშებია: „ჩვენ ოჯალეშს ვეძახით, სხვები — შონურს“. „შონური ხშირად ტყეში, გავლურებულია, ოჯალეში შონურიდან არის გადმოყვანილი“.

გასული საუკუნის შუა ხანებში ოჯალეში ფართოდ იყო გავრცელებული



ტუხურის და აბაშის ხეობებში. ვახის სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გამოჩენის შემდეგ, საუკუნის ბოლოს მისი ფართობი (განსაკუთრებით მაღლარი ოჯალემის) საგრძობლად შემცირდა. ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში ოჯალეში ცალკეული ძირების სახით იყო შემორჩენილი სამეგრელოს მთისპირა სოფლებში.

ეთნოგრაფიული მონაცემები მოწინაა, რომ საუკეთესო პროდუქტს ოჯალეში სოფ. სალხინოში იძლევა. ამასვე ადასტურებს კ. ბოროზდინის ცნობა, რომელიც გასული საუკუნის შუა ხანების ვითარებას ასახავს: „მთელი ზეგანი სოფ. შხეფიდან სოფ. სალხინომდე დადიანებს ეკუთვნოდათ. ამ ზეგანზე მოსული ღვინო საუკეთესოდ ითვლებოდა არა მარტო სამეგრელოში, არამედ თითქმის მთელ კავკასიაში. შხეფში, თამაკონში, ნახუნაში, თარგამოულსა, აბეღათასა და უშაფთაში საუკეთესო ღვინო დგებოდა და ამათგან ყველაზე უკეთესი — ოჯალეში, მთავრის ვენახებში, სოფ. სალხინოს, მოდიოდა“. ჩვენი სალხინოელი მთხრობლების მტკიცებით ვახისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ამ სოფლის გარკვეულ უბნებში (ლეცავე, ლესხულუხე) არსებობს. აქ ოჯალემის ჩარგავებზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ქარი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი მასკურს უწოდებენ. როგორც გადმოგვცეს, მასკური ქვიბიას მთიდან ქრის. მდ. ჭანხურას ხეობას მივყავა, დიდ ფართობზე გაშლის საშუალება მას არა აქვს, ამიტომ კარგად ამრობს ცვარს იმ უბანში, სადაც ქარი ქრის ჰავა სიმშრალით გამოირჩევა, ოჯალეში მშვენიერად მწიფდება და საუკეთესო ღირსების ღვინოს იძლევა.

ოჯალემის ყურძენი გვიან იწეოდა და დასავლეთ საქართველოს სხვა მაღლარი ჯიშების მსგავსად გვიან (ნოემბერ-დეკემბერში) იკრიფებოდა. ზოგჯერ მას იანვრამდეც კი აჩერებდნენ ხეებზე.

რადგან შემკვნიარი ყურძნიდან დაშობული ღვინო კარგი ფერით ფერადობდა. რით გამოირჩეოდა. სამეგრელოში მიღებული იყო — სიცივეში დაკრფილი ყურძენი. სანამ ფეხებით დაიწურებოდა, ერთი დღით საწნახელში უნდა გაეჩერებიათ შესათბობდ. წითელი ღვინის და ხანგრძლივად შესანახი თეთრი ღვინის დასამზადებლად ტკბილს რამდენიმე დღე ჭაჭაზე ტოვებდნენ საწნახელში. ამ ხნის განმავლობაში მას რამდენჯერმე ფეხებით შეხედავდნენ; ყოველი შეხედვის შემდეგ გამოწურული წვენი ლავანში გადაჰქონდათ საბოლოოდ დასადუღებლად. ჩვენი მთხრობლები ამბობენ, რომ ყველაზე მაგარია ოთხჯერ გახელილი ყურძნისგან დაშობული ღვინო (ჯერღვაში ღვინი). საფიქრებელია, რომ ჭაჭაზე ზემოთ აღწერილი წვენი დადუღებული წვენი ივარაუდება XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის ე. შარდენის ცნობაში, რომელიც ქებით იხსენიებს მაგარ და სქელ მეგრულ ღვინოს.

როგორც ჩანს. ეს ხალხური გამოცდილება გამოიყენა სამეგრელოს მთავარმა დ. დადიანმა, რომელმაც თავის მამულში, სალხინოში, ოჯალემის მოზრდილი ვენახები გააშენა და დასაბამი მისცა ოჯალემის ღვინის დიდი რაოდენობით დაშლადებას. გასული საუკუნის მახალებიდან ცნობილია, რომ მთავარს სოფ. მარანში საჯანგებო მარანი ჰქონდა, სადაც ერთ-ერთი მეგრული ჯიშის პუმპულას ღვინოს აყენებდა. ზოგიერთი მთხრობლის მტკიცებით. სალხინოში არსებობდა მარანი ჭურებითურთ ოჯალემის ღვინისთვისაყ. მთავრის რეზიდენციაში „დღეხასწაულებზე ღვინო შადრეკანივით იღვრებოდა“. სამეგრელოს და გურიის მთავრები თავს იწონებდნენ თავიანთი სახელგანთქმული ღვინოებით; ზშირად აწყობდნენ მათი საუკეთესო ნიმუშების (მეგრული ოჯალემის და გურული ჯანის) შეჯიბრს. ოჯალემის ვენახები კიდევ უფრო გაა-



ფართოვეს მთავარის სიტემ ა. მიურატმა და პრინცესა მიურატმა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ოჯალუმის მალღარები ძლიერ დააზიანა ვაზის აუადმყოფობებმა და საჭირო გახდა ოჯალუმის კენახების აღდგენა ამერიკულ საძირებზე დაყენილი დაბლარის სახით. სამეგრელოს მთავრის მეგვედრებმა ევროპულ ყაიდაზე მოაწვევეს მეურნეობა და ხელი მოჰკიდეს ოჯალუმის ღვინის დიდი რაოდენობით დამზადებას და გასაღებას. საგულისხმოა, რომ საუცხოო, რომელსაც მთელ კავკასიაში ჰქონდა სახელი მოხვეჭილი, საქართველოს ფარგლებს გარეთ საზღვარგარეთის ბაზარზე გადიოდა. ეჭვს გარეშეა, ამ დროს მას საუკე-

თესო სამარკო ღვინის გაქვას ვაჭარებმა დაიწყეს.

სპეციალისტების დასკვნით ოჯალუმში თავისი თვისებებით ალაზნის მარცხენა ნაპირის ღვინოებს უახლოვდება. ძველთაგან მის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევენ მუქ წითელ ფერს, სისქეს, სიმკვრივეს, მშვენიერ არომატს, შენახვის უნარს, ტრანსპორტაბელურობას. გასულ საუკუნეში ოჯალუმს ხან ბურგუნდიულს, ხან პორტვინს ადარებდნენ. ბევრი მას უპირატესობას ანიჭებდა საუკეთესო კახურ ღვინოებთან შედარებით; თვლიდნენ, რომ ოჯალუმს ბადალი არ მოეპოვება მთელს კავკასიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივ. ჩავჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. II, ტფ. 1935.
2. ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამბელოგრაფია, თბ., 1960.
3. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
4. რ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.
5. ჭ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935.

6. ჯ. ბოროზდინი, სამეგრელო, ტფ. 1935.
7. Е. Накашидзе, Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мегрелии, сб. св. по виноградарству и виноделию на Кавказе, Тифлис, 1895.
8. К. А. Бороздин, Крепостное хозяйство в Мегрелии, Записки Кавказ. отд. Импер. русского геогр. общ., т. VII, Тифлис, 1897.



ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა და განავითარა მუხრნობის რიგი დარგები, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადი ადგილი შეეკნახებოდა მღვინეობას უკვეა.

საქართველო წარმოადგენს მღვინეობა-მღვინეობის ისეთ სამშობლოს, სადაც ნამოყალიბდა 500-ზე მეტი ვახის ჯიში. თითოეული ჯიში ხალხის ღრმა დაკვირვების და მრავალრიცხოვანი ცდების შედეგადაა მიღებული. მათ შორის საუკეთესოა ხალხური სელექციით მოპოვებული ნიმუში — მანავის მწკანე.

გარე კახეთში მანავი ისტორიულად ცნობილი სოფელია, სადაც დგება საუკეთესო ღვინო — მანავის მწკანე. ისტორიული წყაროების მიხედვით სოფელ მანავში ოდიშთაგან გაშენებული ყოფილა „საბერო“ და „სადელიფლო“ ზერებია. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „დამპალას აღმოსავლეთით, ნრდილოეთით არს ჰერეთის მთის ძირს მანავი, ღვინო მანავისა კეთილი“.¹

იშვიათია სოფლები, სადაც ვენახებში ერთი ჯიშის ვახი იყო გაშენებული. ამგვარი ვითარება იყო სოფელ მანავში, რაც გეოგრაფიული მდებარეობით და ნიადაგის თავისებურებებითაა განპირობებული. „მწკანე ჯიშის ვახს უყვარს ცხელი და თიხამიწიანი ნიადაგი, ქვიშიან ნიადაგში კარგად არ გვაობს.“² ხელშემწყობ პირობებში გაშენებული მწკანე განსაკუთრებული ღირსების პროდუქციას იძლევა. სწორედ ასეთია გარე კახეთში სოფ. მანავში დამზადებული ღვინო.

მწკანე — თეთრურძნისანი ვახის ხალხური ჯიშია. იგი საშუალო ან საშუალოზე მეტი იზრდება, ნახი ვახია მარცვალი მწკანე აქვს, მისი რქა პატარაა. ბაცი მწკანე ფერისა ფოთოლი საშუალო ზომისაა, მუკი მწკანე და მოძრგვალო ბადისებრ დანაოჭებული ზედაპირით, კვირტები ახლო-ახლო აქვს. მარცვალი საშუალო სიდიდის, ფორმით ოვალურ-

რია, თხელკანიანი, წვეს ბევრს იძლევა. ძირითადად მოკლე მტევანია, თუმცა საშუალო სიმკვრივისა და მტნხერი მტევნებიც გვხვდება. გარე კახეთის მოსახლეობა მწკანე ვახის ხუთ სახეობას არჩევს: 1. ჰორფლიანი მწკანე, 2. ყვითელი (მოყვითალო) მწკანე, 3. მანავის მწკანე, 4. ნაბადა მწკანე და 5. წობენური მწკანე.

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მწკანეს კახეთში თურმე საფენასაც უწოდებენ. საფიქრებელია, რომ საფენაც საფერავის, ანუ საფერეს მსგავსი ტერმინი უნდა იყოს. ეს მოსახრება მით უფროა დასაჯერებელი, რომ მწკანეს წვესაც თეთრი, უფრო მღარე ღირსების ყურძნის ჯიშების წვესში განაზღვრებდნენ ხოლმე მათი თვისებების გასაუმჯობესებლად.³

ა. ფირალოვის და ს. შავერდოვის ცნობით: „არსებობდა მწკანე ვახის სახეობები, ერთ-ერთ მათგანს „დამჭკნარას“ — აც უწოდებდნენ“.⁴

გარე კახეთში მწკანე ჯიშის ყურძენი მწიფდება სექტემბრის ბოლოს — ოქტომბრის დასაწყისში. მისგან დამზადებული ღვინო მომწვანო ფერისაა, გემოთი ნახი, რბილი და მარმონიულია. შეიცავს ალკოჰოლის 11-12% -ს, დაძველების ხანაა სამი წელიწადი.⁵

ადგილობრივი მუხრნე შემდეგ მოთხოვნებს უყენებდა კარგ ღვინოს: ღვინო უნდა ყოფილიყო წმინდა. გემოიანი, არ ჰქონოდა მიწის გემო და ყოფილიყო სასმელად მაგარი. ფერის მიხედვით მიხრობელები არჩევენ: თეთრ წითელ, მწკანე ღვინოს.

კახეთში ღვინის დამზადების წესები თავისი სპეციფიურობით ხასიათდება და მკვეთრად განსხვავდება ქართლისა და დასავლეთ საქართველოში არსებული წესებისაგან. კახეთში ღვინის დამზადების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ როგორც თეთრი, ასევე წითელი ღვინო მზადდება მთელ ჰაჭაჭე.



საქართველოს სხვა კუთხეებში ყურძნის ტკბილი დულს ჭაჭის უმნიშვნელო რაოდენობაზე (ქართლში), ან უჭაჭოდ (დასავლეთ საქართველოში). გარე კახეთში წითელი და თეთრი ღვინოების დამზადების წესი ერთმანეთისაგან განსხვავდება. როგორც ჩანს, მანავის მწვანის დამზადების წესი ძველი დროიდანვე ჩამოვლილბდა ის მზადება კახური წესით მთლიან ჭაჭაზე („დედაზე“).

ყურძნის წვენი ღვლილი დამოკიდებულია ჭურჭელზე და მარნის ტემპერატურაზე. ორი-სამი დღის დაწურულ ყურძნის ტკბილს, რომელიც დედაზე დულს, ახსიათებს შუშხუნი, ამ დროს ყურძნის წვენს — შაქარს ემახიან. ერთი თვის განმავლობაში ყველა ღვინო მაჭარია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „პირმოწიო — მაჭარი ტკბილი და პირს მაჭიადარი“ არის“-ო.⁵

გარე კახეთში მწვანისაგან დამზადებული ღვინის გადაღების ვადები (იხევე როგორც თეთრი ღვინოების) შემდეგნაირად მოჩანს: პირველად — ჭაჭის გამოცლა (ოქტომბერში); მეორედ — ძირის გამოცლა (ანუ ლექის), საახალწლოდ, ნოემბერ-დეკემბერში; მესამე გადაღება ვახაფხულზე (კვირტის გამოხვლამდე). ამ დროს ღვინო ქვევრში ტრიალებს და თუ არ გადაიღე გადაბრუნდება. თეთრ ღვინოს პირველ წელიწადს სამ-ოთხ, ხუთჯერ სჭირდება გადაღება. შემდეგ წლებში კი ორჯერ უნდა (მარტში და აგვისტოში). ამბობენ, ღვინოს, თუ ხშირად გადაიღებ უკეთესია.

მწვანე ყურძნისაგან დამზადებული ღვინო მაღალი თვისებებით ხასიათდება, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სინაზე, საუკეთესო არომატი. ამ მხრივ ადგილობრივ ვაზის ჯიშთა შორის მწვანეს პირველი ადგილი უჭირავს. ღვინო შენახვის დიდი უნარით ხასიათდება, რომელიც სიძველის ხანაში სინახესთან ერთად იეთართებს სასიამოვნო ბუკეტს.

ივ. ჯავახიშვილმა ენობრივი მასალის

ანალიზზე დაყრდნობით დაკარგულს საუკუნესა და მომდევნო ხალხურ წარმომოხილად მიიჩნია, მისივე აზრით მწვანე — რქაწითელზე ადრეული ჯიში უნდა იყოს.⁶

გარე კახელ მევენახეს ვაზის ჯიშებზე მრავალსაუკუნოებრივი დაკვირვებების შედეგად შემდეგი შედარება გაუკეთებია: „რქაწითელი გამძლეობით ისეთია, როგორც გლეხი კაცი; საფერავი თაყადივითაა, კარგსაც უძლებს და ავსაც; მწვანე კი თავადის ქალივითაა, სულ უნდა ყვერო და უარო, რომ არ დაზიანდეს“-ო.

კახელი ვლეხის ემპირიული ცოდნა-გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მწვანე სხვა ჯიშებთან შედარებით მეტად თხოულობს ნიადაგისა და კლიმატური პირობების შერჩევას, ის სოფელ მანავეში იყო ძირითადად გაშენებული. მას აქ უწოდებენ — „მანავის მწვანე“-ს.

მწვანე განსაკუთრებული ხარისხის პროლუქციას მანავის გარდა იძლევა: იყალთოში, ახმეტაში, რუისპირში, ნაფარულში, წინანდალში, ვაზისუბანში, მაგრამ იგი მხოლოდ სოფელ მანავეში აღწევს თავის სრულყოფას.

მწვანე ვერ უძლებს მკვეთრ კლიმატურ ცვალებადობას. იგი ვაერცელებულია კახეთის იმ ნაწილში, სადაც ზომიერი ჰავაა. მეტად სუსტი გამძლეობის გამო მისი ვაერცელების არეალი ამჟამად საგრძნობლად შეზღუდულია.

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 99.
- 2,3. ივ. ჯავახიშვილი, ოხხულბანი თორმეტ ტომად, ტ. V. თბ., 1986, გვ. 425.
4. А. С. Пиралова и С. Б. Шавердова, Очерк виноградарства и виноделия Кახетии, С. С. В. В. К. В. VII. Тиф. 1896. стр. 39-40.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1929.
6. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1935, წ. II, გვ. 205—207.
7. მ. რამიშვილი, მევენახეობა კახეთში, ზეგლის მეგობარი № 16, თბ., 1968, გვ. 64.



თუ ქართულ სამედიცინო კარაბადინ-ებში ჩაიხედავთ, ნახავთ, რომ არსებობდა სამედიცინო-კოსმეტიკური ბალახეული. აღნიშნულმა ბალახეულმა ლეკენდა „თამარ დედოფალზე“ მოკვავონა.¹ სადაც კვითხულობთ: ულამაზესი დედოფალი თამარი დამახინჯდა „აეი ჭირის“ იარე-ბისაგან, ისე რომ მკურნალებმა ვერ უშველეს, ბოლოს მეფის ბრძანებით, იგი მაღალი მთიდან ძირს გადმოავდეს. და, აი, მოხდა სასწაული იმ ბალახებით, რომელიც მას შეეხო, თამარი განიკურნა, მას კვლავ დაუბრუნდა სილამაზე და მშვენიერება.

მართალია, აეი ჭირი//ვიმნი, როგორც ეპიდემიური დაავადება მიხსენებულია XI ს-ის ძეგლში „უსწორო კარაბადინში“.² მაგრამ შესაძლებელია ლეკენდამი ერთგვარ პოეტურ მიპერბოლასთან გვექონდეს საქმე. „აეი ჭირის“ სახელით სახის კანის სხვა დაავადება ხომ არ იგულისხმება? შესაძლოა დაეუშვათ, რომ ეს ნაირსახის ბალახები კანის იმ დაავადებასაც შეელოდა, რომლითაც თამარ დედოფალი იყო დაავადებული.

ყოფაში, ჩვენს მიერ სახის კანის გამოჩინაურის სამკურნალოდ პიტნის ნახარშია დამოწმებული, საგულისხმოა, რომ პიტნას პირსახანი საპნის დასამზადებლად იყენებდნენ. ასეთი საპნის ძირითადი კომპონენტები იყო ცხიმი, ნატარი//სოდა, წყალი და ბალის პიტნა. პიტნით ნაშხადი საპონი, გარდა ესთეტიკური მხარისა (საპონი გამოდიოდა მწვანე ფერის და სასიამოვნო სურნელებისა) სახის კანზე კარგად მოქმედებდა.

სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში სამკურნალო საშუალებად პიტნის³ სხვადასხვა სახეობაა მითითებული. აღნიშნული მონაცემებით სავარაუდოა, რომ იმ ბალახთა შორის, რომლითაც თამარი განიკურნა, ერთ-ერთი პიტნა იყო. ლეკენდამი, ბალახების სამკურნა-

ლო თვისებები იგულისხმება. ჩანს, მკურნალობას ორი მხარე ჰქონდა, როგორც სამედიცინო – ასევე კოსმეტიკური.

ზემოთქმულისათვის მოვიხმობთ ფშაურ ლეკენდას „თამარ აქიმ დედოფლის შესახებ“. „თამარის სალოცავთან – თამარ აქიმ დედოფლის წყაროა. ამ წყაროს ხალხი სამკურნალო თვისებებს მიაწერს „ლოყვიანი (მუწუკები ამ წყაროში თუ განიბანებოდა „სასხმოები“ (მუწუკები) მოსორდებოდა“⁴.

თამარის ხატს დამიზნებდაც სცოდნია, იგი ხშირად ღოყვს//სასხმოებს გაუჩენდა დამნაშავეს⁵.

ზეესურული მსაღლის თანახმად... ღოყვს მრავალნაირი წამლებით მკურნალობენ. უპირველესი წამალია „სასუქაის ჯოჯარი“ (მცენარეა), რომელსაც გამხმარს მოკრეფენ და დაწვავენ, დანახშირებულს კარაქში ან ძროხის თავის ტვინში მოზელავენ და ასეთი წესით დამზადებულ მაღამოს ღოყვზე წაუსვამენ⁶.

აქვე დაეძინო, რომ თუ თამარის ხატი დამნაშავეს „სასხმოებით“ სჯიდა, მისივე წყარო ადამიანს ამ სენისაგან ათავისუფლებდა.

საყურადღებოა, რომ არა ერთი სამკურნალო წყლის აღმოჩენას ხალხი თამარ დედოფალს მიაწერს. (კორიჯვარი, ნუნიხი).

კურორტ ნუნიხის წყალი კანისა და სხვადასხვა სახის ალერგიულ დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენება.

ფშაური ლეკენდის მიხედვით მკურნალობაში კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება ივარაუდება. (სამკურნალო წყლით სახიდან გამოჩინაურის მოცილება).

ლეკენდის ძირითადი აზრის გამოსაკვეთად დაუბრუნდეთ გადმოცემას „თამარ აქიმ დედოფლის შესახებ“.

ამ საკითხის ირველივე სამეცნიერო



ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული.

ნ. ხიზანიშვილი მიუთითებს, რომ „ფშაველებს მკურნალობა თამარ დედოფლის განსაკუთრებულ ხელობად მიანდათ და ეგონათ, რომ დიდებული მეფე, ეხლაც კატრონობდა თავის ერს, არჩენდა ავაღმყოფებს, სპობდა ვველა გვარის ჭირს“¹.

ცნობილია, რომ თამარის ხატი ფშავეში ძლიერ სალოცავად ითვლება, მას განსაკუთრებით ქალები ღოცულობენ და „აქიმ დედოფალს“ უწოდებენ, რომელსაც წამლის სახსრად ერთ ცხვარს სწირავენ“²...

აღნიშნული ლეგენდა მრავალმხრივ არის ხაინტრევსო. იგი ერთგვარ პარალელს პოულობს ფშაურ გადმოცემასთან -თამარ აქიმ დედოფლის შესახებ“.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თამარმა ხალხის მკურნალობა, მას შემდეგ დაიწყო, როცა ბალახებით თავად განიკურნა.

ლეგენდა ქრონილოგიურად ასახავს თამარის აქიმაძედელ პერიოდს.

რაც შეეხება გადმოცემას, „თამარ აქიმ დედოფლის შესახებ“ აქ თამარი უკვე „აქიმაძე“ გვევლინება და მის ფუნ-

ქციაში შედის, როგორც *ქვეყნუბრძოლი* ასევე სამკურნალო წყლებში *მწიქრნაქა* ლობა.

ამდენად, ლეგენდები (გორიჯვარის, ნუნისის და სხვ.), რომელშიც თამარა სამკურნალო წყლის აღმომჩენად მის მფარველად ითვლება სავარაუდოა, რომ იმავე დროისაა.

1. ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ., 1964, გვ. 275.
2. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940, გვ. 3.
3. ქანანელი, დისახ. ნაშრომი, გვ. 66.442; ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, თბ., 1988, გვ. 554-888; 603-605.
4. ე. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს შოიანეთის საეკლტო ძეგლები, თბ., 1964, გვ. 58.
5. ნ. მინდამე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1980, გვ. 81.
6. გ. ბალიაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში. (ხელნაწერი), ტვ. VII, 1940, გვ. 93. საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.
7. ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1959, გვ. 96.
8. ს. მაკალათია, ფშავე, თბ., 1934, გვ. 206; ნ. ხიზანიშვილი, ფშავეთი და ფშაველები, „ივერია“; 1897, № 177.

მეფე და ღმერთი

გვიანბნეთური ხანის (ძვ. წ. IX-VIII სს.) სამეფო-სამთავროების (მუშქების ქვეყანა, თაბალი, თუნა თუხანი, ქუე, ქამანუ-მელიდი, გურგუმი, ქარხემიში, ქუმუხი და სხვა) ოფიციალური იდეოლოგიის ისტორია თითქმის შეუსწავლელია.

სადღეისოდ ამ პრობლემის წარმოსაჩენად ერთადერთ წყაროს აღნიშნული ხანის მეფე-მთავართა იეროგლიფურ-ლუვიური (ძველი ტერმინოლოგიით, იეროგლიფურ-ხეთური) წარწერები¹ წარმოადგენენ.

ამჯერად ჩვენი მიზანია აღნიშნულ წარწერებში ის მონაცემები მოვიძიოთ, რომლებიც გვიანბნეთურ საზოგადოებებში მეფისა და უზენაესი ღმერთების (თარხუნთი), მეფისა და სხვა ღმერთების (ქუბაბა, ქარხუხა, ქუფარმა მზისა და მთვარის ღმერთები) ურთიერთმიმართების რეკონსტრუქციაში დაგვეხმარებინან.

ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლები, რომლებიც ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ მუშქების ქვეყნის მეფე ხართაფუს ვკუთნიან, ისინი მდ. პალისის (დღევ. ყიზილ-ირმაკის) შუა დინების სამხრეთით, ყარადაღისა და ყიზილდაღის მთიანეთშია აღმოჩენილი და ძვ. წ. IX ს-ის 90-იანი წლებით თარიღდებიან².

ამ წარწერებში უკვე არაორაზროვნადაა გატარებული ოფიციალური თვალსაზრისი უზენაეს ღმერთებსა და მზის ღმერთებსა და მეფისა და სამეფო ხელისუფლების ორგანული კავშირის არსებობის შესახებ.

ამას ადასტურებს არა მხოლოდ მეფის ტიტულატურა — გენეალოგიის სტრუქტურა, არამედ წარწერების კომპოზიციური გადაწყვეტაც. მეფის ვრცელი ტიტულატურა-გენეალოგიის შემცველ წარწერებში მეფის სახელთან ერთად,

როგორც წესი, უზენაესი ღმერთებისა და მზის ღმერთის სახელებიც მოიხსენიებიან („ციური თარხუნთი, მზე, დიდი მეფე, ხართაფუ, დიდი მეფე, დიდი მეფისა და გმირის მურხილის შვილი“) ამასთანავე, მზის ფრთოსანი დისკოს გამოსახულებიან ხართაფუს სამეფო კრტუმში (ძვ. წ. ედიკულაში) უზენაესი ღმერთის აღმნიშვნელ იეროგლიფებს ცენტრალური ადგილი ეთმობა, რითაც, როგორც ჩანს, ხაზი ესმება ღმერთებსა და მეფისა და მისი ხელისუფლების სიახლოვეს. ღმერთებსა და მეფისა და მისი ხელისუფლების ორგანული კავშირის შესახებ ყოველმხრივ გააზრებული თვალსაზრისის არსებობა სხვა მონაცემებიდანაც ჩანს, რაც იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერაში მეფე უზენაესი ღმერთის ან ღმერთათა მსახურადაა წარმოდგენილი, დანუხას ქვეყნის (კილიკია) მეფე აზითავათას ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი წარწერა შემდეგი სიტყვებით იწყება: „მე აზითავათა ვარ, მზით კურთხეული კაცი, თარხუნთის მსახური“. დაახლოებით იგივეს იმეორებს ალუბოს (ჩრდილოეთ სირია) მეფეც: „მე არაპის ვარ, თარხუნთის საპატო მსახური“. აღნიშნული შინაარსის ფრაზას სხვა არაერთ წარწერებშიც ვხვდებით.

გვიანბნეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წერილობით ძეგლებში ხშირად დააფიქსირებული ის გარემოება, რომ სამეფო ხელისუფლება უზენაესი ღმერთის ან ღმერთათა მიერაა ბოძებული. ქარხემიშის (ჩრდილოეთ სირია) მეფე ქათუვა აღნიშნავს, რომ სამეფო ინსიგნიები (კრძოდ, მაძისეული სამეფო კეერთხი) მას უზენაესმა ღმერთმა თარხუნთიმ გადასცა იმავე ქარხემიშის მეფეთაგან ზოგი აცხადებს, რომ „მაძისეული სამეფო ტახტი“ მას ქუბაბამ უბოძა, ზოგიც რომ „მაძისეული ხელი-



სუფლება და სახელი“ (სიტყვასიტყვით, ავტორიტეტი) ღვთაებებმა დაუმკვიდრეს. აზითავათაც გვამცნობს: „თარხუნთიმ დანუნელთა დედად და მამად მომავლინა“-ო.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ტილ-ბარსიფის მეფის ერთ-ერთ იეროვლიფურ-ლუვიურ წარწერაში მოთხრობილი ამბავიცაა საინტერესო. ირკვევარომ „მამისეული სამეფო ტახტი“ წარწერის ავტორს ბრძოლით მოუპოვებია. დიდი განსაცდელის ვაშს მას შემწეობა მაინცდამაინც უზენაესი ღვთაებისათვის უთხოვია. წარმატებისათვის თარხუნთის ყოვლისშემძლეობით მიუღწევია. ტილ-ბარსიფის მეფე ამბობს: „...მამინ (აღვაპყრე) ზელები ციური თარხუნთის წინაშე და მივმართე მას შემდეგი სიტყვებით: „...მე თვით ვაქცევ (თარხუნთის) პიეროდულად ჩემი მტრის ქალიშვილს“. ციურმა თარხუნთიმ ისმინა ჩემი თხოვნა — დავიმორჩილე მტერი, გავანადგურე იგი. მისი ვაჟები... მისი ქალიშვილი პიეროდულად ვაქციე.“

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ის წარწერებიც, სადაც მეფეთა მოღვაწეობის ღვთაებრივი საწყისებია აქცენტირებული. წერილობით წყაროებში ხშირადაა ზახგასმული ის გარემოება, რომ მეფეს უზენაესი ღვთაება ან ღვთაებები მიუძღვიან წინ, რომ მეფე უზენაესი ღვთაების ან ღვთაებათა კარნახითა და მითითებით მოქმედებს. მართავს ქვეყანას და ზალხს, იბრძვის სამეფოს საზღვრების გასაერცობად ან დასაცავად. ეწევა აღმშენებლობით და საქველმოქმედო მოღვაწეობას, უყვარს მოყვასი და სძულს მტერი. ასე, მაგალითად, აღეპოს მეფე არაპასი ამბობს: „მე არაპასი ვარ, საპატიო მსახური თარხუნთისა. ციური თარხუნთი და ხარანელი მთვარის ღვთაება ჩემს წინ მიაბიჯებენ.. ეს ღვთაებები ჩემი თანამგზავრები არიან... დეაწესე მათი სახელები თარხუნთის დახმარებით“. ქარხე-

მისის წარწერებში ხშირადაა ნათქვამი, რომ მეფის წინ თარხუნთი ქარხუნა და ქუბაბა „მიდიან“ და სხვა.

„უზენაესი ღვთაებისა და ღვთაებების წარმართველი და ამასთანავე მეფის დამცველი ფუნქცია კარგად ჩანს იმ იეროვლიფურ-ლუვიური წარწერებიდანაც. რომლებიც ე. წ. „წყველის ფორმულით“ მთავრდებიან. მეფის წარწერების დამაზრველთა და მისი ნამოღვაწარის შეურაცხყოფელთა დამსჯელის როლში, როგორც წესი. უზენაესი ღვთაება თარხუნთი ან სხვა ღვთაებები ვამოდიან. უკვე არაერთგზის მოხსენიებული ქარხემისის მეფე ქათუვა ერთ-ერთ თავის წარწერაში აღნიშნავს, რომ ის ვინც ზელს აღმართავს მის წარწერაზე ან ის, ვინც განიზრახავს მეფის მიერ აგებული ტაძრის დანგრევას მკაცრად დაისჯება ქარხემისის უზენაესი ღვთაების — თარხუნთის მიერ. ქათუვას მუქარა ძალზე მკაცრია: უზენაესი ღვთაება დაანგრევს ბოროტმოქმედის სახლს, ხოლო ამ უკანასკნელს ალგვის პირისაგან მიწისა. აზითავათაც აცხადებს: „...და თუ ვინმე მეფეთაგან, ან კაცთაგან... შემდეგს განაცხადებს: „მე ამოვშლი აზითავათას სახელს და ზედ ჩემს სახელს დაეაწერ“, ან თუ ანგარებას გამოიჩენს ამ ციხე-სიმაგრეების მიმართ და ჭიშკრებს ლოდებს გამოაცლის. ან შემდეგს განაცხადებს: „მე ჭიშკრებს ჩემს საკუთრებად ვაცხადებ და ზედ ჩემს სახელს დაეაწერ“, ან თუ ჭიშკრების თაღებიდან ლოდს ამოიღებს, ან მანებლობას ჩაიდენს და ბოროტი განზრახვით დაანგრევს ამ ჭიშკრებს. თარხუნთი იისა, მზე ცისა და ავღლა ღვთაება დაამხობს მას, მეფე იქნება იგი, თუ კაცი“. შთამბეჭდავია აღეპოს ერთ-ერთი მეფის წარწერის დასკვნითი ნაწილიც: „მაგრამ, თუ ოდესმე ვინმე მოისურვებს ამ გამოსახულების წაღებას, თარხუნთი და ხარანელი მთვარის ღვთაება დასწყველიან მას. მისთვის არც ციდან ნამოვა (სიკეთე ?) და არც მიწიდან ამოვა...“



თუ კი ვინმე მოისურვებს შეეცდილოს ჩემს ძმას კეთილი გულით მიძღვნილ ჩემს (საჩუქარში?). ვინდ იყოს ამ კაცის მამა. ვინდ... მათ წინააღმდეგ ღვთაებები განრისხდებიან, მათ სახელს სამარადისოდ აღმოფხვრიან. ხარანელი მთვარის ღვთაება... ფერფლად აქცევს (მათ). თუკი ვინმე ამ ღვთაების მიმართ ბოროტებით აღივსება, ან თუკი ვინმე არასის სახელს ამოშლის, კუბაბა და ეა დასჯიან (?) მას“.

მოტანილ წარწერათა მსგავს კონტექსტებს სხვა სამეფო-სამთავროთა მეფეების – თარხუნაზის, ვასუსარუმას, ხალფარუნციას, ლაფარნას, ვარპალავას და სხვათა – სახელით შედგენილ წერილობით ძეგლებშიც ვხვდებით. სადაც მეფის წარწერების. მის მიერ აგებული ტაძრების, საკულტო ნაგებობების, სასახლეების, ჭიშკრების, ხიდების, არხების, ქანდაკებებისა და სხვა არქიტექტურული ძეგლების დამკველებად კვლავ უზენაესი ღვთაება თარხუნთი და ზემოთ დასახელებული ღვთაებები გვევლინებიან.

იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში ხშირადაა საუბარი იმაზე რომ ესა თუ ის მეფე უზენაესი ღვთაების ან ღვთაებათა კეთილგანწყობითა და სიყვარულით სარგებლობს. ასე მაგალითად, მუშქების მეფე ხართაფუ თავის ტიტულატურაში საგანგებოდ მიუთითებს, რომ იგი „თარხუნთის საყვარელი (კაცია)“. ტილბარსიფის მეფე ვაჰმანობს: „მე ქვეყნის მბრძანებელი ვარ... ციურ თარხუნთის კეთილ ღვთაებებს ქუფარმას. მათილას (?) თესუფს, ხარანელ მთვარის ღვთაება ქუბაბას ვუყვარვარ“. მეფისადმი ღვთაების სიყვარულის თემას ქარხემიშის მეფეთა იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებშიც ვხვდებით მრავალგზის: „შზის სხივებით გაბრწყინებული“ მეფე სასტურა აცხადებს, რომ იგი „ქუბაბას საყვარელი კაცია“, მეფე ქათუვა აღნიშნავს, რომ იგი „ღვთაებათა საყვარელია“. ამასვე ადასტურებს მეფე იარირი-

სი, როდესაც ამბობს: „მე იარირიშის მბრძანებელი. მზე, კაცი დასაყვალთსა აღმოსაყვალთში განდიდებული, კაცი ღვთაებათა მიერ შეყვარებული“. ან „მე იარირიში ვარ... თარხუნთის, ქუბაბას, ქარხუნას და შზის ღვთაების საყვარელი (კაცი)“.

მეფისადმი უზენაესი ღვთაების ან ღვთაებათა კეთილგანწყობა და სიყვარული ჩვეულებრივ სამართლიანობისადმი მეფის ერთგულებითაა მოტივირებული. ქარხემიშის მეფეთა წარწერებში არაერთგზის მოწმდება ფრაზები: „მე, ჩემმა მეუფემ თარხუნთიმ, ქარხუნამ, ქუბაბამ? ჩემი სამართლიანობის გამო შემიყვარეს“. ან „მე ვარ კაცი ღვთაებათა მიერ შეყვარებული. ჩემი სამართლიანობის (ამბავი) თარხუნთიმ და შზის ღვთაებამ ცას ამცნეს“.

გვიანხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიურ წარწერებში კიდევ ერთი საგულისხმო ტენდენცია შეიმჩნევა. ჩვენთვის საინტერესო ეპიგრაფიკული ძეგლების მოწმობით, ღვთაებას არა მხოლოდ უყვარს მეფე წარმართავს მის მოღვაწეობას, იცავს მტერთაგან, არამედ ზრუნავს კიდევ მისი სახელის განდიდებაზე. ასე მაგალითად, იგივე იარირიში არაერთგზის აღნიშნავს: „ჩემი სახელი ღვთაებებმა უცხოეთში გაიტანეს. შე განმადიდეს მიზეილების, მუსქებისა და სირიელების ქალაქებში“.

ზემოთ მოტანილი მონაცემების შეჯერებას, შემდეგ ორ ძირითად დასკვნამდე მივყავართ: 1. გვიანხეთურ სამეფო-სამთავროებში ფართოდ იყო გავრცელებული ოფიციალური თვალსაზრისი უზენაეს ღვთაებასთან (თარხუნთი) და რიგ ღვთაებასთან (ქუბაბა, ქარხუნა, ქუფარმა, შზისა და მთვარის ღვთაებები და სხვა) მეფისა და სამეფო ხელისუფლების ორგანული კავშირის არსებობის შესახებ. 2. მიუხედავად იმისა, რომ გვიანხეთური ხანის მეფეები ზოგჯერ „მზედ“ იწოდებოდნენ, სხვა ძველ-აღმოსავლური ქვეყნების მეფეებისაგან



(ან ფარაონებისაგან) განსხვავებით, ისინი არც სიცოცხლეში და არც გარდაცვალების შემდეგ ღვთაებისა და ღვთაების შვილის რანგებამდე არ ამაღლებულან, რაც, როგორც ჩანს, გვიანხეთური ხანის სამეფო-სამთავროების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების სპე-

ციფიკით იყო შეპირობებული. უნდა შემოთავაზებული მასალები უფრო მეტად გარკვეულ სამსახურს გაუწევს შეფისა და ღვთაების ურთიერთმიმართების პრობლემით დაინტერესებულ სპეციალისტებს. მით უმეტეს, რომ იგი ასე სრულად ფაქტობრივად პირველად შედის მეცნიერულ მიმოქცევაში.

1. ცნობილია, რომ იეროგლიფურ-ლევოფორი დაწერლობისა და ენის მრავალწლიანი შესწავლის შედეგად, ამ დაწერლობითა და ენით შესრულებული წარწერების ტრანსლიტერაცია, თარგმანი და ინტერპრეტაცია კვლავ სპეციალისტთა აზრთა სხვადასხვაობის საგნად რჩება. ჩვენ აღნიშნული წარწერების საკუთარი თარგმანებით ვსარგებლობდით, რომელთა ნაწილი 1990 წ. თბილისში გამოცემული „ძველი აღმოსავლეთის

ხალხთა ისტორიის ქრესტომათიაშია“ შესული (იხ. გვ. 235-242). გამოვიყენეთ აგრეთვე იეროგლიფურ-ლევოფორი ტექსტების სხვა პუბლიკაციებიც (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 236).

2. უფრო დაწვრილებით იხ. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 106-125. იქვე, იხ. მოთხოვნა სპეციალურ ლატერატურაზე!





ცხენი და მხედარი

„ერთი ცხენი მენაც გავზარდე
მინინოსა ჰგავს ცისასა“.
ან „ცხენსაც ძალიან უჭებენ,
მუხლი აქვ ნიაჭქრისაო“.

მრავალი ასეთი სტროფია მიძღვნილი ქართულ ხალხურ პოეზიაში ცხენისადმი, რომლის გაჩენასთან პირდაპირ ან ირიბად ცივილიზაციის ისტორიის ბევრი მწამუნელოვანი მომენტია დაკავშირებული. ცხენის მოშინაურებამ ხალხების პირველი დიდი გადაადგილება გამოიწვია. გაათქვეცბებული სინქარის გამოყენებით კაცობრიობამ ახალი უზარმაზარი ხივრცე დაიმორჩილა. ბევრი ხალხის წარმოდგენაში ცხენი მზეს განასახიერებდა და მას შეეწირებოდა. ცხენი ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის მუდმივი თანამგზავრია.

ცხენის მოშინაურების ერთ-ერთ პირველად კერად ამიერკავკასიაში ითვლება. ჰაქართველოში ცნობილია მეოთხეული პერიოდის — ანთროპოპენური (ჭიათურა ახალქალაქი-დმანისი), გარეული ცხენი გვიან პალეოლითის მღვიმეებსა და ამ დროის ზოგ ნამოსახლართა კულტურულ ფენებში. შინაური ცხენი ბრინჯაოს ხანაში (III ათასწლეულის ძვ. წ.) გაჩნდა. გვიან ბრინჯაოს პერიოდში ცხენი დიდ როლს ასრულებს ყოფასა და სამხედრო საქმეში. ამ დროიდან იწყებს გამოჩენას ცხენის აკაზმულობის ნაწილები, ღაგმები, საფეურები, სათასმე ბალთები, ამ ცხოველის ძვლები და ბრინჯაოს ქანდაკებები.¹

უძველესი დროიდანვე ქართველთა ტომები საუკეთესო ცხენებით ივყვნენ ცნობილი, რომლებიც „გურჯის“, ქართულის“ სახელით იხსენიებოდნენ: უცხოელებთან ბრძოლაში დამარცხებული ქართველები ხარკს ცხენებითა და ცხურებით იხდიდნენ.

ცხენის საერთო ინდოევროპული სახელია — ექუს. მასთან მსგავსებას ამვლავნებს ახლო აღმოსავლური: ხურიტული — „ემი“, აქადური — „სისუ“, არამეული — „სუსია“, ზოგიერთი კავკასიური სახელწოდებები და ცხენთან დაკავშირებული სიტყვები: აფხაზური და უბიხური — „აჩუ“ ავარული — „ჩუ“, ახვაზური — „იჩუ“, ქართული „აჩუ“ (ცხენის გასარეკად ხმარებული სიტყვა) და „აჩუა“ (ცხენი ბავშვის ენაზე).

სანსკრიტულ ენაზე „აჩუ“ „სწრაფს“, ცხენის სინქარეს აღნიშნავს (მდრ. „აჩუ“ ქართულში ცხენის გასარეკად ხმარებული სიტყვა); ცნობილია, რომ სინქარე, სისწრაფე ცხენის სპეციფიური ნიშანია, ამასთან დაკავშირებით, სავარაუდოა, რომ ზედსართავი სახელიდან (სწრაფი) უნდა იყოს ნაწარმოები არსებითი სახელი „აჩუ“ — ცხენი. გარკვეულია რომ სიტყვა „აჩუს“ არსებობა კავკასიურ ენებში ინდოევროპული დიალექტის მატარებელი ხალხების გადაადგილების კვლია კავკასიაში.²

ტერმინი „ცხენი“ ქართულ-ზანური საერთო ენის ხანისაა. ძველ წერილობით წყაროებში ცხენი „ჰუნედ“ იწოდებოდა. მოგვიანებით ამ ტერმინმა „კეთილისა და გვარიანი“ ცხენის მნიშვნელობა შეიძინა.

ქართული ჯიშის ცხენი ყოფაში „კახურის“, „თუშურის“, „მეგრულის“ და ა. შ. სახელწოდებითაა ცნობილი. „ცხენის ჯიშის აღმნიშვნელი სხვადასხვა სახელწოდებები, მათი ჯიშობრივი და სახეობრივი წარმოების მნიშვნელოვანი კერების მიხედვით შემოინახა ყოფამ. სახელწოდება „მეგრული ცხენი“ ზოგადაა დასავლეთ საქართველოსათვის. ისევე როგორც „თუშური ცხენი“ აღმოსავლეთ საქართველოსათვის.³



ქართული ცხენი საშუალო სიმაღლი-
საა, წვრილფეხება, მაგარი ჩლიქით,
ლამაზი მოყვანილობის თვისებით, წმინდა
ფაფართა და საშუალო სიგრძის კუდით.

ცხენი არის საჯდომი — „საფერკე“
და სასაპალნე. იყენებენ მას ტრანსპორ-
ტსა და სამეურნეო დანიშნულებით.
საჯდომი ცხენი მამალი. იაბო (დაკოდი-
ლი ცხენი) უნდა იყოს. სასაპალნედ
უმეტესად დედალ — „ჭაკ“ ცხენს იყე-
ნებენ. საჯდომ ცხენს საგანგებოდ უე-
ლთან; საპალნეს არ აკიდებენ, ყოველ-
დღე ქერსა და კარგ თივას აჭმევენ.
ყოველ დღით აურევებენ საურავით
(რკინის კბილებიანი იარაღი), აბანავე-
ბენ. მოხეურ ხალხურ ლექსში ცხენის
მოვლის შესახებ კვითხულობთ:

„დილასა და საღამოსა ჯერზე აჭმევს
ლიტრა ქერსა-
დღეში ორჯერ დაურევებს, გავაზე
გაღუსტამს ხელსა,
თბილის წყლით ძუას უბანდა, ერბოთ
გაუხელდა წელსა“.

საჯდომი ცხენი ცხენთა და ცხენო-
სანთა შეჯიბრებაში მონაწილეობს. შე-
ჯიბრების წინა დღეებში ცხენს თუ ზა-
ფხულია ყოველდღე აბანავენ, ქერს
აჭმევენ, „მდელოს ბალახი მუხლს მოჭ-
რის და ველარ ირბოლებს“.

ცხენთა შეჯიბრი ხალხში სპარსული
ტერმინით — „დოლი“ — არის ცნობი-
ლი, თუშეთში მას „მარულა“ და „სადგი-
ნი“, ხევსურეთში — „ცხენი“ ეწოდება,
„მარულა“ ჰქვია დასავლეთ საქართვე-
ლოშიც. „ვეფხისტყაოსანში“, „დოლი“
„ცხენთა დგენის“ სახელწოდებით მოიხ-
სენიება.

ცხენთა სიმრავლე ტერმინით „ჯოჯი“
აღინიშნება, ქიზიყში ჯოჯს „რემა“
ეწოდება. ხევსურეთში „რემა“ კარგი
ცხენის აღმნიშვნელი ეპითეტია: „ცხენთ
გადასხედით რემათა“.

ცხენის გახედნა — „გამოქნა“ 3-4
წლის ასაკიდან იწყება, როდესაც „ხერ-

ხმალი ძელად გადაექცევა“ ეწოდება. წლის
კვიცს აღამიანთან სიახლოველი ცხენი
ზოგჯერ ზედ ბავშვსაც შესვამენ. გახედ-
ენის სხვადასხვა ხერხი არსებობს: სას-
აპალნე ცხენს ქვეით საესე ზურჯის
გადაკიდებენ, ნახნავეში შეიყვანენ და
რამდენჯერმე გაატარ-გამოატარებენ,
კვიცი დაიღლება და მორჩილი გახდება.
კახეთში ცხენს ზეზე მიაბამენ, ცხენი
ხეს გარშემო რამდენჯერმე შემოურბენს.
დაიღლება და მოთვინიერდება. ქიზიყში,
მეტეხარე მთაში გამგზავრებისას გას-
ხედნ ცხენს პირველად ტვირთს აკიდებს.
შემდეგ ზედაც შეჯდება, ხამი ცხენი
ხტის, ეწინააღმდეგება ბოლოს დაიღ-
ლება და მშვიდდება. ჯავახეთში 3 წლის
კვიცს ყელში თოკს მოუჭერენ, ხულს
შუუხუთავენ, ცხენი ძირს დაეცემა, შემ-
დეგ თოკს შესხნიან, დარეტიახუელი
ცხენი ფეხზე ადგება, ზედ ბავშვს შეს-
ვამენ და გაატარებენ. წყნარ ცხენს რამ-
დენიმე დღეში გახედნიან. ფიცხს — ერ-
თი თვე ჭირდება. 1-2 ცხენის პატრონი
კვიცს თვითონ ხედნის, ჯოჯის ცხენს
საგანგებო გამხედნავე ჰყავს. 15-20
წლის ბიჭები ცხენს ქამანდით იჭერენ
თოკს ყელში მოუჭერენ, დიდი წინააღმ-
დეგობის შემდეგ ცხენი ძირს დაეცემა
და შემდეგ მას ხედნიან.

ცნობილია ცხენის ხელის სხვადასხვა
ხახე: იორლა, თოხარიკი, ჩორთი, ჯაგ-
ლაგა. თოხარიკი და იორლა კეთილმო-
სიარულე ცხენთა ჯგუფს განეკუთვნება,
იორლას წინა და უკანა ფეხი ერთდრო-
ულად გადააქვს და ისე დადის თითქოს
მიცურავს — „ზურგზე დადებული კვრ-
ცხი არ ჩამოვარდება“. იორლა ორგვა-
რია, მოკლე და გრძელი. პირველს
ცხერისებური, ხოლო მეორეს აქლემის
იორლას უწოდებენ. ხევსურეთში კარგი
იორლა — „წყალივით იორლას“ ეპითე-
ტით მოიხსენიება. თუ ცხენი ჯიშით
იორლაა, ასეთ სიარულს ადვილად ეჩვე-
ვა. ცხენს თასმით ან თოკით — „დშა-
ვით“ ერთ მხარეს წინა და უკანა ფე-
ხებს უბორკავენ, იგი მოკლე-მოკლე ნა-

ბიჯებს ადგამს და იორლა სიარულს ეწვევა. იორლა ცხენი ძვირად ფასობდა — ოთხი ძროხა ან ოცი ცხვარი ღირდა.

გახედნილ ცხენს შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად წერთნიან. პირველი დოკუმენტი ცხენის გაწვრთნის შესახებ მცირეაზიელ კიკული მითანელს ეკუთვნის (XIV ს. ძვ. წ.). ამ ტრაქტიტიდან არის აღებული სპეციფიური ტერმინები, რომლებიც ახლაც ფართოდაა გავრცელებული ძეცხენობაში. წვრთნის მიზანია ცხენის მაქსიმალურად დაძაბული გამოცდისათვის მომზადება. ეს კი ცხენის მემკვიდრეობით მიღებულ შინაგან თვისებებს ავლენს, რასაც ჯიშების სრულყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სუფთა სისხლის საჯდომ ცხენს წვრთნა ოთხით სვლის დროს სიმკვირცხლეს. ჩორთით მოსიარულე ცხენს სწორ მოძრაობასა და ამტანობას, ხოლო მძიმე საბამ ცხენს მაქსიმალურ გამწვევ ძალასა და ტვირთზიდვის უნარს გამოუმუშავენ. ასეთმა წვრთნამ ხელი შეუწყო ინგლისური სუფთა სისხლის, ორლოვის ჩორთით მოსიარულე ცხენის ჯიშის გამოყენას. XII საუკუნის საქართველოში ცხენის გახედვნა — გაწვრთნა ერთგვარი ხელობა იყო და მას რაინდი ასრულებდა. ფიცხი კვიციის მომინაურება-

გაწვრთნასთან დაკავშირებული და ხიფათის დაძლევის უნარიც ერთგვარ სანახაობა-გასართობს წარმოადგენდა.

ცხენოსნობა დიდი ხელოვნებაა და კარგი ცხენოსანი მუდამ გამოჩენილი იყო. ცხენი და კაცი განუფრულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ცხენი ცხენოსნის, მხედრის მიხედვით ფასდება. მხედარი — ცხენის მიხედვით. ცხენი ადამიანის მეგობარი და დამხმარეა. ცხენოსნის პარალელური ტერმინია „მხედარი“, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მეომარსა თუ მშვიდობიანს ნიშნავდა. შემდეგში მან თანამედროვე მნიშვნელობა მიიღო — მხედარი-მეომარი. ტერმინი „მხედარი“ სიტყვა საკვდრიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ძველ ქართულში საჯდომი პირუტყვის სოვადი სახელია, თანამედროვე ხალიტრატურო ენაში „საკვდარი“ ვირის სახელწოდებაა.

მხედარი ძველ საქართველოში კაცი-სა და ცხენის გარდა საჭურველსა და საბრძოლო იარაღს გულისხმობდა. შუა საუკუნეებში ცხენიც ჯავშნით იყო შემოსილი, და მას „საცხენოსნო აბჯარი“ ეწოდებოდა. ერთი მხედრისა და ერთი საბრძოლო ცხენის საჭურველის სრულ შემადგენლობას „ერთი ტანი აბჯარი“ ჰქვია.

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევა, I, თბ., 1970, გვ. 208.
3. М. Герешидзе. К истории вьючного транспорта Грузии;
მისაღები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XIV, თბ., 1968, გვ. 7.

2. Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы. Т. II, Тб., 1984, стр. 919.
4. ივ. ჭავჭავაძე, ქართული ფილოლოგისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 63.



ქორწილს განსაკუთრებული ადგილი უკავია ხალხის ცხოვრებაში ასევე განსაკუთრებული და რიტუალური დანიშნულებისაა საქორწილო სამოსიც და მისი ელემენტებიც. რომელთა უმეტესობის თაქდაპირველი იერსახე, არსი და მნიშვნელობა სადღეისოდ მიეწივებულა დაკარგულია. მაგრამ ზოგიერთი მათგანის შესახებ არსებული მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა ჩაეწვდეთ მათი წარმოშობის საფუძველს. აღუდგინოთ მათი საწყისი მნიშვნელობა და შესაძლებელი პირველსახე თვალი გაუდევროთ მათში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

საკითხისადმი ამჟღარმა მიდგომაში გამოავლინა მექორწინეთა გვირგვინისა და ცხერის ტყაუქურქისაგან გამზადებული სამოსის სემანტიკა,¹ მაგრამ არანაკლებ საინტერესოა საქორწილო კოსტუმის სხვა ატრიბუტებიც, რომელთა რიტუალური მნიშვნელობის ამოცნობასა და თაქდაპირველი არხის გარკვევაში ზოგჯერ სხვადასხვა ხალხთან დამოწმებული ეთნოგრაფიული მახალა გვეხმარება ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ბულგარელთა საპატარძლო სამოსის ატრიბუტი – თეთრი წინსაფარი. რომელიც ბამბის ან კანაფის შინწარში ქსოვილისაგან მზადდებოდა.²


ტრადიციულად, წინსაფარი სლავ ხალხებში ქალის კოსტუმის შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც, ამ სამოსს ორწინსაფარიანს უწოდებენ და მის მეორე, სადღესასწაულო თეთრ წინსაფარს, სანიდავო, შალის ფერადი წინსაფარის ზემოდან იკეთებენ. ხალხური ტანსაცმლის მკვლევართა ცნობით, სლავური წინსაფარიანი კოსტუმისმაგვარი სამოსი და თავად წინსაფარი დამოწმებულია მრავალი ხალხის (ევროპის, ვოლგისპირეთის, შუა აზიისა და აფრიკის მცხოვრებთა) ყოფაში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ზოგი სპეციალისტი ბულგარულ ორწინსაფარიან კოსტუმს სლავ-

ბის კულტურიდან მომდინარე თვლის და ამ ხალხის სამიწათმოქმედო საქმიანობას უკავშირებს; სხვები, ჩუვაშებში მიკვლეული ეთნოგრაფიული პარალელებიდან გამომდინარე, მისი პრაბულგარული წარმოშობის მოსაზრებას აყენებენ; ბულგარელი ეთნოგრაფი გ. მიხაილოვა კი თვლის, რომ ბულგარეთში მცხოვრები მცირე ერების – არუმინთა და ვარაყანთა – წინსაფარიან კოსტუმს არ შეიძლება ჰქონდეს კავშირი არც პრაბულგარულ და არც სლავურ კულტურასთან.³

რაზე შეტყველებს ეთნოგრაფიული მახალა?

თეთრი წინსაფარი აუცილებელი ელემენტია სადღესასწაულო და განსაკუთრებით, ბულგარული საქორწილო კოსტუმისა. იმ რეგიონებშიც კი, სადაც ქალის სამოსი საერთოდ უწინსაფროა, ქორწილში მას უშუალოდ იკეთებს დედოფალი. ან მის ნაცვლად ახალგაზრდა ქალ-რძლები ატარებენ თეთრი, შინწასოვი მახალისაგან გამზადებულ პირსახოცს. გამოთქმაც კია – „უწინსაფრო პატარძალი არაა პატარძალი“. ტრადიციით, თუ პატარძალი უბიწო არ აღმოჩნდებოდა, დედამთილი მოხსნიდა მას წინსაფარს და შივ ნავავს ჩაუყრიდა.

თეთრ წინსაფარს, ვითარცა სადღესასწაულო, საგარეო სამოსს, ატარებენ ქალიშვილები. პატარძლები და ახალგაზრდა, რეპროდუქციული ასაკის ქალები საგანგებო შემთხვევებში – ოჯახურ, კალენდარულ დღესასწაულებსა თუ აგრარულ სამუშაოებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებების შესრულებისას. მაგალითად, ჯერ თავად ქორწილშიც კია, თუ ბულგარეთში თეთრი წინსაფრებით არიან ქალიშვილები და ახალგაზრდა ქალ-რძლებიც, პოლონეთში იგი უკეთაით რიტუალური ცეკვის მონაწილე ჭაბუკებსაც.⁴ ან, ბულგარეთში საქორწილო სუფრისათვის პურის ცომის ზედის რიტუალის მონაწილე ქალიშვილა



ქართული კაბის სარტყელი.



ბულგარული საქორწილო წინსაფარი.

ლი კალენდრით საახალწლო დღეებში (წელი) სადღესღობოდ გამოწვევითაა ტარდები აცხობენ რიტუალურ კერებს.⁹ თეთრი წინსაფარი უცილებელი ელემენტია როგორც აგრარული კალენდრის საგაზაფხულო პერიოდის დაწვებასთან დაკავშირებული გამრავლება-ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი ქალწულთა დღეობა „ლაზარუკანეს“ მონაწილეთა სამოსისა, ისე ახალ წელსა და ვეელიერში მომაკვდავ-ლორძინებადი აგრარული ღვთაებისადმი მიძღვნილ საკარნავალო თამაშობებში ე. წ. პატარძლის როლის შემსრულებელი ვაჟის კოსტუმისაც.¹⁰ ახალი სიცოცხლის განენის ფაშსაც ფიგურირებს იგივე წინსაფარი. ბებიაქალი მას სამჯერ ურტყამს წელზე მშობიარეს და ამავე წინსაფრით ივანს ხელში ჩვილს.¹¹

ზემოაჩამოთვლილ შემთხვევებში თეთრი წინსაფრის გამოყენებას გ. მიხაილოვა ხსნის იმ ფაქტით, რომ იგი ნაყოფიერება-ბარაქიანობის სიმბოლოდაა გააზრებული. გ. მიხაილოვა ამ წინსაფარს მიიხსენებს სლავი ქალის კოსტუმის შემადგენელი ნაწილის – ქვედაწელის წინარე სახედ.¹²

მართლაც, ზემომოტანილი მასალა დასტურია იმისა, რომ თეთრ საქორწილო წინსაფარს ნაყოფიერების მაგიური ძალა მიეწერება, რამაც განაპირობა კიდევ მისი რიტუალური დანიშნულება: მაგრამ რა უნდა დასდებოდა საფუძვლად მის ამგვარ გააზრებას? საკითხის გასარკვევად გავიხსენოთ, რომ ტრადიციული საქორწილო კოსტუმი, მისი ელემენტები საწყისს იღებს მომაკვდავ-ლორძინებადი ასტრალური ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულოდან, რომლის მთავარი პერსონაჟი იმავდროულად რიტუალური ქორწილის ნეფეა. ამიტომ ისიც და მისი მეწყვილე დედოფალიც ღვთაებრივი სამოსით არიან მორთულნი.¹³ აღნიშნული გასაკებს ხდის თუ რას ემყარება სლავი პატარძლის თეთრი წინსაფრის მიხნევა

უეჭველად თეთრწინსაფრიანია.⁵ მასვე იკეთებენ რუსეთში ქალები თიბვა-მკისა და საქონლის საძოვრად გაყვანის პირველ დღეს.⁶ ბულგარეთში, ბარაქიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პირველი ნამკალი ძნებით დატვირთულ საზიდარზე შემოსვამენ სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულ. უეჭველად თეთრწინსაფრიან ქალიშვილს.⁷ საპატარძლო სამოსით, ე. ი. თეთრი წინსაფრითაც არიან ახალგათხოვილი ქალები აგრარული დღეობის – თედორობის დროს⁸ 9 მარტს (გაზაფხულის დამდეგი და ძვე-



ნაყოფიერება-ბარაქიანობის სიმბოლოდ, ცხადია, საქორწილო ჩაცმულობა. როგორც ღვთაებრივი სამოსი, იქნეს ბედნიერება-სიუხვე-გამრავლების უზრუნველმყოფელ მაგიურ მნიშვნელობას. ამიტომაც პატარძლის აუცილებელი ატრიბუტი — თეთრი წინსაფარი ფიგურირებს ოჯახური თუ კალენდარული დღესასწაულების ვამსაც. როცა სრულდება აგრარულ ყოფასთან დაკავშირებული რიტუალები. მაგრამ თავად საქორწილო ანუ ღვთაებრივი კოსტუმის ყველა ატრიბუტს ხომ აქვს ვარკვეული სემანტიკური დატვირთვა. მათში განსხვულდა თავად ღვთაების შესატყვისი ნიშანი, რის გამოც ისინი ამ რიტუალური კომპლექსის აუცილებელ ტრადიციულ შემადგენელ ნაწილებად განიხილება. მაგალითად, ვეირგვინი უკავშირდება ღვთაების ასტრალურ მზარეს¹⁴; ცხერის ტყავ-ქურქის სამოსში კი აისახა ვერძის ზოღიაქური ეპოქის ღვთაების ზოომორფული იერი¹⁵ ხოლო იმის გასარკვევად თუ რას უნდა გამოხატავდეს და რის ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ თეთრი წინსაფარი. დავაზუსტოთ რომ გარდა სიწმინდის შესატყვისი მისი ფერისა, რომელიც იმაღვროულად ასოცირებულია სინათლესა და განმანყოფიერებელ ძალასთან,¹⁶ და ამდენად მზესაც უკავშირდება, ყურადღებას იქცევს ამ წინსაფარის იერსახე. იგი ნაკეცებიანი ან ე. წ. პლისია. ახეთი სამოსი კი ცნობილია ძველადმოსავლურ ღვთაებათა და მეფეთა გამოსახულებებიდან, რაც ღვთაების ასტრალური ბუნებიდან გამომდინარე, მისივე სხივისონობის სიმბოლურ გამოხატულებად უნდა იყოს მიჩნეული.¹⁷ გამოდის, პატარძლის ნაკეცებიანი წინსაფარიც ასტრალური ღვთაების სწორედ, ამ ნიშანს ატარებს. მაგრამ ეს წინსაფარი კი არ უნდა დადებოდა საფუძვლად ღვთაების „სხივებიან“ კაბას, არამედ აქ, ეტყობა, საქმე გვაქვს იმ ფაქტთან, როცა დიდებულთა ეს ღვთაებრივი საქორწილო სამოსი

თანდათან მდბიოთა კონსერვაციული იქცა და ეკონომიური თუ სხვა ცხოვრებისეული მიზეზების გამო დრო-თაგმა ვეღარ შემოინახა ქორწილის აუცილებელ ელემენტად მიჩნეული „სხივებიანი“ კაბის თავდაპირველი სახე; დაიწყო მისი გამარტივება. მას ჩაენაცვლა მისივე სემანტიკური დატვირთვის მქონე წინსაფარი ანუ, თუ შეიძლება ითქვას. მთელის ნაწილი, რომელიც უფრო ადვილშესაძენი და ადვილსახმარიცაა. მაგიური დანიშნულების საგნის სიმბოლოდ ქცეული მისი ნაწილის იმავე დანიშნულებით გამოყენების პრაქტიკა კი საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ამ ნაკეცებიანმა წინსაფარმა (მიუხედავად იმისა, რომ მისი სახით გვაქვს თავდაპირველი ხალხთა სამოსის მხოლოდ ნაწილი ანუ გამარტივებული ვარიანტი) შეიძინა და ბოლო დრომდე შეინარჩუნა ნაყოფიერება-ბარაქიანობის, სიცოცხლისა და გამრავლების უზრუნველმყოფლის მაგიურ-სიმბოლური მნიშვნელობა.

შემდგომ უკვე წინსაფარზე, როგორც ასტრალური ნიშნის მატარებელ ელემენტზე, წარმოდგენის დაკარგვას მოყვამისი კიდევ უფრო გამარტივება. როგორც აღინიშნა, ზოგჯერ წინსაფარად თეთრ პირსახოცსაც იყარვენ წელზე. ე. ი. მას აღარ შემორჩა სხივისონობაზე მიმანიშნებელი ნაკეცები, მაგრამ ვითარცა საქორწილო კოსტუმის შემადგენელმა ნაწილმა, მაინც შეინარჩუნა ნაყოფიერება-ბარაქიანობის სიმბოლოს მნიშვნელობა. გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად წინსაფარი უნდა უსწრებდეს კაბას, ამჯერად პირუკუ სურათია — საქორწილო წინსაფარიდან კი არ უნდა განვითარებულაფო ნაკეცებიანი თუ ნაოჭებიანი ქვედაწელი, რომელიც გვხვდება სლავი ქალის კოსტუმში და აქ საქმე კი არა გვაქვს მარტივიდან რთული ელემენტის მიღებასთან, არამედ მატერიალური კულტურის რთული ელემენტი, თავდაპირველად

მთლიანი სამოსი — „სხივებიანი“ კაბა — მაგიურ-რელიგიურ პრაქტიკასთან კავშირში დროთა განმავლობაში გამარტივდა და მისი ნაწილის შემუშავებით სიმბოლური სახითაა შემორჩა ყოფას. დაიკარგა კულტურის ამ ელემენტის პირველსახე. ამას ხელი შეუწყო აზროვნების სფეროში მომხდარმა ცვლილებებმაც. ამიტომ ხალხის წარმოდგენაშიც ნელი-ნელ გარკვეულწილად წაიშალა მისი, როგორც ასტრალური ღვთაების ნიშნის გამომხატველის მნიშვნელობა. შედეგად კი ძნელად ამოხატონობი ვახდა მისი წარმოშობის საფუძვლები და თავდაპირველი არსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე იბადება უარაუდი — იქნებ ქართული ქალის სადელოფლო სამოსშიც იყო სღავე ქალების საქორწილო თეთრი წინსაფრის შესატყვისი, ასტრალური ღვთაების სხივოსნობის გამომხატველი ელემენტი, რომლის ამოცნობა სადღეისოდ გამწელებულია. საკითხის გასარკვევად გავიხსენოთ, რომ ჩვენში საპატარძლო სამოსია წარწინებული ქალის ე. წ. სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბა. ამ კოსტუმში არც „სხივებიანი“ და არც სწორი წინსაფარია. მაგრამ იქნებ შესაძლებელია დავუშვათ რომ კაბის წინ (ან კაბაზე წინსაფარივით) სხივების მგავსად ნამოშვებული „ქნების“ სახით წარმოდგენილი სარტყელი ასევე გამარტივებული ვარიანტია

ციურ მნათობის სიმბოლოს გამომხატველი სამოსის ელემენტისა, ამ კერძოდ საფუძველს უნდა უმაგრებდეს, რომ ძველად რატკველი ქალის კოსტუმის შემადგენელი ნაწილი იყო წინსაფარი, რომელსაც ამავე დანიშნულებით ცვლიდა გრძელი, ფონებიანი აბრეშუმის სარტყელი¹⁵. თუ აღნიშნული რამდენადმე დასაშვებია, ყოველივე ზემონათქვამი შეიძლება ასე შეჯამდეს: 1. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა ბულგარული საქორწილო სამოსის თეთრ წინსაფარში დავინახოთ ასტრალური ღვთაების სხივოსნობის სიმბოლო და შესატყვისად ამოვიცნოთ მისი წარმოშობის საფუძველიც 2. ასევე ასტრალური ღვთაების სხივოსნობის სიმბოლოა ქართული ქალის საქორწილო კაბის „ენებიანი“ სარტყელი. ე. ი. ქართულ საპატარძლო კოსტუმშიც, ღვთაების ზოომორფული ბუნების ამსახველი ცხერის ტყავ-ქურჭის სამოსისა და იმავე ღვთაების ასტრალური ნიშნის გამომხატველი გვირგვინის გვერდით, მოწმდება მის სხივოსნობაზე მიმანიშნებელი ელემენტი — „ენებიანი“ სარტყელი. 3. სღავერი წინსაფრისა და ქართული სარტყლის მაგალითზეც აშკარად გამოიკვეთა ზოგადი კანონზომიერება, რაც გამოიხატა დროთა განმავლობაში რელიგიურ-მაგიური ელემენტის გამარტივებაში.

1. ნ. ბრეგაძე, მეფე „სამამ“; ტ. 100, № 3, 1980; მისივე, რიტუალური სამოსის ისტორიისათვის, „სამამ“, ტ. 142, № 3, 1991.

2. Г. Михайлова, Някои семантични пачалели между българския и източнославянския народен костюм, «Българска етнография», кн. 3, 1986 с. 20—21.
3. იქვე, გვ. 18-19. 4. იქვე, გვ. 20.

5. Етнография на България, т. III, София, 1985, с. 179; Р. Иванюва, Л. В. Маркова, Болгария, в «Брак у народов Центральной и Юго-Восточной Европы», М., 1988, с. 145.

6. Г. С. Маслова, Народная одежда русских, украинцев и белорусов в XIX — нач. XX в., в «Восточнославянский этнографический сборник», М., 1956, с. 603.

7. Г. Михайлова, დსახ. ნაშრ., გვ. 22.

8. Етнография на България, т. III, с. 114.

9. Добруджа, София, 1974, с. 325.
10. Zhivka Stamenova, Koukers and Souv-vakars, Sofia, 1982.

11. Г. Михайлова, დსახ. ნაშრ., გვ. 24.
12. იქვე. 13. ნ. ბრეგაძე, მეფე.
14. იქვე.

15. ნ. ბრეგაძე, რიტუალური სამოსის ისტორიისათვის.

16. Л. Раденкович, Символика цвета в славянских заговорах, в «Славянский и балканский фольклор», М., 1989, с. 126.

17. ნ. ბრეგაძე, ბერიკათი ნიღბები, „მაცნე“, ისტ. სერია, № 4, 1985, გვ. 130.

18. ც. ბეზარაშვილი, გ. ჭალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ., 1988, გვ. 9.


 ტივი – ტრადიციული სამდინარო ტრანსპორტის
 სახეობა საქართველოში

მეტივეობა საქართველოს უძველესა დარგია. ადრეული ცნობები წყალზე სამდინარო საშუალებათა და აგრეთვე ხე-ტყის მდინარეებით ჩამოტანის შესახებ ჩვენში, ჯერ კიდევ პეროლოტეხა და სტრაბონის მოკვებათ. სახელწოდება ტივი ბიბლიის ქართულ თარგმანში გვხვდება, კერძოდ „წიგნი მეორე ნესტთან“-ში. სადაც ნათქვამია: „მოვილოთ იგი ტივებითა ზღუად იოპესა“-ო. გამოთქმულია მოსახრება. რომ სიტყვა ტივის ხიმველეს ადასტურებს ის ფაქტიც რომ მიხვან ფუძის გოარკვევებით მიღებულია საკმაოდ გავრცელებული კომპოზიტი – ტივტივი, რაც წყლის ზედაპირზე მოგდებული მსუბუქი საგნის ტორტმანს აღნიშნავს. საბას მიხედვით ტივი არის „ძელნი შეწყობილნი წყალთ სავალადწიხენი შეწყობილნი წყალში სავალად“. ნ. ჩუბინაშვილი კი წერდა: „ძელნი ერთად შეკრულნი მდინარეზედ სატარებლად“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულია განმარტება: „ერთიმეორეზე მიწყობით შეკრული დიდი ძელები მდინარეზე დასაცურებლად“.

ტივისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის – მეტივეობის ძველთაგანვე დაწინაურება-განვითარებას საქართველოში ხელს უწყობდა ტყეთა მდიდარი მასივებისა და წყალზე მდინარეთა არსებობა.

საქართველოს მრავალრიცხოვან მდინარეთაგან დასაუღეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ათამდე მდინარეზე შესამდლებელი იყო ხე-ტყის გამოყენებულ დასაცურებელი გზის სიგრძე. დაახლოებით, 800 კმ-ს შეადგენდა. საქართველოს უდიდეს მდინარეზე პტკვარზე და აგრეთვე რიონზე ტივების

დაცურება შესამდლებელი იყო დიდ მანძილზე. უფრო პატარა მდინარეებზე, როგორცაა ენგური, ფოცხოვი, ცხენისწყალი და სხვ. ტივების დაცურება ხდებოდა შედარებით ნაკლება სიგრძის უბნებზე. მდ. მტკვარზე ტივის დაცურების საწყისი პუნქტი იყო წნისი. ბოლო პუნქტი – თბილისი; მდ. დიდლიახეზე ტივი კეხვიდან ხანდაკამდე ჩამოაქონდათ; მდ. რიონზე ტივის დაცურების საწყისი პუნქტი იყო სადმელი. ბოლო – ფოთი; მდ. ენგურზე წყლის გზა მოიცავდა მანძილს სოფ. ჯვარიდან სოფ. ანაკლიამდე და ა. შ.

ტივის დაცურების დრო და ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო წყალდიდობის ხანგრძლივობაზე, მისი დაწყებისა და დამთავრების დროზე. დაცურების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი გაანიათ დას. საქართველოს ფარგლებში მთავარი ქედის სამხრეთით ფერდობის დიდ მდინარეებს. შავი ზღვის აუზის პატარა მდინარეების უმრავლესობაზე ტივებს აცურებდნენ წვიმებით გამოწვეულ წყალდიდობისას.

ტივის ჩეხვა და საკუთარი საჭიროებისათვის დამუშავება, გლეხების ძველისძველი მოსაქმეობა იყო. რეფორმის შემდგომ ხანებში ხეტყეზე მოთხოვნილება სწრაფად იზრდება. იგი ცილდება პირადი მოხმარების მოთხოვნილებას და XIX საუკუნიდან, განსაკუთრებით რეფორმის შემდგომი ხანიდან, მეტივეობა უკვე სამრეწველო ხასიათს იძენს. ხეტყის მრეწველობის ორგანიზაცია წმინდა კაპიტალისტური ხდება. მიწათმფლობელთაგან ხეტყეს ყიდულობდნენ მეწარმენი, რომელნიც ქირაობდნენ მუშებს ხეტყის საჩეხად, სახერხად. დასაცურებლად და სხვ. მდინარეთა გაყოლებით მრავალი მცირე მდინარი სოფლების მცხოვრებთათვის ხე-



ტვის დამზადება, დაცურება, მეტივეობა შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა.

წინასწარ შერჩეული გარკვეული ზომისა და მოყვანილობის სატივე ხის მოჭრის შემდეგ (ხეს ჭრიდნენ წყლის დროებისა და მთვარის ფაზების გათვალისწინებით), ხეს ადგილზე დაბუშავედნენ, გასხეპდნენ ანუ „გარაკედნენ“ (ქართლ.) გარაკინდ ხეს შუაზე ცულოთ პირს გაუხსნიდნენ და ბრტყლად გათლილი ჯოხით — „ჩკით“ კანს გააცლიდნენ. ამგვარად დამუშავებული, დამორილი ანუ „კორტებად“ (ქართლ.) დამზადებული ხე ადვილად შრებოდა და შჩატდებოდა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ქონდა ხეების ტივეზად დაცურების დროს.

მეტივეები შერჩეულნენ მთის ძირში გაშლილ ადვილს და მასზე ტყიდან ჩამოხილულ ხეებს დააბინავედნენ ანუ დახორგადნენ დახურგადნენ (ქართლ.) ერთ ხანს იქ ამყოფებდნენ და შემდეგ ხალიპით ან თრევით, მდინარემდე ჩაიტანდნენ. თუ ხეების ტივად გადატანა არ ხერხდებოდა, ხეებს შეუკრავად ჩაყრიდნენ მდინარეში და ისე დააცურებდნენ. მაგ, მტკვრის შენაკადებში კერძოდ ქობლანასა და ფოცხოეში აბასთუმან-ადიგენის ტყიან ფერდობებიდან შეუკრავად ყრიდნენ ცალკეულ მორებს და სატივემდე მიაცილებდნენ. ამას ხეტყის ჯოღად//ჯელგად//ჯორგად (სამეგრ.) დაცურებას უწოდებდნენ. მაგრამ გზაფხულზე და შემოდგომაზე შესაძლებელი ხდებოდა ცალი ტივეების დაცურებაც. დამცურებლები, გამცილებლები მქვეჯორგები მქვეწყულები (სამეგრ.) კეტებით ხელში მდინარის ნაპირებს მიჰკვებოდნენ და გამორიყულ ხეებს წყალში აბრუნებდნენ.

სატივე ანუ სატიო ისეთი ადგილია, სადაც მდინარე მდორედ, ნებურად (ქართ.) ნერად (სამეგრ.) მოედინება და ტივის შეკრა თუ განერება ადვილია. სატივეების ბოლო პუნქტები ტივის ყიდვა-გაყიდვის ადგილიც იყო.

მტკვარზე სატივეები იყო: ახალდაბაში, აწურში, დვირში, ლიკანში, ჯოშში, ვვიბისში, რველში, კორტანეთში, ახალდაბაში, ქარელში. ცნობილია აგრეთვე ატენის სატიეო-სატიეო ტანაზე, დიდ ლაახეზე, — კეხესა და ძარწეშში.

თბილისში რამდენიმე ადგილას იყო გამართული ტივეების „საბრუნო“. ერთი მათგანი ვერის უბანში იყო, მეორე — მუხრანის ხიდთან. სატივეებთან ხშირად გამართული იყო ღუქნები, სადაც ღამის გათვევაც შეიძლებოდა.

ვიდრე ტივის შეკვრას შეუდგებოდნენ, მასალას დაახარისხებდნენ, რადგან ხას იმ მრავალრიცხოვან ჯიშთაგან, რომელიც საქართველოში იჭრებოდა, ტივისათვის ერთნაირად გამოსადევი ყველა როდი იყო. მეტივეები ხეთა ჯიშებს რამდენიმე ჯგუფად ჰყოფდნენ: პირველში ექცევა „შჩატე“ ხეები რომლებიც „თაეისი გუნებით“ არ იძირებიან. ამ ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა. მეტად შჩატე ხეები — მათ „თაე წყალში მალა უჭირავთ“ და ბ. ნაკლებად შჩატე ანუ „მეტი ხეთის მქონე“ ხეები, რომლებიც წყალში სატარებლად შედარებით მძიმეა. მეორე ჯგუფში ისეთი ხეებია, „რომლებიც თაეისი გუნებით“ იძირება ანუ როგორც იტყვიან, „წყალში იყურება“, „წყალში იმალება“, „წყლის ქვეით მიცურავს“. ეს ჯიშებია: მუხა, მელქვა, წიფელა, რცხილა... აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნედლი ხისაგან ტივი არ შეიკვრება. ტივისათვის ხულ ცოტა, ერთი ორი თვის მოჭრილი, გამშრალი ხე უნდა ყოფილიყო. ამგვარი ხე „შჩატდებოდა თამაშს იწყებდა, ქაფივით ხდებოდა, მალა იდგა“. ერთ შემთხვევაში ყოველ ცხრა ხეს, რომელიც არ იძირებოდა, გაურევდნენ ერთს ისეთს, რომელიც იძირება. ეს ცხრა იმ ერთს „აიტანდა“ და ადვილად შეიკვრებოდა. სხვა შემთხვევაში როდესაც ნედლ ან ნახევრად ნედლ ხეებთან ქონდათ საქმე, მათ ისე გაანაწილებდნენ, რომ ყოველ ორ ხმელ



ხის შუა ერთი ნეღლი მოხვედრილიყო. ამასთან ნეღლს ისე ჩააბამდნენ, რომ მას „ცოტათი მაღლა ექცირა“.

ხეების დახარისხების დროს მეტი-ვეები ითვალისწინებდნენ ხის სიგრძე სიგანეს — იგი 15 ვერსოკის ზევით არ უნდა ეოფილიყო, რადგან „აღარ წაი-ღებდა“. ხეებს თავსა და ბოლოში „დაც-ხვირავდნენ“ მეტიური ცულით||ჩენგით თოკის ჩასაბმელად და უღელზე ამო-საკრავად. შემდეგ „წაქელავდნენ“— ხეებს თავებს წაუწვეტავდნენ. წაუძე-ლავი ტივი წყალს ვერ გაჭრის და თხელ წყალში „ქვიმას წახვეტავსო“. შემდეგ სატივეზე ნახევრად წყალში ტივის შეკ-ვრას შეუდგებოდნენ. შეკვრას „დედა ხით“ ანუ „მთავარი ხით“ იწყებდნენ და გარდიგარდმო უტოტო ხეს „უღლად“ გადაადებდნენ. უღელზე ხეებს ამოაბამ-დნენ. ამობმა მოკლე ჯოხით — რიკით ხდებოდა. რიკზე წწელს დაამაგრებდ-ნენ, ხეებს ნაცხირში ამოუტარებდნენ და უღელზე გადაჭიმავდნენ||მოქანავდ-ნენ, იმდენჯერ მოატრიალებდნენ, სანამ მორი უღელს მჭიდროდ არ ამოებმებო-და.

ტივის განაპირა ხეები — მარქაფები-თავეებით მომიჯნავე ხეებთან იყვნენ მიბმულნი. თავისუფლად გაშვებული ბო-ლოები, საჭიროების შემთხვევაში ფარ-ფლებივით იშლებოდნენ, ტივს წონას-წორობას აღუდგენდნენ და ხშირად გა-დაბრუნებისა თუ დაჯახებისაგან იხს-ნიდნენ. უღელთან ახლოს ტივის თავ-სა და ბოლოში დაახლოებით ოთხი ვერსოკის სიღრმეზე „დედა ხე“ დაბურ-ღული იყო და შიგ ნახევარი მკლავის სიგრძისა და ორი ვერსოკი სისქის „ჭო-ლოკინი||კოტა||კოსილი“ ქონდა დასო-ბილი. მაგარი ხისაგან გამოთლილი ეს სამაგრი ორთაყვირის ჩამოხატულად კეთდებოდა. ჭოლოკინი ბუდეში უძ-რაყად, მყარად რომ მჯდარიყო, უღელ-ზე გამობმულ საბანდებს ჩააბამდნენ, შე-მოახვევდნენ და რიკით „შემოქანავდ-ნენ“.

ორთაყვირი|| ორთაღური|| ორთაყური (სამეგრ.), ორთაყური|| (იმერ.) ტივი საძარით ეს მოწყობილობა ანუ როგორც ხაბა მოიხსენიებს „სატივე ხოპი ტივის ნინაბი“ (შდრ. ქართული ენის განმარ-ტებითი ლექსიკონის: „ორთაყვირი — ტივის ან ბორნის ხოპი წყალში მო-ხასმელად“) ძირითადად ნაძვის ხისაგან მზადდებოდა. ორთაყვირბ ორია: წინა|| სათაური (იმერ.) და უკანა||საბოლოო. როგორც ირკვევა ადრე ორთაყვირს და-სავლეთ საქართველოში არ იყენებდნენ. მის მაგივრობას ჭოკი||საჭე და ნინაბი|| ხოფი სწყევდა. ეხენი შემდგომში ორ-თაყვირთან ერთად თანაარსებობდნენ. საერთოდ არ დამკვიდრდა ორთაყვირი ქაზიყში. აქ ხმარობდნენ ნინაბს და ნი-ნაბთან კომბინაციაში საჭეს.

ამგვარად დაშზადებულ ცალ ტივებს „კურატებით“ (ნორჩი, მზარდი ნაძვის ნეღლი ღერო) გადააბამდნენ. 12 ნახე-ვარ არშინის სიგრძის ხეებისაგან (ნა-ხეკარი არშინი გაყიდვის დროს სათვა-ლაეში არ შედიოდა — ნაცხვირიაო) შედგენილ, ერთმანეთზე გადაბმულ ორ ასეთ ცალს აღმოსავლეთ საქართველოში ტივს უწოდებდნენ. ექვსნახევარ არში-ნინანი სიგრძის ხეებისაგან შემდგარი სამი ასეთი ცალი — ტივი იყო. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ცალ ტივებს აცურებდნენ. დასავლეთ საქართველოში ტივებს ცალებად არ ჰყოფდნენ ტივს აქ გადაბმის გარეშე ერთად შეკრულ 20 ან მეტ ხეს უწოდებდნენ. საერთოდ კი ხალხური გაგებით ოცი ხისაგან შედგე-ნილი ტივი ორი ცალია. მაგრამ აღნიშ-ნული რაოდენობის დაცვა იშვიათად ხერხდებოდა, რასაც საკუთრივ ეთნო-გრაფიულის გარდა სხვა ხასიათის ცნო-ბებიც ადასტურებს.

ტივის დასაცურებლად, მის გასაძლო-ლად, ჩვეულებრივ, ორი კაცი იყო საჭი-რო: მეწინავე და მებოლავე. წყალდი-ღობის დროს ერთ-ორ კაცსაც მოიშვე-ლიებდნენ, რადგან ასეთ დროს წყალთან ბრძოლა ჭირდა და ორთაყვირზე „ხე-



ლის წამკვერელი კაცი“ ხაჭირო ხელ-
ბოდა. აქედანაა მიღებული, როგორც
ჩანს, დამხმარე კაცის აღმნიშვნელი ხა-
ხელი — „ხელისმკვერელი“. მეწინავესა
და მებოლავის შეთანხმებულ მუშაობა-
ზე იყო დამყარებული ტივის მართვა.
ინტერესს იწვევს ე. წ. „მეტეივთა ენა“
ანუ ის ლაკონური, ძუნწი წინასწარ შე-
მუშავებული ტერმინოლოგია. რომელ-
საც ტივის წაყვანის დროს მეწინავე და
მებოლავე იყენებდნენ. მართვა განსა-
კუთრებულ სიმხელესთან იყო დაკავში-
რებული და მეწინაისგან წყლის ცოდ-
ნას, გამჭრიახობას, სიფრთხილეს, წინ-
დახედულებას თუ ამტანობას მოითხოუ-
და. მეტივეს ზედმიწევნით უნდა სცოდ-
ნოდა „წყლის გზა“, სად იყო მორევი —
„ტრიალა“, სად „თავთხელი“ ანუ
„თავწყალი“, სად „საჩქარი“. კარგი
მეტივე დინების მთავარ ძარღვს „თავ-
წყალს უნდა მიჰყოლოდა“, რადგან მას-
ში ტივი დაუბრკოლებლად მიცურავდა.
წინააღმდეგ შემთხვევაში ტივი შეიძლე-
ბა შუა დინებაში, თხელ წყალში გაჩე-
რებულიყო. „ბეჭზე გარიყულიყო“.

გზის სირთულე და ამასთან მიხი არც
თუ ისე სრულყოფილი ცოდნა იყო,
როგორც ჩანს, იძის მიზეზი, რომ მეტი-
ვეთა უმრავლესობას გარკვეულ მონაკ-
ვეთზე შეეძლო ტივის წაყვანა. იქმნება
საკმაოდ საინტერესო სურათი, რაღაც
ესტაფეტას მაგვარი. ტივი ერთი ხელი-
დან მეორეში გადადიოდა. საწყისი პუნ-
ქტიდან რაც უფრო მოშორებით იყი-
დებოდა ტივი, მით უფრო ძვირი ღირდა.

აღნიშნულის გარდა, ტივს სხვა მიზ-
ნებითაც იყენებდნენ, სახელდობრ, გარ-
კვეული საფასურით ტივით ეზიდებოდ-
ნენ ხილს. კაკალს, ბოსტნეულს, მარ-
ცელეულს და სხვა პროდუქტებს. დრო
და დრო გორიდან და მეტეხიდან თბი-
ლისში მტკვრის გაყოლებით მოდიოდ-
ნენ ტივები, — წერდა ვიულდენშტედ-
ტი, — ისინი გაკეთებული იყვნენ 4 სა-
ყენი სიგრძის... ფიჭვის მორებისგან.
ამ ტივებს მოჰქონდათ ხორბალი და

ქერი. მარცელეულის გაყიდვის შემდეგ
ყიდნენ ამ მორებსაც...“ ასეთივე ხასია-
თის ცნობებს გვაწვდიან სხვა ავტორე-
ბიც. ტივით გადაჰქონდათ აგრეთვე შე-
შა, „დაკონილი ფინჩი“. ფიცარი, ყავარი
და სხვა. მაგალითად 1901 წელს სად-
მელის თავზე აკვებულ სახერხ ქარხანა-
ში დამზადებული მასალა მდ. რაონამდე
ურმებით ჩამოჰქონდათ, შემდეგ კი ტი-
ვებზე აწვობდნენ და გზავნიდნენ ქუთა-
ისში.

ტივს ასპინძასა და მესხეთში იშვია-
თად მდინარის ერთი ნაპირიდან, მეო-
რეზე ხალხის გადასაყვანად იყენებდნენ.
ასეთ დროს ტივს „ჩხერალში“ (ჩქარი
წყალი) ვერ ამუშავებდნენ და იგი
„დოკრეში“ — მდორე წყალში (მესხ.)
მუშაობდა. ისტორიული დოკუმენტები-
სა თუ ლიტერატურული ცნობებით ირ-
აკვეა ტივის მხოლოდ სამგზაურო და-
ნიშნულებით გამოიყენებაც. 1752 წ. ერ-
თი ანდერძის წიგნის შემდგენელი იუწ-
ყვა, რომ „ქალაქ მიედიოდი ტივითა
და რაც თამასუქები და სიგელები მქონ-
და დამეკარგაო“. პლატონ იოსელიანი
თავის წიგნში „ცხოვრება გიორგი მე-
ცამეტისა“, წერს: „მეფის ძე გიორგი
1778 წელსა შავიდა ზაფხულსა თვე-
თათვის თრიალეთისაკენ და აქედან გარ-
დავიდა 300 კაცითა და დაბანაკდა თა-
ფარავნის ტბისა პირზედ... თაფარავნით
გადმოვლო მთა საციციანო და მოვიდა
ქართლსა, აქედან მიიწვია პროველმან
ეპისკოპოსმან რუისისა; განვლო მტკვა-
რი ტივით დაჰყო მასთან სამი დღე. აქე-
დამ ამილახვარმან ოთარ ისტუმრა ტი-
ვით ოთარშენსა, მისგან დადგინებულსა
სოფელსა და სასახლესა; მოხრული
გორსა მანვე მოიწვია ამილახვარმან,
ვითარცა გორის მოურავმან. აქედან
დამისთევითთა განატარა გორიჯურის
ეკლესიაში მწუხრი. ცისკარი და წირ-
ვა... შემდეგ ორი დღისა მთაზე ყოფნისა
მეფე შეიქმნა აუად და წარმოვიდა მუ-
ნით არა ცხენით, დასვეს ტივზედ და ისე
მოიყვანეს ქალაქსა თბილისს...“ თვი-



თონ ავტორი, რომელსაც პირადად მოგზაურია ტივით, აღტაცებული წერს: „ტკბილია ტივზე ჯდომა და სიარული მტკვრისა გზითა. კნიაზმან ვიორვი გავარინმან აწ ღოფმესტერმან მონხლომა წასვლა ვორიდან თბილისს და ვიარეთ ამ გზით მე და მან 1851 წელსა დეკემბრის თვეში. დილით წასული მოვედით ს. გომსა და მეორესა დღესა მ რიცხესა ქალაქსა თბილისსა. ტივზე მჯდომნი თავისუფლად და დაუბრკოლებლივ ვკითხულობდით წიგნსა და ეწერდით.“

საინტერესოა აღინიშნოს, შექორწილეთა ტივით მოგზაურობის ფაქტებიც. დღესაც კარგად ახსოვთ ბორჯომის ხეობის მკვიდრთ. თუ რამდენიმე ტივზე გაშლილ სუფრას შემომხდარი ნეფე-პატარძალი და შექორწინენი როგორ ჩამოივლიდნენ ზურნა-ღუღუკითა და სიმღერით სოფ. ჭობისხევიდან, დვირიდან ყვიბისიდან და ქვაბისხევიდან... ერთი სიტყვით გარდა იმისა, რომ ტივით მოგზაურობა ხშირ შემთხვევაში აუცილებელი იყო, რადგან შეტად სასიამოვნო და ეგზოტიკური იყო გარკვეული ფენების პრივილეგიას წარმოადგენდა და პრესტიჟულობის ნიშანს ატარებდა.

ქეიფისა და საქორწილო ცერემონიის გამართვა ტივზე, როგორც ცნობილია, ძველ თბილისშიც ხშირად ცოდნიათ. მას ჩვენი სახელოვანი პოეტი, თბილისის ყოფის შესანიშნავი მცოდნე იოსებ გრიშაშვილი შემდეგნაირად ავეიწერს: „არ ვიცი, რომელი სანახაობა აჯობებდა იმ სურათს. როცა მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთს გადააბამდნენ და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ: აქეთ ნეფე-ღედოფალი იყო მღვდლით, ეჯიბით და მღადლებით, იქით ნაკეთიერი ბიჭები ორთაფვირს ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში. ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო ღუღუკზე, მეორე მხარეს ცეცხლი ჩახჩახებდა. რომელზედაც წყლით საესე კოჭობი იდგა ცოცხალი თევზისათვის...“ ტივზე ვარაჩოხელების ქეიფიც ჩვეულებრივი ამბავი იყო. მეტიველობამ თავისი ასახვა პპოვა ბევრ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ხალხურ ლექსებსა თუ სიმღერებში. ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორში მეტივერი სიმღერების საგანგებო ფანრიც კი არსებობს.





— „მე თბილისი მივვარს!

მე თანამედროვე ადამიანი ვარ, ძველი თბილისის სადღევრძელოებზე ვაზრდილი. ქედმაღალი და სილამაზის მაძიებელი და მე ვამბობ: მეგობრებო, მწერლებო, პოეტებო, ნუ დავეთმობთ თბილისს არქეოლოგებს. უშუალოდ შევიქმენით ის, ვისუნთქოთ მისი ჰაერით, ქუნაბანდებით, ნანგრევებით და შევიყვაროთ ისე როგორც ჩვენი პირველი ლექსი“!

თბილისის მხურვალე მეხოტბის, პოეტთა გრიშაშვილის ამ გულწრფელი ხიტყვებით გვიანდა დავიწყეთ ეს წერილი, რომელიც ჩვენი დედაქალაქის ისტორიის ერთ პატარა მონაკვეთს ეხება.

XIX ს. საქართველოში სავარაუდოა შემთხვევის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო ფეოდალური ქალაქის — თბილისის ზღუდეების გადალახვას. ქალაქის გარეუბანში თანდათანობით ჩნდება ახალი სტილით ნაგები საუწყებო სახლები — საქართველო-ამიერკავკასიის მთავარმართებლის სასახლე, საქალაქო პოლიციისა და სახანძრო რაზმების შენობა-პაუტეხატი და სხვა. თანდათანობით იქმნება „გარეუბნის“ მოედანი, რომელსაც 1823წ. რუსთა და ქართველთა ჯარების მიერ ერევნის აღების აღსანიშნავად „ერევნის მოედანი“ უწოდეს. დაიწყო სამუშაოები წყალსაგარდნი გვირაბებისა და არხების ასაშენებლად. ამრიგად, საფუძველი უდრება ახალ თბილისს, რომელიც ძველის მეზობლად და მის ირგვლივ ფართოვდება. ამავე დროს თბილისი რუსეთის სამამულო მრეწველობის ბაზარი და ამ მრეწველობის საქონლის განმანაწილებელი პუნქტი ხდება.

XIX ს. 70-იან წლებიდან იწყება ახალი ხანა ამიერკავკასიის ტრანზიტის ისტორიაში; ჯერ ფოთი-თბილისის (1872 წ.), შემდეგ თბილისი-ბაქოს (1883 წ.) და ბათუმ-თბილისის (1883 წ.) შორის

რკინიგზის გაყვანამ არათუ გააიაფა ტვირთზიდვა და მიმოსვლა ამ პუნქტებს შორის, არამედ საქართველო უფრო დაუახლოვა რუსეთსა და საერთოდ მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებს. მსოფლიო ბაზრებს და ამით, ჩართო რა საერთაშორისო გაცვლის მიმოქცევაში, თითქოს სულ სხვა სამყაროში გადაიყვანა იგი.

სწრაფი ტემპით წარმოებს თბილისზე გამავალი გზატკეცილების მშენებლობა. ცალკეულ სამშენებლო კვარტლებად დაიყო ქალაქის ტერიტორიაზე მიწერილი ჭალა კუკიასა და მუშტაიდს შორის. საფუძველი ჩაეყარა სწორი და ერთმანეთის პარალელური ქუჩების მშენებლობას. სწორ ქუჩებად დანაწილდა სოლოლაკის და მთაწმინდის განეხილი ბალები, სადაც ახალი სტილის ევროპულ სახლებში ქალაქის მმართველი ბიუროკრატია სახლდებოდა. XIX ს. 50-იან წლებში მდ. მტკვარზე აშენდა ორი ქვის ხიდი, რომელმაც ხელი შეუწყო თბილისის გაფართოებას მდინარის მარცხენა ნაპირზე.

მეორედავად ქალაქის ინტენსიური მშენებლობისა თბილისის ქუჩები და სატრანსპორტო საშუალებები არქაულ მდგომარეობაში რჩება. თბილისის ემსახურება პრიმიტიული სახის ტრანსპორტი: ურეში, აქლემთა ქარავანი, სასაბალნე ცხოველები. მდინარე მტკვარზე დაცურადნენ ტიკები და ნაგები, მოქმედებდა აგრეთვე რამოდენიმე ბორანი.

პრიმიტიული იყო ქალაქის განათებაც. მიუხედავად ამისა, თბილისი ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა და ძველ სახეს იცვლიდა. ქალაქში გამოჩნდა სხვადასხვა სახის საბირეო კიბაქეები: ეტლი, ფაეტონი, დილიჯანი, ომნიბუსი, და სხვა.

XIX ს. მეორე ნახევარში ვაზრდილი თბილისის კეთილმოწყობის ერთ დიდ პრობლემას სამკვაზრო ტრანსპორტი შეადგენდა, ამიტომ ქალაქის მმართვე-



ლობის წინაშე დაღვა საკითხი ცხენის რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ.

მსოფლიოს ქვეყნებში ცხენის რკინიგზის შექმნა დაკავშირებულია ფრანგი ინჟინრის ლიუბას სახელთან. რომელიც 1852 წ. წინადადება წამოაყენა მსხვილ ქალაქებში სარელსო ხაზები გაყვანათ, რომელზედაც ვაგონების გამოწვევ ძალად ცხენებს გამოიყენებდნენ. 1854 წ. მან ცხენის რკინიგზა გაიყვანა. ნიუ-იორკში და პარიზში, რის შემდეგაც ასეთივე გზა გაიხსნა ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, რუსეთსა და შვეიცარიაში.

ცხენის რკინიგზის მშენებლობას და ექსპლოატაციას უპირველესად ინგლისის, ბელგიის და საფრანგეთის აქტიონერული საზოგადოებები აწარმოებდნენ.

თბილისში ცხენის რკინიგზის მშენებლობა XIX ს. 80-იან წლებში დაიწყო. როგორც ვაზეთი „КАВКАЗ“-ი იუწყება, თბილისში გამოჩნდა კაპიტალისტი ვინმე კარლ დრევეციკი, რომელსაც ქალაქის სათათბიროში წარუდგენია ამ გზის მშენებლობის პროექტი. რომელიც ითვალისწინებდა ქუჩებში ერთი და ორ ლიანდაგიანი, რვა ვერსის სიგრძის ცხენის რკინიგზის გაყვანას.

1881 წ. 11 აპრილს დაიღო ხელშეკრულება თბილისის მმართველობასა და კარლ დრევეციკს შორის. ხოლო 1883 წ. მარტში ვაგზლის მოედნიდან თავად ვორონცოვის ძეგლამდე გახსნილ პირველ მონაკვეთზე, რომელიც სულ 2.419 მ. შეადგენდა, პირველმა ვაგონებმა გაიარა. შემდეგში ასეთივე გზები გაყვანილ იქნა მოსტოვიის (კ. მარქსის ქ.) და პუშკინის ქუჩებზე ერევნის მოედნამდე. იქიდან კი გოლოვინის (რუსთაველის გამზ.) ქუჩით ვერეს მოსახვევით, ვერეს დაღმართზე.

ცხენის რკინიგზის ვაგონები ორგვარი იყო: ღია და დახურული. ღია ვაგონი წარმოადგენდა სვეტებიან გადახურულ ბაქანს, ანუ პლატფორმას, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ მთელ სიგრძეზე

საფეხური ქონდა მიმაგრებული. ზღვე ხელში ვაგონის სვეტებს ეყრდნობოდა დებით ფარადნენ. დახურული ვაგონის წინა და უკანა ბაქანი ღია იყო, ხოლო მათ შორის მოთავსებული ნაწილი, რომელიც მგზავრებისათვის იყო განკუთვნილი, კედლებით იყო შემოხლული. კონკის ვაგონში 20-25 მგზავრი ეტეოდა. ვაგონში ორი ცხენი იყო შებმული. აღმართში მათ ორ სამარქაფო ცხენს ამეველებდნენ.

მიუხედავად ქალაქის სამმართველოსა და ცხენის რკინიგზის ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებისა, ხშირი იყო ამ უკანასკნელის მიერ პირობების დარღვევა. როგორც ვაზ. -НОВОЕ ОБЗРЕНИЕ“ წერდა: „კონკა არ ცნობს ქალაქთან დადებულ კონტრაქტს. მგზავრობის ტარიფს არ იცავს და თვითნებურად იღებს საფასურს. მოძრაობს როგორც მეეტლეა და კონდუქტორს მოეხურვება, ზრდის და ამცირებს ხაზზე ვაგონების რაოდენობას. როგორც კონკა ასევე მეფაეტონეები მკაცრად უნდა ემორჩილებოდნენ მეეტლეობის წესებს. მაგრამ ხდება პირიქით თუ მეფაეტონე პატარა შემთხვევისათვის ჯარიმდება ან ციხეში ამოყოფს თავს, კონკა სამაგიეროდ დაუსჯელად მოქმედებს“.³

ვაზ. „КАВКАЗ“-ის კორესპოდენტი კი ასევე ემოციურად აღწერს თბილისის ცხენის რკინიგზას: „კონკის პირველი ხაზის გახსნისას მისმა ორგანიზატორებმა დიდი მოგების მიზნით, მოინდომეს ქალაქის მოსახლეობის განებივრება, უფრო სწორად, რომ ეთქვათ, მათთვის თვალში ნაცრის შვერა. ცხენები, მოსართავეები, ვაგონები, მეეტლეები და კონდუქტორები პირველი დანახვისას კოპწი-დ გამოიყურებოდნენ. მოძრაობა ცოცხალი იყო ყურადღება, რომ არ მიგვექცია ზარებზე, რომლებიც ვაგონებზე ეკიდა და გამოდებებით რეკდა, კაცი იფიქრებდა ჩვენ აზიურ თბილისს ევროპის ელფერი დაპკრავსო. კონკით სეირნობა მიღური გართობა ვახდა. მეფაეტონეებმა



ცხვირი წამოუშვეს; მაგრამ ეს ბედნიერი დღეები ხანმოკლე აღმოჩნდა. ახალ ხაზებზე ცხენებმა, მოსართავეებმა, მეეტლეებმა და კონდუქტორებმა კოპწია შესახედაობა დაკარგეს, ხოლო უკანასკნელ რიყის ხაზზე ვველაფერმა ჭუჭყიანი სახე მიიღო.

ცხენის რკინიგზისათვის თბილისის საუკეთესო ქუჩები, ვამოიყო, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ კონკის შემადგენლობის სიმცირის გამო საქმიანი ხალხი დიდ დროს კარგავდა. მეეტლეები ისევე აუცილებლები გახდნენ, როგორც ადრე, ხოლო კონკით სიარული მხოლოდ უსაქმურ ხალხს შეეძლო. რომლებსაც არსად ექქებოდნენ. დაიწყეს კონკაში ხეიბარი ცხენების შებმა. ვაგონების ხარიხაზე გამოუძინებელი და ჭუჭყიანი მეეტლეები გამოჩნდნენ. ამ დროს კი იმის მაგიერად, რომ აღიარონ საქმის წარმართვის უუნარობა და გაიფხვით მაინც მიიზიდონ მგზავრები. მისი ორგანიზატორები მგზავრობის ღირებულებას აძვირებენ და ვაგონის შემადგენლობას ამცირებენ. დროა ქალა-


კის სამმართველომ მიხედოს „ქრონიკული“ მეს“.

1895 წ. ბელგიის ანონიმური საზოგადოების დირექტორი ქალაქის სათათბიროში აყენებს საკითხს ცხენის რკინიგზაზე ელექტრო წვევის შემოღების შესახებ. 1904 წ. ელექტრო ტრამვაიმ მოძრაობა დაიწყო მიზაილოვის პროსპექტზე. (დ. აღმაშენებლის გამზ.). ხოლო 1905 წ. კი ვოლოვინის პროსპექტზე.

ცხენის რკინიგზა თბილისს 1910 წლამდე მხოლოდ ავჭალის ხაზზე შემორჩა. ისევე პოეტის სიტყვებით დავამთავრებთ: „თბილისის ყოველი შუკა ხავეა ლევენდარული სახეებით. შეიძლება უცხოელთათვის ეს წელგამწყდარი ქუჩები და მერცხლის ბუდეხავით მიკრული სახლები, თანამედროვე ტექნიკის მიხედვით, არც პივიენური იყოს და არც მხატვრულად გამწყაზრული, მაგრამ ჩვენთვის თბილისის ყოველი კენჭი, ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი“.

1. ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემა. თბზ., კრ. ტ. 111, თბ., 1963, გვ. 305.

2. Кавказ, 1881, № 26.
3. Новое обозрение, 1884, № 256.
4. Кавказ, 1884, № 217.





**თბილისის I საშუალო სკოლის შენობის მოკლე ისტორია
ახლად გამოვლენილ საარქივო მასალების მიხედვით**

თბილისის I საშუალო სკოლის ისტორია და ამ სასწავლებლის კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. მის კედლებში მრავალი ქართველი საზოგადო მოღვაწე სწავლობდა და აქვე საქართველოსათვის ბევრი სასიკეთო საქმე წამოწყებულია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თვით სკოლის შენობაც თბილისის ხუროთმოძღვრების შესასწავლად, რადგან ეს ნაგებობა მრავალჯერ გადაკეთდა და ამ გადაკეთებათა აღნუსხვით საშუალება გვეძლევა თვალი გვაადევნოთ ქალაქური მშენებლობის სტილის განვითარებას.

სამწუხაროდ, ისტორიის ეს მრავალსმთქმელი ნაშთი ჩვენვე ქართველებმა დაუანგრეთ და ჩვენვე გვეკისრება მისი სრულყოფილი აღდგენა.

ამ ძეგლის რესტავრაციის პროექტი ინსტიტუტ „საქრესტავრაციაში“ შემუშავდა (არქიტ. ი. შარაშენიძე და ნ. ზახუნუშვილი) და მუშაობის პროცესში აუცილებელი გახდა უამრავი საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალის მოძიება. ვფიქრობთ, რომ ეს მასალა საინტერესო უნდა იყო „ძეგლის მგობრის“ მკითხველისათვის.

თავდაპირველად 1802 წ. 22 სექტემბერს თბილისში გაიხსნა 2 კლასიანი „კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომელიც 1804 წ. 31 მაისს I დაწყებით მეცნიერებათა 4 კლასიან სასწავლებლად გადაკეთდა; 1807 წლიდან სასწავლებელი უკვე ზუთკლასიანია, 1832 წლიდან კი ექვსკლასიანი. ამ სასწავლებლის გახსნა განაპირობა ახალი რუსული ადმინისტრაციის სურვილმა, რათა ამიერკავკასიაში რუსული ორიენტაციის სკოლა დაეარსებინა.

თანდათან კეთილშობილთა სასწავლებელმა „ძალა მოიკრიბა“ და 1829 წ.

დადგა მისი გიმნაზიად გადაკეთების საკითხი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთავარ-მართებელ ერმოლოვის დროს აგებული სასწავლებლის შენობა სასახლის ქუჩის ბოლოს ვეღარ დააკმაყოფილებდა გიმნაზიის გაზრდილ მოთხოვნებს. ეს სასწავლებელი რომელიც დღევანდელი რუსთაველის გამზირის № I სახლის ადგილას მდებარეობდა, აკად. ვ. ბერიძის მოსაზრებით, კლასიციზმის ტიპური კომპოზიციას წარმოადგენდა: „შუა სახლი (მეზონინით) და გარკვეულ მანძილზე მდებარე მასთან ქუჩის გაღავნით გადაბმული ერთსართულიანი ფლიგელუბი“.

ზუთკლასიანი გიმნაზია მაინც ამ სასწავლებლის ბაზაზე გაიხსნა 1830 წ. 1 მარტს, ოღონდ 40 მოწაფიანი პანსიონი, შენობის სიმცირის გამო, სხვაგან ვანუთაესუბიან და ვინაიდან მოწაფეთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა აუცილებელი შეიქმნა ახალი შენობის აგება.

ვ. ბერიძე აღნიშნავს, რომ 1832 წ. ახალი შენობის 2 პროექტი შეუდგენით (ლ. ა. რევი, მელნიკოვი). მაგრამ ხანკატეტერბურგის არქივში არსებულ ამ პროექტთან არცერთი არ განხორციელებულა: ხოლო შემდგომში აგებულ შენობის პროექტი მან არქივში ვერ მოძებნა! თუმცა ერთი რამ კი უკმკველია, 1832 წლამდე იმ ადგილას, სადაც მომავალში გიმნაზია აიგო, არავითარი ნაგებობა არ მდგარა, რაც კარგად ჩანს თბილისის 1828 წლის გვერძზე¹.

XIX საუკუნემდე ქალაქის ეს ნაწილი დაუსახლებელი იყო და აგარეთუბანი“ ეწოდებოდა. იმავე საუკუნის 30-იან წლებიდან კი სწორედ აქედან იწყება ობოლისის ახალი ცენტრის ჩამოყალიბება (ამჟამინდელი თავისუფლების მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია). იმ დროისათვის თანდათანობით შეიძინა



კონტურები ერევანსკის მოედნმა, სასახლის ქუჩამ და ჩრდილოეთისკენ მიმავალმა გზამ (დღევანდელი რუსთაველის გამზირი). ჯერ კიდევ 1802 წ. ამჟამინდელი მოსწაულეთა სასახლის ადგილას აიგო მთავარმართებლის ხის სასახლე. 1807 წ. დაიწყო ახალი სასახლის მშენებლობა, ხოლო 1824-27 წწ. ერევანსკის მოედნის კუთხეში აიგო რუსეთის არმიის მთავარი შტაბი. შტაბსა და მთავარმართებლის სასახლეს შორის არსებულ ქუჩას — სასახლის ქუჩა ეწოდა მის დასაწყისში, შტაბის შენობის მიპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. ზემოთ ნახსენები „კეთილშობილთა სასწავლებელი“. მთავარმართებლის სასახლის წინ 20-იან წწ. ააგეს პაუტკვახტი-სა და სტამბის შენობები (დღევანდელი საქართველოს სახ. მუზეუმის ადგილას), ხოლო სასახლის გვერდით, იქ, სადაც ახლა მთავრობის სახლის ზედა კორპუსია — არსენალი.³ ასე იწყებოდა რუსთაველის პროსპექტის ფორმირება (ჩრდილოეთის გზა), რომელსაც მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს ეწოდა მთავარმართებელ გოლოვინის სახელობის პროსპექტი.

თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის ახალი შენობის აგების თარიღის შესახებ, რამოდენიმე მოსაზრება არსებობს. გარეთუბნის განაშენიანების გეგმა 1833-35 წწ. შეუდგენია მიწისმზომელ ტოკვარნიცკის, თბილისის ხუროთმოძღვრების მკვლევარი თ. კვიციკელია აღნიშნავს, რომ ვაჟთა გიმნაზია ამის შემდეგ აუგიათ, კერძოდ კი 1837-39 წწ.⁴ ამავე თარიღს ასახელებს ვ. ბერიძეც.⁵ თუმცა არსებობს განსხვავებული აზრიც. ვახუთ „კაკაზის“ 1881 წ. ერთ-ერთ ნომერში აღნიშნულია, რომ „1833 წ. აიგო ახალი შენობა საეკლესიო და სახაზინო მიწაზე რომელიც ცნობილი იყო „მეფის მოედნის“ სახელით.“⁶ ამავე თარიღს იმეორებენ შემდგომში სხვა მკვლევარებიც. შენობის აგების ზუსტი თარიღის დადგენა ძნელდება, თუმცა არსებობს რამოდენიმე ისეთი საბუთი, რომელიც მარტვილ მოსაზრებას უფრო უჭერს მხარს. მაგ. არქიტ. ბელიო 1840 წელს ახგარიშს აბარებს საგუბერნიო სამშენებლო კომისიას. „თბილისის გიმნაზიის კორპუსის მთლიანად დამთავრების გამო, მისმა სამშენებლო კომისიამ შეწყვიტა არსებობა“.⁷ აქედან გამომდინარე ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს, რომ 1833 წ. დამთავრებულ მშენებლობას კიდევ 7 წელი დასჭირვებოდა სამშენებლო კომისიის არსებობა.

ამასთან ჩვენ ხელთ ვაკვს 1839 წ. საბუთი სამშენებლო ფულის გაფლანგვის შესახებ, რის გამოც გიმნაზიის დირექტორი გახენ-მიღერი ციმბირს გადაახაზლეს.⁸ აქაც ძნელი წარმოსადგენია, რომ 6 წლის შემდეგ აღმოჩენილიყო 1833 წელს დამთავრებული მშენებლობის ფულის გაფლანგვა. აქვე აღსანიშნავია, რომ გიმნაზიის შენობის განუზოციელებელი პროექტი 1832 წ. ბოლოთი არის დათარიღებული და ამ მოზრდილ შენობას ნახევარ წელიწადში ვერ ააგებდნენ.

ყოველ შემთხვევაში გიმნაზია XIX ს-ის 30-იან წწ არის აგებული. იგი მრავალჯერაა გადაკეთებული და კინაიდან სამშენებლო პროექტი არ მოკვეპოვება, თავდაპირველი სახის დადგენა მხოლოდ ძველ ფოტოთა და სხვა საარქივო საბუთებით არის შესაძლებელი.

1850-60-იან წწ. ფოტოთა საშუალებით დგინდება, რომ გიმნაზია წარმოადგენდა მარტივი კლასიციზტური სტილის ორსართულიან ნაგებობას წინ წამოწეული გვერდითი ფლიგელებით და ასევე ოდნავ წინ წამოწეული აღმ. ფასადის ცენტრალური ნაწილით.⁹ ფლიგელთა სამკუთხა ფრონტონების ცენტრში ღუნეტები იყო დატანებული. ფასადის ცენტრალური ნაწილი კი ბრტყელსახურავიანი, თარაზული ზედნით სრულდებოდა. არქივის ერთ-ერთი საბუთით ირკვევა რომ აგურის თხლად შებათქაშებული და ყვითლად შეღები-



ლი ეს ნაგებობა იდგა ნახევარსართულიან ცოკოლზე და გადახურული იყო კრამიტის სახურავით.⁶ სართულებს ერთმანეთისაგან ჰყოფდა ბათქაშის თარაზული ლავვარდანი. ასეთივე ლავვარდანი დაკვეებოდა ზედა სართულსაც, სახურავის ქვეშ კი ხის კოჭების ლავვარდანი იყო მოწყობილი.⁷

ორთავე სართულის საფასადო მხარე აწვობილი ყოფილა სარკმელთა უწვევტ რიტმზე. მეორე სართულის მაღალი თაღოვანი სარკმელები, ასევე თაღოვანი ბათქაშის ვადაჩაკეციბიანი ზედახეობით იყო დასრულებული. სამხრეთის ფასადის სარკმელებს კი არავითარი მოჩარჩოება არ ჰქონდათ და ვრცელ შებათქაშებულ სიბრტყეზე უბრალო ხერხელებად გამოიყურებოდნენ.

როგორც ვხედავთ გიმნაზიის ამგები ყურადღებას მხოლოდ ცენტრალურ აღმ. ფასადს აქცევდა, რითაც კარგად ჩანს საქართველოსათვის უცხო, ნაგებობის მხოლოდ ერთი ფასადის გამოყოფის ხუროთმოძღვრული ტრადიცია.

საბუთებში დაცულია ცნობები გიმნაზიის შიგა მოწყობაზეც. 1847 წ. სამხრეთ ფლიველის მეორე სართულში გახსნილა „ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“. 1868 წლისათვის გიმნაზიაში არსებობდა ბიბლიოთეკა, სამკითხველო და საავადმყოფო საკუთარი ბაღით უკანა ეზოში.⁸

ამგვარად 1830-იან წწ. აგებული გიმნაზია წარმოადგენდა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ „კაზიონურ“ ნაგებობას და უკვე 60-იან წწ.-ში დადგა მისი რემონტისა და გადაკეთების საკითხი, რის შესახებაც რამოდენიმე საბუთი მოგვეპოვება. ერთ-ერთი მათგანია გაზეთ „კაკაჰის“ 1870 წლის ცნობა „თბილისის კლასიკური გიმნაზიის გადაკეთებული შენობის კურობევის შესახებ“.⁹ როგორც ჩანს გადაკეთებას იმავე წლის დასაწყისში შესდგომიან, რადგანაც იმავე გაზეთში გამოუქვეყნებიათ განცხადება... „16 თებერვალს საჯარო

ვაჭრობის დანიშნვის შესახებ უფლებიკური გიმნაზიის გადაკეთების მოსაპოვებლად“.

ს. ც. ი. არქივის 1868 წ. ერთ-ერთ საქმეში დაცულია არქიტ. ჩიჭოვის მიერ შესრულებული გიმნაზიის გენერალური გეგმა და რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც შეუსწორებია არქიტ. ო. სიმონსონს.¹⁰ როგორც ჩანს, მცირედი ცვლილებით სწორედ ეს პროექტი განხორციელებულა.

გიმნაზიის გადაკეთების შედეგად, დასავლეთის ფასადის ოდნავ წინ წამოწეულ (40-50 სმ.) ცენტრალურ ნაწილს დაემატა წაგრძელებული კარიბჭე. სამხრეთის სწორხაზოვან ფასადს კი — ფრონტონით დასრულებული ორსაფეხურიანი ცენტრალური მუხლი; ნაგებობის აღმ. და დასავლეთით მოეწყო მართკუთხა ღობით შემოფარგლული ვრცელი სარეკრეაციო ეზოები; ფასადები გამოცილებლდა და აკურული ხასიათი შეიძინა; მკაცრ, სამკუთხა ფრონტონების ნაცვლად, როული და დამითული ნახაზის, მარყუჟისებური დაბოლოების ლეკალოსებრი ფრონტონები გაჩნდა, ცოკოლის სართულს დაემატა „რუსტირება“, როულპროფილიანი მორთულობა შეიძინა სარკმელთა მოჩარჩოებამაც.

ნაგებობას დიდ ზანს არც ამ სახით უარსებია. XIX ს-ის ბოლოს გიმნაზიაში აუტანელი სიჭარბის გამო, მის გაფართოებაზე დაუწყიათ ზრუნვა. ამას დაემატა 1896 წ. 10 სექტემბერს თბილისის ძლიერი მიწისძვრა. რომელმაც საკმაოდ დაზიანა შენობა,¹¹ და ამიტომ გიმნაზიის მზრუნველთა საბჭომ გადაწყვიტა აღმოსავლეთ მხრიდან ორი დამატებითი ფართე ფლიველის აგება, აქვე საინტერესოა, აღინიშნოს კერძო პირთა დაინტერესება მშენებლობისათვის საჭირო ხაზსრების თავის თავზე აღებისა, რის სანაცვლოდ ყოველი მათგანი გიმნაზიის და გოლოვინის პროსპექტს შორის არსებული მიწის არენდით გათავისებდას მოითხოვდა.¹² მაგრამ, როგორც



საბუთებიდან ჩანს, გიმნაზიის მესვეურებს ხელმოკლეობას მიუხედავად მშვენიერი ბაღი არ დაუთმოთ და საჭირო სახსრები მანგლისში. გიმნაზიის კუთვნილი აგარაკის გაყიდვით მოუპოვებიათ.

გიმნაზიის მორიგი გადაკეთების პროექტი არქიტექტორ შიმკეიანს შეუღვენია. მინაშენთა კურონგვა კი ჩატ რეზულა 1899 წ. 21 ნოემბერს გიმნაზიის ეკლესიაში.¹² ამჯერად სკოლას აღმოსავლეთის მხრიდან დამატა ორი სამსართულიანი ფლიგელი. 70-იანი წლების დასაწყისის დანიაული ფ სადები მასიური და ნახევრად ყრუ ფლიგელთა მიშენების შემდეგ ისევ გამკაცრდა, ფლიგელთა ფონტონები მარყუქისებრი დანული ფონტონების ნაცვლად მარტივი გეომეტრიული ატრიბუტიკით დაგვირგვინდა. ამ ცვლილებების შედეგად შენობამ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ეკლექტიკური ხასიათი შეიძინა. მისი თითოეული მონაკვეთი განკერძოებულ სტილში დარჩა შესრულებული. შედარებით დამოუკიდებელი სრული მხატვრული სახე ამ დროისათვის შენარჩუნებული პქონდა მხოლოდ სამხ. ფასადს, ამას ხელი შეუწყო სამხრეთის ფასადის პირველი სართულის მთლიანმა „რუსტიკურებამ“.⁵

ამგვარად გიმნაზიამ საერთო მოცულობის მხრივ მიიღო თითქმის ისეთი სახე, როგორც ძველის დანგრევამდე იყო.

რამოდენიმე წელში, მოსწავლეთა რა-

ოდენობის გაზრდის გამო ეს შენობა უნაკარ აღმოჩნდა საქმ რისი და 1910 წ. გიმნაზიის შენობას მორიგი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. გადაკეთება შეეხო ძირითადად შენობის ინტერიერს.

საარქივო საბუთებით ვგებულობთ, რომ 1910 წ. დიდი მასშტაბის სამუშაოები ჩატარებულა, რასაც თითქმის მთლიანად შეუცვლია სკოლის შავა განლაგება.¹³

მომდევნო წლებში შენობას კიდევ რამოდენიმეჯერ ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი, რამაც თითქმის მთლიანად დაუკარგა პირუაღელი სახე.

ინსტიტუტ „საქრესტაურაციის“ მიერ შემუშავებული სარესტაურაციო პროექტით გათვალისწინებულია შენობის აღდგენა მისი 1870-იანი წლების რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული სახით და 1899 წელს მიშენებული დამატებითი ფლიგელების გათვალისწინებით.

1. ვ. ბერიძე, თბილისის არქიტექტურა, ტ. 1.
2. თ. კვიციანი, თბილისის არქიტექტურა — თბ., 1982 წ.
3. გაზეთი „კავკაზი“, 1881 წ. №№ 226—228.
4. სცია ფ. 205, საქმე № 81.
5. თ. გერსამია „ძველი თბილისი“, ფოტოალბომი, თბ., 1984 წ.
6. სცია ფ. 441, საქმე № 33.
7. გაზეთი „კავკაზი“, 1870 წ. № 127.
8. გაზეთი „კავკაზი“, 1870 წ. № 17.
9. სცია, ფ. 203, საქმე № 77.
10. სცია, ფ. 441, საქმე № 3566.
11. სცია, ფ. 441, საქმე № 1703.
12. გაზეთი „კავკაზი“, 1899 წ. № 308.
13. სცია, ფ. 441, საქმე № 2372.





საქართველოს ციხე-ქოხალაშხა ბი სარასტარაბიო პრეკტიკაში

ძველ ქართულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხუროთმოძღვრებას. საქართველოს ტერიტორიაზე ათასობით სხვადასხვა დანიშნულებისა და მოცულობის ძეგლია აღრიცხული; ფაქტიურად არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, წარსულის რაიმე ნაგებობა რომ არ იყოს შემორჩენილი. ბოლო ათეული წლების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დიდად განაზრგო ქართული ხელოვნების ქრონოლოგიური არეალი: მეცნიერებამ უკვე ჩააღწია ძველი წელთაღრიცხვის მიხედვით ათასწლეულამდე, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრები პრიმიტიულ ცხოვრებლებს ქმნიდნენ და ამით პირველ ნაბიჯებს დგამდნენ საღმშენებლო ხელოვნების დარგში.

საქართველოს ისტორიაზე არსებითი მნიშვნელობა იქონია მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. იგი მოქცეული იყო წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის სახელმწიფოთა შორის. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ირანთან, ელინისტურ აღმოსავლეთსა და რომთან. ქართული სახელმწიფო — ი ბ ე რ ი ა ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის. ვინც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარა. ამ უარყოფამ განსაზღვრა მისი ორიენტაცია — კავშირი ბიზანტიასა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან. მაგრამ ამავე გეოგრაფიულმა მდებარეობამ ბევრი გაჭირვება და უბედურებაც მოუტანა ჩვენს ქვეყანას — მას გამუდმებით უზღებოდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; საქართველოს მძიმე ისტორიული ხვედრის მოწმეება მრავალი ციხესიმაგრე, ნასოფლარი და ნაქალაქარი.

ერთული ისტორიული ვითარების გამო ქართულ ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საფორტიფიკაციო ნაგებობებს — ციხესიმაგრეებს. მათი განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე

მოფიქრებული და კანონზომიერი იყო; ცალკეული რეგიონების წარმოდგენისას შესაძლოა ვიმჯგულოთ სიმაგრეთა მთელ სისტემაზე, რომელიც ერთის მხრივ ემყარებოდა უმათავრეს ხეობა-მდინარეთა და კომუნიკაციების დაცვას, მეორეს მხრივ, კი ერთგვარ ხალტეებს ქმნიდა სამთავროების უმათავრეს ცენტრთა გარშემო. საქართველოს ციხესიმაგრეები ჩვენი ქვეყნის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. დღეს ეს მხოლოდ რომანტიკული ნანგრევებია, რომელიც გარემოს მხატვრულ მტკვლეუბას ანიჭებს და ფრიად ცხოველხატულ სილუეტებს. ქმნის, მაგრამ თავის დროზე მათი არსებობა ქვეყნის სისიცოცხლო საკითხი იყო. ციხესიმაგრეთა გარშემო ვერ იარსებებდა ვერც ერთი ფეოდალური სახელმწიფო, ვერ იარსებებდა საქართველოც.

საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ციხესიმაგრეთა უმეტესი ნაწილი აღმართულია ძნელად მისადგომ მალლობებზე, თავს დაჰკურებენ და კონტროლს უწევენ ხეობას, ველს, ვხას; გეგმები რთულია და არა გეომეტრიულად მოწესრიგებული, მოხაზულობა მისდევს ბუნებრივი რელიეფის კონტურს და კონფიგურაციას.

ციხესიმაგრეები ძირითადად აგებულია საკმაოდ კარგად დამუშავებული ადგილობრივი ჯიშის ქვებისაგან. ციხის კედლები ისეა შეზრდილი ბუნებრივ რელიეფთან, თითქოს მისგანაა აღმოცენებული. მათი სიძველე და მხატვრული ღირსებები, მდებარეობა და ორგანული შერწყმა გარემო ბუნებასთან იზიდავს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ დამთვალიერებელთა ფართო წრეს, ვისაც კი სიღამაზე უყვარს, ვისაც აღელვებს ქვეყნისა და ერის წარსული და გული შესტკივა მის მომავალზე.




ციხესიმაგრეთა კომპლექსები საქართველოს სარესტავრაციო პრაქტიკაში შედარებით ახალი თემაა. მათი მეცნიერულად შესწავლა და დაწვრილებითი გამოკვლევა ხშირად დაკავშირებულია ისეთ ზელისშემსლელ ფაქტორებთან, როგორიცაა: მიუდგომლობა, ცუდი დაცულობა და რაც მთავარია, ყოველი მათგანი არაერთხელ არის აღდგენილ-შეკეთებული ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, რის გამოც ხშირ დ. მრავალ. ძნელად გასარკვევ სამშენებლო ფენები-საგან შედგება; ამიტომაც, რომ ციხე-ზე ძნელად თუ ვიმსჯელებთ, როგორც ერთი რომელიმე გარკვეული ეპოქის მთლიან ძეგლზე.

სტატიაში მოკლე ინფორმაციის სახით შევეხებით იმ ციხე-კომპლექსებს, რომელზედაც სამეცნიერო-საკვლევო და სპროექტო სარესტავრაციო სამუშაოები შესრულებულია ჩემი ავტორობითა და ზედამხედველობით:

ხერთვისის ციხე-კომპლექსი — მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთისა და ჯავახეთის საზღვარზე. იგი აღმართულია ორი მდინარის მტკვრისა და თაფარაუნის მტკვრულ თაეთან კლდოვან ბორცვზე და მრავალრიელი სტრატეგიული მდებარეობა უკარავს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ამ ადგილას ჯერ კიდევ უძველეს დროს ყოფილა დასახლება, რომლიდანაც ამჟამად თითქმის არაფერია დარჩენილი, ხოლო ციხის ისტორია X საუკუნიდან იწყება.

ხერთვისის ციხის მშენებლობაში შეინიშნება მრავალი ქრონოლოგიური ფენა, რომელთაგანაც ძირითადი ჰერიოდები თარიღდება შემდეგნაირად: ბირველი — X საუკუნით, მომდევნო — XIV და ბოლო — XVII-XVIII საუკუნეებით. ხერთვისის ციხის კომპლექსი გამოირჩევა რთული კონფიგურაციითა და მრავალი ერთმანეთთან დაკავშირებული მოცულობით, რომლებიც კლდოვან რელიეფთან ერთად ცხოველხატულად არის ჩაწერილი საერთო ლანდშაფტში და მნახველებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ხერთვისის ციხეზე საკვლევო-

ხერთვისის ციხე-კომპლექსი — მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთისა და ჯავახეთის საზღვარზე. იგი აღმართულია ორი მდინარის მტკვრისა და თაფარაუნის მტკვრულ თაეთან კლდოვან ბორცვზე და მრავალრიელი სტრატეგიული მდებარეობა უკარავს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ამ ადგილას ჯერ კიდევ უძველეს დროს ყოფილა დასახლება, რომლიდანაც ამჟამად თითქმის არაფერია დარჩენილი, ხოლო ციხის ისტორია X საუკუნიდან იწყება.



ხერთვისის ციხე, ზედი სამხრეთ აღმოსავლეთიდან.



ფარცხის ციხე. ფრაგმენტი.

საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოები 1985 წლიდან მიმდინარეობს.

ფარცხის ციხე – მდებარეობს შიდა ქართლში, თეთრიწყაროსა და მანგლისის გზების შესაყართან, შემადღებულ ბორცვზე. იგი თარიღდება X-XII საუკუნეებით. ციხე ძლიერ არის დაზიანებული, ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ გალავნის კედლის კონტურები და ძლიერი კონტრაფორსები. სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო 1988 წელს და მიმდინარეობს ნაწილობრივი აღდგენაკონსერვაციის მეთოდით.

ქვეშის ციხე – მდებარეობს შიდა ქართლში, ბოლნისიდან 18 კმ-ის მოშორებით. შემადღებულ ადგილას, კლდოვან ბორცვზე. ციხე თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით, თუმცა შეიმჩნევა უფრო ადრინდელი პერიოდის კვალიც. ციხეში შეხვლა შესაძლებ-




ქვეშის ციხე. გეგმა.

ღია კლდეში გაჭრილი, ღრმა ტალანის საშუალებით. იგი წარმოადგენს კომპლექსის ერთადერთ კარს. ციხის ტერიტორიაზე გვხვდება კლდეში ნაკვეთი სხვა ელემენტებიც. რესტავრაციის პროექტი დამუშავებულია 1990 წელს და ითვალისწინებს ციხის ნაწილობრივ აღდგენა-კონსერვაციას.

ხულუტის ციხე – მდებარეობს თეთრიწყაროსა და ბოლნისის რაიონების საზღვარზე, მდინარე ხრამის მარცხენა ნაპირას აღმართულ მიუდგომელ ფრიალო კლდეზე. ციხეს ძალზე ხელსაყრე-



ლი სტრატეგიული მდებარეობა უკავია ამ ნაწილში ვიწრო ხეობის დასაცავად ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ხულუტის ციხე აგებულია XVII საუკუნეში. ციხის კედლები გვერდში არაწესიერი ფორმასაა და შემოზღუდავს კლდოვანი ბორცვის თხემს. კუთხეებზე გამოკრებულია მომრგვალებული ფორმის ბურჯებით და შარბუთხა გვერდის მქონე ორი კოშკით, რომელთაგან ერთი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და გამოირჩევა ფრად საინტერესო და არატრადიციული ინტერიერით.



ხულუტის ციხე შედარებით კარგად არის შემორჩენილი და გათვალისწინებულია მისი სრული აღდგენა.

ხულუტის ციხე. გეგმა.


ბებრის ციხე — მდებარეობს საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში. იგი აღმართულია მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირის შემადგებულ ბორცვზე. ციხეს კუთხეებში აქვს მასიური კოშკები. ბებრის ციხის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, თუმცა ისტორიული წყაროები და ციხის არქიტექტურული დეტალები მას ადრეულ საუკუნეებზე მიგვანიშნებენ.

წელს ითვალისწინებდა ნაწილობრივ აღდგენა-კონსერვაციას, საინჟინრო-კონსტრუქციული ღონისძიებების შესრულებით.

ბებრის ციხეზე სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები დასრულდა 1988 წელს.

ციხე ძლიერ დაზინებულ და ავარიულ მდგომარეობაში იყო. რესტავრაციის პროექტი, რომელიც დამუშავდა 1984

შორაპნის ციხე — მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ქალაქ ზესტაფონიდან 3 კმ დაშორებით, დაბა შორაპანში. ისტორიული წყაროების მიხედვით იგი იყო უძველესი ციხე-ქა-



ბებრის ციხე.



ლაქი მძლავრი სტრატეგიული და სავაჭრო ფუნქციებით.

შორაპნის ციხის კედლების წყობებში შეიმჩნევა განსხვავებული პერიოდები, დაწყებული VI საუკუნით და დამთავრებული გვიანი შუასაუკუნეებით. ციხის კედლების დიდი ნაწილი დანალექი მიწით იყო დაფარული, რის გამოც სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები წარიმართა არქეოლოგიურ სამუშაოებთან ერთად.

მურის ციხის კომპლექსი – მდებარეობს ქალაქ ცაგერში, მდინარე ცხენისწყლის ვიწრო ვასასვლელში, კლდოვანი ქედის თხემზე. ციხესიმაგრე შუა საუკუნეებით თარიღდება. მას ფრიად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა ისტორიულ ლეჩხუმში. მურის ს. ფორტიფიკაციო ნაგებობა ციხითა და მის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე საბრძოლო კოშკებით ერთიან როდულ სათავედაცუო სისტემას ქმნის. ციხეზე მისასვლელი სამარხილო გზა და სხვა ადვილად მისაღწევი კლდოვანი მონაკვეთები გამაგრებულია და დაცულია საყრდენი კედლებით. კომპლექსზე საკვლევი და საპროექტო სამუშაოები შესრულდა 1987 წელს, დაწყებულია სარესტავრაციო სამუშაოებიც.

გვესოს ციხე – მდებარეობს საქართველოს მთიან მხარეში, ისტორიულ ლეჩხუმში, ქ. ცაგერის განაპირას მაღალ მთაზე. ციხე და მის ტერიტორიაზე მდებარე სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა ლეჩხუმის მიწაზე. იგი იყო საგზაბაჟო ცენტრი და აქაური სასულიერო ხელისუფლების რეზიდენციას წარმოადგენდა. ისტორიული ნარკვევების მიხედვით ციხის კომპლექსი დათარიღებულია IX-X საუკუნეებით. ციხე და მისი ნაგებობები ძლიერაა დაზიანებული, დაკარგული აქვთ მნიშვნელოვანი მონეტოლოგიური და დეტალები, ხოლო დარჩენილი ფრაგმენტები ავარიულ მდგომარეობაშია.

ციხის კომპლექსზე სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყო

1990 წელს. პროექტის მიხედვით სამუშაოების ძირითადი მიმართულებაა ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაციული მუშაოები და მათ არის გადაწყვეტილი.

ციხე-კოშკი სოფ. გვიმრელაში – მდებარეობს ლენტეხის რაიონში, ქალაქ ცაგერიდან მეშვიდე კილომეტრზე, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას აღმართულ ფრიალო ბორცვზე. ციხე-კოშკი სტრატეგიულ-სათვალთვლო მნიშვნელობის, შედარებით მცირე საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენს.

საკვლევი და საპროექტო სამუშაოები შესრულდა 1990 წელს.

თამარის ციხე ქ. ბათუმში – ციხე მდებარეობს ქალაქ ბათუმის შესასვლელში, შემალღებულ გორაკზე. ამ ადგილას ანტიკურ ხანაში არსებულა ძველი კოლხური დასახლება, ამჟამად ძირითადად შერჩენილია შუა საუკუნეებისა და გვიანდელი საუკუნეების ციხის კედლების ფრაგმენტები.

თამარის ციხეზე სარესტავრაციო სამუშაოები ძირითადად წარიმართება კონსერვაციის მეთოდით. საკვლევი და საპროექტო სამუშაოები შესრულდა 1989-1991 წლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა ძლიერ უარყოფითად იმოქმედა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საქმეზე; ფაქტიურად შეუძლებელი გახდა სამეცნიერო-კვლევითი და სარესტავრაციო-საწარმოო სამუშაოების შესრულება ციხე-კომპლექსებზე. მაგრამ მიუხედავად დღევანდელი კრიზისული მდგომარეობისა, ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი სახელმწიფო დაძლევეს შექმნილ სირთულეებს და ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში საშუალება მიეცემა ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს ეროვნული მემკვიდრეობის აღდგენასა და დაცვას, ვინაიდან არ არსებობს თანამედროვეობა მემკვიდრეობის გარეშე.



1991 წლის აგვისტოში მოეწყო დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელთა ექსპედიცია გომარეთის ზეგანის არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად და მათზე დაკვირვების დასადგენად. ძეგლებით კი ეს მხარე ძალზე მდიდარია. ამ მცირე რეგიონში გამოვლენილია: როგორც ადრეული, ასევე ვარდამავალი ხანის. განვითარებული შუა საუკუნეების და გვიანი პერიოდის ნაგებობები.

გომარეთის ზეგანს სამხრეთიდან ღრმა კანიონით შემოსაზღვრავს მდ. ზურტაკეტი ანუ შავწყალა, რომელიც მდ. ხრამში (ქცია) ჩაედინება. ამ ზეგანზე დღეს რამოდენიმე სოფელია განფენილი. უფრო ადრე კი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რაზედაც მეტყველებს მრავალი ნახოფლარი და ძველ სასაფლაოთა ნაშთები.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით მდ. ზურტაკეტი „გამოსდის შამბიანის მთასა და მოერთვის ქციის მდინარეს... ხოლო არს დაბა ველსა ზედა შავი-წყარო-ყარაბულახი... და ყარაბულახს ქუევით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის-ხევი. გამოდის ქარვასლის-ხევისა, მოერთვის აქ ზურტაკეტს. შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის-ხევი. აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი“¹.

გომარეთის ზეგანი, ამ მხარის ეპიგრაფიული წარწერების მიხედვით, XI ს-დან კლდეკარის ერისთავთა ბაღვაშთა ერთ შტოს ეკურა. XII ს-ში ეს მიწები სახელმწიფოს განმტკბლობაშია. XII ს-დან კი ვიდრე XIV ს-მდე სამეფო დომენს წარმოადგენს. მომდევნო ხანაში ამ რეგიონის მსხვილი ფეოდალური გვარის წარმომადგენლები ქაჩიბაისძენი დაეპატრონენ, რომელთაც შემდგომში ბარათაშვილთა გვარი დაიმკვიდრეს. მათი წინაპრის ბარათა ქაჩიბაის-

ძის სახელიდან გამომდინარე.

ექსპედიციამ, ამ რეგიონის მრავალი ძეგლი მოინახულა. დაადგინა დაკვირვებით ზონები ზოგიერთ იმ ძეგლზე, რომლებზეც ეს სამუშაო არ იყო ჩატარებული და რამოდენიმე შეუსწავლელი ძეგლიც გამოავლინა.

ექსპედიციის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს ტყემლიანის ნაქალაქარის დაზვერვა და ზელის გამოსახულებიანი სტელის აღმოჩენა.

ტყემლიანის ნაქალაქარი, რომელიც ჯერჯერობით საფუძვლიანად არ არის შესწავლილი, მდებარეობს სოფ. დიდი გომარეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, 7 კმ-ის მანძილზე, ხშირ და გაუვალ ტყეში. ნაქალაქარს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ჩრდ. მხრიდან იგი შემოსაზღვრულია ხევის გასწვრივ ჩაყოლებული ციკლოპური კედლის ნაშთებით. სამხ. მხარეს კი ასევე ხევი შემოფარგლავს. ამ ორ ზღუდეს შორის მიმოფანტულია შამბნართა და მიწით დაფარული, ფლეთილი ქვით ნაგები შენობათა ნანგრევები.

ნაქალაქარის სამხრეთ კიდეზე დარბაზული ტიპის მცირე ეკლესია დგას. მისგან ჩრდილო დასავლეთით ხევთან კა გვიანი ხანის კვადრატული შენობის ნაშთია, შიგა მხრიდან წალეობნაყოფილებული, რის გამოც სავარაუდოა, რომ იგი ძველი აფთიაქი უნდა ყოფილიყო.

ნაქალაქარი, როგორც ჩანს, ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. ამას საფუძვლიანი კვლევა-ძიება სჭირდება. ნაქალაქარის სიძველის ერთ-ერთი უტყუარ ნაშთია ზემოთ ნახსენები ზელის გამოსახულებიანი ასომთავრულ წარწერია. სტელა, რომელიც კვლესიდან ჩრდილო-დასავლეთით ასიოდ მეტრში ერთ-ერთი ნანგრევის ვეერდით აღმოჩნდა.



ჭეც
 გ. ხ. ქ. ხ. ხ. ხ.
 7. 15. 7. 8. 8.
 ხ. ხ. ხ. ხ. ხ. ხ.
 რ. ი. ც. ლ. ქ. მ.
 ყ. ხ. ბ. ბ.

ლობის დამადასტურებელ ექვრეფუფულ აქტებს² ვ. თომეზურის მოხსენიებული ნაშრომი ამგვარი სტელებისადმი არის მიძღვნილი. ამ ნაშრომში აღნიშნულია რომ „ხელიან“ სტელათა გავრცელების არეა თრიალეთ-ჯავახეთი, ხოლო მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებია XII-XIII სს.³

ნაშრომიდან ვეგებულობთ, რომ 1981 წ-მდე ხულ აღმოჩენილი ყოფილა 14 „ხელიანი“ სტელა რომელთაგანაც 5 მათგანზე ასომთავრული წარწერებია: ე. წ. გუნია-ყალას, პრტენას, ჩხიკვთას, არხოტის და დიდი თონეთის წარწერები. დანარჩენებზე წარწერები არ გაირჩევა, ანდა სრულიად უწარწეროა.

თითოეულ ამ სტელაზე აღნიშნულია, რომ ეს სტელები ანუ „ხელები“ დაისვა — ცალკეულ შემთხვევაში:

I. ლაშა გიორგის; II. თამარისა და ლაშასი; III. თამარის; IV. რუსუდანის; და V. დავითის (ულუ) სახელით, რაც ამ ტერიტორიების სამეფო დომენობის აღმნიშვნელად ვეგახება.

ტყემლიანის „ხელიანი“ სტელაც იგივე რეგიონიდანაა და სიმბოლიკით ანალოგიურია დანარჩენი სტელებისა, რაც აგრეთვე მათ თანადროულობაზე მეტყველებს.

სტელის სრულყოფილი შეაწავლა იმედია მეტ ნათელს მოჰყენს საქართველოს ისტორიის ამ თვითმყოფად გამოკვლინებას და ამიტომ აუცილებლად ჩაკოვალუთ ექსპედიციის აღმოჩენის გაცნობა ღინტერესებულ ხამეცნიერო საზოგადოებისათვის.

1. ვ. ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება IV. თბ., 1973, გვ. 318.
2. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 93.
3. ბერუნაშვილი, მიწათმფლობელობის ფორმები. თბ., 1939, გვ. 95.

იგი წარმოადგენს რუხი ფერის მართკუთხა მონილითის (165X60X45 სმ), რომლის პირის გვერდზე ცენტრში გამოხატულია გაშლილი ხელის მტკვანი, ხოლო ზემოთ — წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარი. სტელის ქვედა ნაწილი და მარცხენა მხარე მთლიანად ასომთავრული წარწერებით არის დაფარული.

რელიეფური ჯვარი ფონიდან ოდნავ ამოწეულია, „ხელი“ კი პირიქით სიბრტყეშია ჩაკვეთილი ორმაგი ხახების საშუალებით. კოროზიის შედეგად წარწერები ძლიერ დაზიანებულია. სამწუხაროდ, დროის სიმციროს გამო, ვერ მოხერხდა ქვის ზედაპირის მთლიანი დამუშავება და წარწერის სრული გადმოღება. გაწმენდილ ზედაპირზე გაირჩევა ჯვრის მარცხნივ მხოლოდ რამოდენიმე ასო და მათ შორის ე. ე. (შეხამლია ერისთავო-ერისთავი). „ხელის“ ქვემოთ კი რამოდენიმე ნაკლები სიტყვაა: „ხელი“, „მეფისა“, „რომე“ ღნიც“?, „(სა) დიდ (ებ) ლად“?.

როგორც ხამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ხელის გამოხატულებიანი სტელები წარმოადგენენ სამეფო და საუფლისწულო მიწისმფლობე-



**შენიშვნები არქაოლოგიური მოგზაურობის შესახებ
ზემო სპინდოში (სამართლებლოში)**

„ახვევ, მცირე აზიის ცენტრში, კაპადოკიაში, ჩვენ ვპოულობთ მამა ჟურფანიონის შემდეგ, ადრინდელი შუა საუკუნეების ხელოვნებას და -არქაული“ (ე. ი. ტრადიციულ შუა ბიზანტიურ ხელოვნებაზე უფრო ადრინდელ) ხელოვნებას, რომელიც განსაკუთრებით მდიდარი და რთულია“.

პარიზში, ქართველოლოგიურ ჟურნალში - „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა ფრანგი მკვლევარი ქალის, ხელოვნებათმცოდნე ნიკოლ ტიერის ორი წერილი. იგი თავის მუდღეობის (მიშელ ტიერი) ერთად ხშირად მოგზაურობს საქართველოში და მრავალი ნაშრომი აქვს გამოცემული საქართველოს კულტურის ძეგლებზე.

პირველი წერილი, ზემოაღნიშნული სტატიის სათაურით გამოქვეყნდა 1979 წელს XXXVII ტომში და მიძღვნილია სვანეთის მხატვრობისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში მოხსენებული ყველა ძეგლი აღწერილია ქართველ მკვლევართა ნაშრომებში, ნიკოლ ტიერის კვლევის შედეგი სრულებითაც არ შეიძლება ჩაითვალოს დუბლირებად. აქ ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძეგლები აღწერილია, არა მარტო არსებული ლიტერატურის გაცნობით, არამედ თვითმხილველის მიერ. მის სტატიაში აღწერა იძენს ერთგვარ თავისებურებას, ვინაიდან იგი შესრულებულია უცხოელი მეცნიერის თვალთახედვის ასპექტში. ავტორს თვითონ აქვს ეს ძეგლები ადგილზე ნანახი და შესწავლილი.

წერილი შემდეგი შინაარსისაა:

პირველი სამეცნიერო ექსპედიცია ზემო სვანეთში ჩატარდა 1978 წელს, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა.

სტატია იწყება ზემო სვანეთის ბუნების, პაეის აღწერითა და მისი მდებარეობის განსაზღვრით, ცხადია, მიუხედავად მკვლევარებისა და მდინარეების დასახელებით. მოცემულია ცნობები ადგილობრივი მეურნეობის დარგებზე; აღწერილია ამ დასახელებისკენ მიმავალი გზები.

ნ. ტიერი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას თვით სვანი ხალხის დახასიათებასა და მათი ცხოვრების პირობებზე, მის ისტორიაზე მოყოლებული სტრაბონის ცნობებიდან: „თავისი ღონითა და სიმამაცით აჭარბებენ ამ მხარის ყველა ხალხებს. ამიტომ სვანები ერთგვარი უპირატესობით სარგებლობენ იმ ხალხებთან შედარებით, რომლებიც სახლობენ მათ ირგვლივ“.

ძეგლების აღწერა, როგორც ეს წერილშია აღნიშნული, სამი მიმართულებით იყო ჩატარებული: პირველი - დასავლეთისაკენ, ე. წ. დადუშქელიანების სვანეთისაკენ; - მეორე აღმოსავლეთისაკენ, მდ. ენგურისა და მისი შენაკადების ხეობებისაკენ; მოგზაურობა მთავრდება მათში შემავალი სოფლების შესწავლით.

აღწერა იწყება სოფ. ლაშთხევრში მდებარე მთავარანგელოზის ეკლესიით („თარნგულ“), შემდეგ მოცემულია იმავე სოფლის ორი ეკლესია - „მხერი“ და „ნეხუნი“. ბოლოს ექსპედიციამ გადაინაცვლა ლატალის სასოფლო საბჭოში და შეისწავლა „მატეზარიშისა“ და „იენაშის“ ეკლესიები.

ცალკე თავი აქვს დათმობილი მესტიის მუზეუმის აღწერას; სტატიაში აღნიშნულია, რომ იგი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე. უზარმაზარ შენობაში, წმ. გიორგის ეკლესიის ყოფილ გალავანში. აქ გამოფენილია მუზეუმის ყველაზე ძვირფასი - შუა



საუკუნეების ლიტურგიისათვის განკუთვნილი ნივთები, რომლებიც უკავშირდებიან სვანეთის ყოფასა და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, (მათრიცხვში ფართოდაა წარმოდგენილი ადგილობრივი ალბინიზმი). ნივთებს შორის ყველაზე ხაინტერესოა შუა საუკუნეებით დათარიღებული ლომის მსგავსი დიდი დროშა, როცა დროშა გაჭენებულ ცხენზე მჯდარ მხედარს მიაქვს, იბერება და ლომის ფორმას იღებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ექსპოზიცია მუზეუმში ყველაზე ძვირფასი ნივთებისაგან არის შექმნილი, მათ შორის კი გამოირჩევა — „ადიშის სახარება“. XI საუკუნის განთქმული ჯვარი, რომელზედაც გამოსახულია წმინდა გიორგის მარტილობა, ჭედური ხატების მთელი რიგი, ხაყვლისი აქსესუარი და მრავალი სხვა ნივთი.

ნაშრომის პირველი ნაწილი სრულდება დასკვნით, სადაც ნ. ტიერი აღიარებს, რომ აღწერილი აქვს ზემო სვანეთის ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილი, რის გამოც საბოლოოდ დასკვნების გაკეთება მას შეუძლებლად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, იგი აცხადებს, რომ სვანეთში ადგილი აქვს ზოგიერთი ძველი კულტის გადმონაშთებს. მისი აზრით წარმართულ რიტუალებს დღესაც მრავალი მიმდევარი ჰყავს. ქრისტიანობა ჯერაც ვერ ახერხებს მათი საფუძვლის შერყევას. აქ შემორჩენილია ძველი ღმერთები: პუსტი, უზენაისი, ლამარია, ცისკრის ვარსკვლავის ქალღმერთი ბარბარე...

მეორე წერილი, რომელიც ფაქტიურად პირველის გაგრძელებაა, დაიბეჭდა 1980 წელს „ბედი ქართლისას“ XXXVIII ტომში, სათაურით — „შენიშვნები მეორე მოგზაურობის შესახებ ზემო სვანეთში (საქართველოში)“. ავტორი აქაც სინანულს გამოთქვამს, რომ დროის სიმცირობისა და ძეგლების სიმრავლის გამო, აღწერილია მხოლოდ მათი ნაწილი.

აღწერა ისევ მეტის ეტყობისაა (ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ხატისა და ორი ძველი ხელნაწერის რესტავრაცია, კერძოდ, ნესგუნისა და მაცხვარიშის („მაცხვარი“) ეკლესიები) იწყება. აღწერისას ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს X-XI სს. მონათულობას. აღნიშნავს, რომ მაცხვარიშის ეკლესიაში მხატვრობა ეკუთვნის მიქაელ მალააკელს, რომელიც წარმოადგენს აქ გამოხატულ მეფე დემეტრე I-ს, როგორც ტრიუმფატორს.

შემდეგ აღწერილია იფხის წმინდა გიორგის ეკლესია („ჯგრაგ“). ამ ძეგლისათვის სხვა ძეგლებთან შედარებით ავტორს მეტი ყურადღება მიუქცევია, ვინაიდან მისი X საუკუნის მონათულობა გამოირჩევა რიგი ხაინტერესო თავისებურებებით.

სამხრეთის მიმართულებით აღწერილია იელის თემის ტერიტორიაზე მდებარე სოფლის ეკლესიები და აცის მთავარანგელოზის ტაძარი, რომლის მონათულობა ახლი დგას იფხის მხატვრობასთან.

აღწერა გრძელდება აღმოსავლეთის მიმართულებით. ავტორის თქმით განძეულთა და მონათულობით განთქმულია ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესია. იგი დათარიღებულია 1131 წლით, მხატვრობა ეკუთვნის მეფის მხატვარ თევდორეს. აქვე აღწერილია სხვა ეკლესიებიც: მურყმელი, ჩაჟამი და ჩვიბიანის ლამარია უშგულის თემში.

ცალკეა გამოყოფილი ადიშის ძეგლების ჯგუფი სახელდობრ, ორი ეკლესია — ადიშის წმინდა გიორგის („ჯგრაგ“) და ადიშის მთავარანგელოზის („თარნგულ“).

ხტატის ეს ნაწილიც დასრულებულია სათანადო დასკვნით, რომ სვანეთი ეს არის მხარე-მუზეუმი, რომლის მდიდარი და მრავალფეროვანი ხელოვნება უითარდებოდა, როგორც ადგილობრივ წყაროებზე დაყრდნობით, ასევე



იმ ფართო კონტაქტებით, რომელიც ჩვეულება ბერძნულ და აღმოსავლურ სამყაროთა შორის (გულისხმობს ირანს) მდებარე ქვეყნისათვის.

ორივე წერილს დართული აქვს 52 ილუსტრაცია და 222 შენიშვნა, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი. მეორე ნაწილის 67-ე შენიშვნა. იგი მთლიანად არის მოყვანილი სტატიის სათაურის შემდეგ და ამიტომ ორიოდე სიტყვით განემარტავს მის მნიშვნელობას:

ცნობილია, რომ მონღოლთა რვაგზის შემოსევის შემდეგ საქართველო როგორც იტყვიან, ხერხემალში გადატყდა და მას აქეთ ცოტა რამ თუ დარჩა. ერთერთი „შედეგი“ ამ მარცხისა იყო ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენაც ხაში საუკუნის მანძილზე. მან მხოლოდ XIX საუკუნეში მოითქვა ცოტათი სული, მაგრამ ამ დროისათვის ბევრი რამ უკვე გაყალბებული აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დღესაც რჩება ძალაში ზოგი მაშინდელი მცდარი კონცეფცია.

სწორედ მსგავს მოვლენას ^{ქვეყნული} ვორც ეტყობა ადგილი, ქართული და ბიზანტიელების (ბერძნების) წარსული ურთიერთობის ზოგიერთ საკითხშიც. ნ. ტიერი გამოთქვამს აზრს: „რაც შეეხება კედლის მხატვრობას, კვლევაძიება, რომელიც ახლა წარმოებს საქართველოში, იმედს გვაძლევს, რომ განვითარებული ხელოვნების მრავალი ნიმუშის გვერდით გამოჩნდება არქაული და მრავალფეროვანი ხელოვნების ნიმუშებიც, რომლებიც ამკარად მიგვანიშნებს აღმოსავლური ქრისტიანობის გადმონაშთებს, ადგილობრივ ძირებს და დიდი თანამედროვე პერიფერიული — ქრისტიანული და მაჰმადიანური — ცივილიზაციების წვლილს“.

თავისთავად საყურადღებოა, რომ ნიკოლ ტიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული კერძოდ, სვანური, კედლის მხატვრობის მონაცემებს და წვლილს ზოგადად აღმოსავლურ-ქრისტიანული მხატვრობის (ბიზანტიურის ჩათვლით) ისტორიაში.





ქართული არქეოლოგიის პატრიარქი

საქართველოს მეცნიერებათა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, მცხეთის ახლადშექმნილი არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი ხელმძღვანელი — აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე XX საუკუნის II ნახევრის ქართული არქეოლოგიის აღიარებული ლიდერი და ყოველი მისი წარმატების მოზიარეა.

განგებამ ბატონ ანდრიას იმთავითვე პირველობა დააკისრა და დღემდე ატარებს ამ საპატიო, მაგრამ მძიმე

ტვირთს. იგი არის პირველი არქეოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოში რომ დაიცვა დისერტაცია, პირველი დოქტორი, აკადემიკოსი.

ანდრია აფაქიძის სახელთან არის დაკავშირებული ქართლის ძველ დედაქალაქში — მცხეთაში სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების დაწყება, სადაც იგი გვერდით ედგა ამ ექსპედიციის პირველ ხელმძღვანელებს ივანე ჭავჭავაძისა და სიმონ ჭანაშვილის; მისი მონაწილეობით და თანამშრომლობით (თავის თანამშრომლებ-



ბთან და თანამებრძოლებთან სანდრო კალანდაქესთან, გოგი ლომთათიძესა და გერმანე გობეჯიშვილთან ერთად) — 1955 წელს გამოიცა ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში არმაზისხევში ჩატარებული ვათხრებისადმი მიძღვნილი ნაშრომი, რომელიც ანტიკური ხანის არქეოლოგიაში მომუშავე ყველა მეცნიერის სამავადლო წიგნად იქცა (ამ წიგნის რუსული ვარიანტი გამოიცა 1958 წელს).

1953 წელს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით სოხუმის ყურეში ჩატარდა წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოები ანტიკური ხანის ქალაქის დიოსკურია-სებასტოპოლისის გამოსავლენად. მის სახელს უკავშირდება სამუშაოებისმეტყველო მეთოდების დანერგვა საქართველოს არქეოლოგიაში. კერძოდ, 60-იან წლებში გაიშალა გეოფიზიკური კვლევა-ძიება ძველი პიტიუნტის ადრე უცნობი ნაწილის აღმოსაჩენად. საქართველოს შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ამ მნიშვნელოვანი ქალაქის ისტორიას მიეძღვნა სამი ტომისაგან შემდგარი კრებული, რომლის თანაავტორი და რედაქტორი არის ანდრია აფაქიძე.

ანტიკური ხანის ქალაქთა ისტორიის კვლევისას გვერდს ვერ აფუვლით ანდრია აფაქიძის მონოგრაფიას — „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“. — წიგნში გაანალიზებულია ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დახასიათებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, აღმოჩენილი არმაზციხე-ბაგინეთზე- ქართლის ძველი დედაქალაქის შიდაციხეში, სარკინეში, წიწამურის გორაზე, არმაზისხევთან, სამთავროსა და, საერთოდ, დიდ მცხეთაში.

1975 წლიდან აკად. ანდრია აფაქიძე სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგ-

იურ ექსპედიციას, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს.

ბატონ ანდრიას ინიციატივით და დახმარებით ველად საქართველოს არქეოლოგიაში, მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე შეიქმნა პალეოანთროპოლოგიური რაზმი აკად. მ. აბდუშელიშვილის ხელმძღვანელობით. რაზმის თანამშრომლები ატარებენ ექსპედიციის მთელი მონაპოვარი მასალების აღრიცხვას, ფიქსაციასა და რესტავრაციას, რაც მიზნად ისახავს პალეოანთროპოლოგიური და პალეოპათოლოგიური ინფორმაციის მიღებას. ეს არის სულ ახალი წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაკადი საქართველოს ისტორიოგრაფიაში.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ძვ. წ. XIV—VI სს.) მასალებს აკად. ანდრია აფაქიძე საერთო კავკასიური თვალთახედვით განიხილავს. ამის საფუძველზე მან შეიმუშავა საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად კავკასიური ცივილიზაცია სხვადასხვა ეთნოსების შემოქმედებაა. შემდგომ გულდასმით კვლევას შეუძლია გამოაჩინოს ცალკეული ეთნიკური ჯგუფის წვლილი. ამ საქმეში კი, არქეოლოგიას არსებითი დახმარება უნდა აღმოუჩინოს სწორედ პალეოანთროპოლოგიამ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აკად. ა. აფაქიძის თვალსაზრისი მცხეთის დედაქალაქობისდროინდელი ანტიკური ხანის ძეგლებში კულტურის ორი ნაკადის — უცხოურისა და ადგილობრივის — გამოყოფის, ბერძულ-რომაულ-იბერიულისა და სასანურ-იბერიული კულტურის ნაკადების დანახვის საფუძვლიანობის შესახებ.

ბატონი ანდრია არის მოთავე და ინიციატორი არქეოლოგიის დარგში კომპიუტერულ-საძიებო სისტემის დანერგვისა. ამისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილია საინფორმაციო ცენტრი, სა-



დაც თავს მოიყრის მრავალფეროვანი ინფორმაცია, რომელსაც ქართული მუშის წიალიდან ამომზეურებული ძეგლები იძლევა.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დედაწლი ქართული არქეოლოგიის წინაშე და საერთოდ ქართველოლოგიის განვითარებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ დანერგილი იდეებისა და სიახლეთა ნუსხა შეიძლება კიდევ დიდხანს გავრძელდეს.

ამჟამად არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონ ანდრეას ზრუნვა არქეოლოგთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის, რომლის გამოხატულებას წარმოადგენს მისი რედაქტორობით შედგენილი საუნევერსიტეტო სახელმძღვანელო არქეოლოგიაში და ასევე რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი, რომლის შექმნაც უზარმაზარ ენერჯიკა და ტიტანურ შრომას მოითხოვს.

განსაკუთრებით გულისყურით ეკიდება ბატონი ანდრია ნორჩ ისტორიკოს-არქეოლოგებს, ეთნოგრაფებსა და მხარეთმცოდნეებს. ბევრი მათგანის ნაშრომისა თუ მოხსენების ხელდასმა მისი ხელმძღვანელობით მოხდა.

ბატონი ანდრია დიდი ენერჯიით ილწვის ძეგლთა დაცვისა და პოპულა-

რიზაციის დარგში. შემთხვევითი არაა, რომ იგი იმ რჩეულთა შორისაა, რომლებმაც თავს იდევს მსგავსი საქმეებში დაეფუძნებინათ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე არის ეურნალ „ძეგლის მეგობრის“ ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი, სარედაქციო კოლეგიის წევრი, სტატიების ავტორი და მისი ერთ-ერთი მორიგი რედაქტორი.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი ანდრია არის შეილების შესანიშნავი მამა და შეილიშვილების მოსიყვარულე პაპა; თავისი თანამშრომლების, მოწაფეების და უმცროსი კოლეგების მზრუნველი ხელმძღვანელი. დაბადების მე-80 წელს ბატონი ანდრია ზედება ჰარმაგად და შემოქმედებითი ენერჯიით აღსავსე.

მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი და ეურნალ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგია სხვა მრავალრიცხოვან კეთილისმსურველებთან ერთად ულოცავს ბატონ ანდრეას სახელოვან იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობასა და მხნეობას ჩვენი საშობლოს — საქართველოს საკეთილდღეოდ.

ეურნალ „ძეგლის მეგობრის“ რედაქცია, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.



აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე 80 წლისაა

უკვე კარგა ხანია ვახტანგ ბერიძე ფართოდ აღიარებული სახელია არა მარტო ჩვენში, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც — თვალსაჩინო მკვლევარი, ქართული ხელოვნებათმეცნიერების ერთი უპირველესი წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე, ქართველ არქიტექტორთა და მხატვართა თაობათა აღმზრდელი.

ვახტანგ ბერიძის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახს და იმ გარემოს, სადაც იგი აღიზარდა. ცნობილმა ქართველმა ფილოლოგმა და ლინგვისტმა ვუკოლ ბერიძემ და პედაგოგმა ელისაბედ ჩხეიძემ ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ვაჟიშვილს ქართული ენისა და კულტურისადმი სიყვარული. მეცნიერი დღესაც დიდი მადლიერებით იგონებს I საცდელ-საჩვენებელ სკოლა-

საც, რომელსაც იმ დროს სათავეში ედგა „შესანიშნავი აღმზრდელი და მასწავლებელი, შემდეგ უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ლიტერატურის მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი. „აქ, სკოლაში ზნეობრივი სიწმინდის, მეგობრობის და სიყვარულის სული ტრიალებდა. ბავშვებს მხოლოდ „საგნებს“ კი არ ასწავლიდნენ, არამედ ადამიანს, მოქალაქეს ზრდიდნენ, კეთილშობილი პატრიოტიზმის გრძნობას უღვივებდნენ მათ“.

1930—36 წლებში, ინდუსტრიულ ინსტიტუტში სწავლისას ვახტანგ ბერიძე არ იფარგლებოდა მხოლოდ არქიტექტურის სპეციალობისათვის დადგენილი კურსით; იგი ახალგაზრდა პედაგოგებთან ერთად მუშაობს ხუროთმოძღვრული ტერმინოლოგიის შედგენაზე, მოგზაურობს და ეცნობა



ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს. სწორედ ამ მოგზაურობებში იჩინა თავი ვ. ბერიძის სწრაფვამ ქართული ხუროთმოძღვრების კვლევა-სა-დში. ხოლო, როცა 1941 წელს, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებისთანავე, გიორგი ჩუბინაშვილმა იგი ინსტიტუტში მოიწვია, საბოლოოდ გამოიკვეთა ახალგაზრდა მკვლევარის მთელი სამომავლო მეცნიერული ცხოვრების გზა — ძნელი და რთული გზა ახალი დისციპლინის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის დამკვიდრებისა და განვითარებისა.

ვახტანგ ბერიძის ძირითადი კვლევის საგანი ქართული ხუროთმოძღვრებაა. მისი გამოკვლევების მხოლოდ მცირედი ნაწილის ჩამოთვლაც საქმარისია იმ დიდი მუშაობის წარმოსადგენად, რაც ბატონმა ვახტანგმა გასწია ქართული ხუროთმოძღვრების შესასწავლად: „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, „სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI სს.“, „ქართული გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ზოგი ასპექტი“, ორი ორტომეული — „XVI—XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება“ და „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801—1917 წლებში“, „ტაო კლარჯეთის ხუროთმოძღვრება“.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო ინტერესების სფერო ქართული ხელოვნების სხვა დარგებსაც მოიცავს. მას ეკუთვნის გამოკვლევები გამოყენებითი ხელოვნებისა და სახვითი ხელოვნების საკითხებზე, მათ შორის აღსანიშნავია ცალკე წიგნად გამოცემული ნაშრომები: „ქართული ნაქარგობა“, „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება“ (ნ. ვიზერსკაიასთან ერთად), „ლადო გუდიაშვილი“, „დავით კაკაბაძე“.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვახტანგ ბერიძის ენციკლოპედიური ლექსიკონები — „ძველი ქართველი ხუროთმოძღვრება“ და „ძველი ქართვე-

ლი ოსტატები“ — ქართველ მშენებელთა, ფერმწერთა, ოქრომქეჩვეთა და კალიგრაფთა შესახებ ლექსიკონი

ვახტანგ ბერიძე, გიორგი ჩუბინაშვილის მხარდამხარ მუდამ ხმაღმემართული იბრძვის ქართული ხელოვნების გაყალბების წინააღმდეგ. მრავალ კრიტიკულ წერილსა და ნარკვევს შორის ყურადღებას იპყრობს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნი — «Против искажения истории грузинского искусства».

დიდი ღვაწლი შეუძღვის ვახტანგ ბერიძეს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. ამ მიზანს ემსახურება მისი ნაშრომები პუბლიკაციები უცხოეთში, საზღვარგარეთ წაერთხული ლექცია-მოხსენებები, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და ორგანიზატორი ბატონი ვახტანგია.

დაუცხრომელ სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ვახტანგ ბერიძეს არასდის დაუკლია ზრუნვა და ყურადღება თანამედროვე ქართული კულტურის მოვლენებისადმი; იგი ყოველთვის ამ მოვლენების შეაგულშია ჩართული და ყოველთვის მღელვარებით განიცდის ჩვენი მწერლობის, თეატრის, კინოს მუსიკის გამარჯვებასა და წარუმატებლობას.

ვახტანგ ბერიძე კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთი დამფუძნებელთაგანი და ჩვენში ამ უაღრესად ეროვნული საქმის, ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის აქტიური მონაწილეა.

ჩვენ ისიც დიდად გვეამაყება, რომ ვახტანგ ბერიძე ჩვენი ყურნალის ერთ-ერთი მოთავე და მოპირანახულეა. მისი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი, მისი ავტორი.

იჯანმრთელეთ და იღვწოდეთ ბატონო ვახტანგ, ქართული კულტურის ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების სასიკეთოდ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ფურნალ „ძეგლის მეგობრის“ რედაქცია.



ვსლოცავთ იუზილარს

